


129
1972/2



חברת האמנות בני ברק



1972

6

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მონაგბე

№ 6 (70)

ნოემბერი—დეკემბერი

11887



შ ი ნ ა ა რ ს ი

მიემდგნა სსრ კავშირის 50 წლისთავს 3
 გურამ ბათიაშვილი — მეგობრობის საიუბილეო სპექტაკლები 4

რესპუბლიკის თეატრალურ აზიზასთან

ნონა გუნია — „ქუხილის ბილიკით“ 8
 ნინო შვანგირაძე — სპექტაკლი მოსამართლის სამართალზე 10
 რაფიელ შამელაშვილი — თანამედროვეობის აქტუალური პრობლემა სცენაზე 12
 ნაზი ელიაშვილი — ორი სპექტაკლი 15
 ნინო მაქავარიანი — „ანა ფრანკის დღიური“ 18
 ქეთევან ხუციშვილი — ოძისობა 20
 კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო დღეებში 21
 ქუთაისის თოჯინების თეატრი თბილისში 25
 აკაკი ხორავას სახელობისა 26

სახალხო თეატრებში

ელენე კვიციანი — ბ. შინკუბას „ძმები“ ონის სახალხო თეატრში 27
 გიორგი ებრაღიძე — თეატრალური ლანჩხუთის ისტორიისათვის 29

ჩვენნი იუბილარები

ვახტანგ კასრაძე — ოსური ხელოვნების მოამაგე 32
 ანა ღვინიაშვილი — თამარ თვალაშვილი 34
 მზია შენგელია — უბერებელი გული 36

გამოთხოვება

დავით ჩხეიძე — შალვა ხონელი 38
 მიხეილ იარალი — სერგო ბაშინჯაღოვი 39

მხატვრული განყოფილება

ჯემალ მონიავა — ჩემი ძია ალექსანდრე (ნოველა) 40
 ირაკლი გოგოლაური — იკორთა (ლექსი) 42

იუმორი

გაიოზ იაკოშვილი — გილოცავთ, მეგობრებო 43
 ს. ვ.-ია — სექსტეტი; თეატრალური ლექსიკონი 44

თეატრალური კალენდარი, 1978 წელი

ღირსშესანიშნავი თარიღები 45

რედაქტორი—მარიამა ქარელიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი — გურამ ბათიაშვილი

სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ვ. გომიაშვილი, ო. ევაძე, ნ. გურაბანიძე,
 დ. მვადლიძე, ბ. შლენგი, ნ. შვანგირაძე, პ. ციციშვილი,
 დ. ჯანელიძე.

მიქაძენა სსრ კავშირის 50 წლისთავს

სსრ კავშირის 50 წლისთავი საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საყოველთაო დღესასწაულად გადაიქცა. ამ დღესასწაულისათვის მზადებამ მთელს ჩვენს ქვეყანაში უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. მნიშვნელოვნად ვაცხოველდა შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობა, გარმავდა მოძმე რესპუბლიკათა მხატვრული ინტელიგენციის კავშირ-ურთიერთობა.

2 დეკემბერს აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ხელოვნების ოსტატთა შეხვედრა-კონცერტი, რომელიც მიემდგვნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის წევრმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა კრიტიკოსმა ბესარიონ ქლენტიამ.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თეიმურაზ ჯაფარიძემ თავის მოხსენებაში ილაპარაკა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი მეგობრობის ტრადიციებზე.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის, თეატრმცოდნე ნერსეს კავკაზიანის დაწვრილებით შეჩერდა ქართველ-სომეხთა თანამეგობრობაზე. სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ჯაბირ საფაროვი.

შეხვედრა-კონცერტზე ერევნის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა სცენები სპექტაკლებიდან: „სანამ ურემი გადაბრუნდება“, „რიჩარდ მესამე“ და სხვ.

აზერბაიჯანელმა სტუმრებმა მაყურებელს უჩვენეს ნაწყვეტები ჰ. ჰაჯიბეკოვის ოპერებიდან „არშინ მალალან“ და მელიქოვის ბალეტიდან „ლეგენდა სიყვარულზე“.

შეხვედრა-კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალის ლაურეატი, ბაქოს მ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სოლისტი ქერიმოვი და მომღერალი ახუნდოვა.

სალამოზე გამოვიდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სოლისტები: სსრკ სახ. არტისტი პეტრე ამირანაშვილი, საქ. სსრ დამს. არტ. ლამარა ჭყონია, სსრკ სახ. არტისტები ვასო გომიაშვილი და აკ. ვასაძე. საქ. სსრ სახ. არტისტი გ. საღარაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ევგენია გურაშვილი და მსა-

ხიობი ემზარ ჩხენკელი. კონცერტმეისტერი ხელ. დამს. მოღვაწე ევგ. გომიაშვილი.

შეხვედრა-კონცერტის პროგრამა მიჰყავდა საქ. სსრ დამს. არტისტს ბადრი კობახიძეს.

25 დეკემბერს შაუმიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში ერევნის დრამატული თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა რეჟისორ ბ. კობახიძის მიერ განხორციელებული ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“.

სპექტაკლის დასასრულს ერევნელ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სსრკ სახალხო არტისტი ვერა ანჯაფარიძემ. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ერევნის სახ. დრამატული თეატრის მსახიობმა, საქ. სსრ დამსახურებულმა არტისტმა ბაბკენ ნერსესიანმა. ამავე თეატრის დირექტორმა ასლამაზიანმა მადლობა გადაუხადა ქართველ თანამომეგებს გულთბილი მიღებისათვის.

28 საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით აზერბაიჯანის თეატრალურმა საზოგადოებამ 10-15 ნოემბერს ბაქოსა და სუმგაითში გაიმართა „ქართული თეატრის დღე“.

ამ ზეიმში საქართველოდან მონაწილეობდნენ სსრკ სახალხო არტისტი ვასო გომიაშვილი, საქ. სსრ დამსახურებული არტისტები: გ. გელოვანი, ელ. ყიფშიძე, ე. გურაშვილი, მსახიობები ნ. მამალაძე, ე. ჩხენკელი, ც. ალიევა, ა. დაშნიანი, თეატრმცოდნეები ნ. შვანგირაძე, ე. ვალუსტოვა და კ. ნინიკაშვილი, თეატრების მუშაკები: სერგეი, კიზირია, მერამიშვილი, ჩიტაშვილი და სხვ.

10 ნოემბერს ბაქოს ა. შირვანზადის სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ მეხთი მამედოვმა. მოხსენება „აზერბაიჯანული ქართული თეატრალური კულტურის ურთიერთობანი“ წაიკითხა ხელ. დამს. მოღვაწემ თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძემ.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სსრკ სახალხო არტისტი ე. გომიაშვილი: საღამოს მხატვრულ განყოფილებაში თბილისელმა სტუმრებმა წარმოადგინეს სცენები „ძველი ვადევილები“-დან, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვასო გომიაშვილმა, ელ. ყიფშიძემ, გ. გელოვანმა, ნ. მამალაძემ.

წარმოდგენილი იყო სცენები აგრეთვე ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლიდან „არშინ მალალან“, რომელშიც მონაწილეობდნენ ე. გურაშვილი, ც. ალიევა, ა. დაშნიანი და ე. ჩხენკელი.

მეზობრობის სიუზილუო სექცეკლეზი

გურამ ბათიაშვილი

1. მიჭრილბეს ურემი...

ლბიზ იოსელიანი. „სანამ ურემი გვღაბრუნდებოდა“. პიესა 2 მოქმედებად. ამ სახელწოდების აფიშებს ახლა ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მრავალ ქალაქში შეხვდებით. საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების წინ ოტია იოსელიანის ამ პიესის პერსონაჟები მრავალი თეატრის სცენაზე ავიდნენ და სხვადასხვა ერთეულების აღამიანებთან მიიტანეს ქართული კაცის კეთილშობილური სული, მისი მისწრაფება, რომ აღამიანებმა არ გავაცივონ მამაპაპური კერა.

და აი, ახლახანს „სანამ ურემი გვღაბრუნდებოდა“ განხორციელდა მოსკოვში, ნ. ვოგოლის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. სპექტაკლი დადგა ნიჭიერმა ახალგაზრდა ქართველმა რეჟისორმა ედგარ გვაძემ.

როდესაც ქართველი შემოქმედი ისეთი საპატიო აუდიტორიის წინაშე წარსდგება, როგორც თეატრალური მოსკოვია, ეს ორმაგ პასუხისმგებლობას აკისრებს მას. პირველი, მან უნდა გაამართლოს იმ თეატრალური კოლექტივის იმედები, რომელმაც ანდო ხელოვნების ნაწარმოების შექმნა, დააკისრა სცენაზე გაცოცხლონ ლიტერატურული პერსონაჟები. მეორე — შემოქმედი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას იმ ერის წინაშე, რომელსაც იგი ამ თეატრში. ახალი მაცურებლის წინაშე წარმოადგენს. ამ დროს არ უნდა დაგძლიოს იოლი გზით სიარულის, იოლი გამარჯვების მოპოვების ცთუნებამ, არ უნდა გავაყვით ოსეთი რამ, რაც ერთგვარ ჩრდილს მიაყენებს იმ თეატრალურ ხელოვნებას, რომელმაც შენ აღგზარდა და რომლის დესპანაც მოცემულ ეტაპზე შენა ხარ.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ჩვენ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა ვეკიდებოდეთ სხვა რესპუბლიკებში განხორციელებულ ქართულ პიესებს. თვალყურს უნდა ვადევნებდეთ მას, მაღლიერების სიტყვაც უნდა ვუთხრათ იმ შემოქმედებით კოლექტივებს, რომლებიც ქართველი კაცის ცხოვრების სცენური წარმოსახვით დაინტერესდნენ.

იქნებ შეგეგნულად სწორედ ეს ინტერესი ედო საფუძვლად სსრკ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ბორის ჩირკოვისა და ამ სტრატეგიების ავტორის საუბარს, რომელიც ცოტა უჩვეულად ადვილას, შორს, ჩვენი ქვეყნის საზღვრების გარეთ მიმდინარეობდა, როცა მჭრალთა და თეატრალურ მოღვაწეთი ერთი ჩვეული ესპანეთს მოგზაურობდა.

ამ გჯუფს სწორედ ავამო ბოგვერამის როლის შემსრულებელი ბორის ჩირკოვი ხელმძღვანელობდა. სპექტაკლი ჭერაც არ დაბადებულ იყო და ამ სტრატეგიებს ავტორისათვის საინტერესო იყო საუბარი იმ აღამიანთან, რომელიც 15-20 დღის შემდეგ ავამო ბოგვერამედ წარუდგებოდა მოსკოვში მაცურებელს. ტოლუდოში, ოტელ „კარლოს V“ პოლში პიესაზე სიტ-

ყვის ჩამოვლებამ ერთგვარად გამოაცოცხლა ბორის ჩირკოვი, თითქოს უცებ თავის თეატრს, თავის სარებტეიტო დარბაზს დაუბრუნდა.

— ძალიან გატაცებით ვმუშაობთ, — ამბობდა იგი, — ედგარ გვაძემ, სპექტაკლის რეჟისორმა, მოგვხიბლა თავისი მარდი, გააზრებული მუშაობით. მან შეგვაყვარა ქართული სამყარო. პირადად ჩემთვის ძვირფასია სახე, რომელსაც ვქმნი, მე შემეყვარა ავამო ბოგვერამე, მაგრამ... — აქ ბ. ჩირკოვმა მცირე პაუზა გააკეთა, სათვალე მოიხსნა, მერე კვლავ გაიკეთა და განაგრძო, — ჩემთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია ავამოს აზრება, მე გგონია, რომ ეს აზრება უნდა ჩამოცილოდეს პიესას.

— რას გულისხმობთ?

— ავამო ბოგვერამე სოფლისაქენ ეზიდება შვილებს. მას უნდა, რომ ყველა შვილი მამაპაპური მიწაზე ცხოვრობდეს, სოფელი არ მიატოვონ, სოფელი მოაღონიერონ. ჩემთვის გასაგებია ეს სურველი, მაგრამ ერთი შეხედვით რა გამოდის? ავამო ბოგვერამის ერთი შვილი მინისტრია, მეორე — აღმასკომის თავმჯდომარე, მესამე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მეოთხე კი სტუდენტი. თავი დავანებოთ სტუდენტს. ჭერ არ ვიცით რა კაცი დადგება იგი, მაგრამ სამი მამა რომ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეს აკეთებს, რახან მათ ეს ადგილები უჭირავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ საჭირონი არიან ხალხისათვის, თათავიანთი საქმისათვის. რატომ უნდა მიბრუნდნენ სოფელში? მოგვხსენებთ, რა ძალა აქვს სცენიდან ნაჩვენებ ცხოვრებას, რისი პრაზაგანდა ვასწიოს ბოგვერამემ — მინისტრობას, თავმჯდომარეობას თავი დაანებეთ და აქ ჩამოდიოთ? მე გგონია, შეიძლება ქალაქში იყო, ასფალტზე დადიოდეს და სოფლის საქმე აკეთო, რადგან ახლა სულ სხვა ეპოქაა, ტექნიკის პრამატის ეპოქაში ეს სავსებით შესაძლებელია. სწორედ ამის მეოხებითაა, რომ დღეს მსოფლიოში ბევრი სახელმწიფოს მოსახლეობის 10—15 პროცენტი თუ დასაქმებული სოფლის მეურნეობაში, მაგრამ მაინც კარგად ართმევენ თავის სოფლის მეურნეობას. მე მინდა ჩემი ავამო ბოგვერამე იყოს ტიპური სახე ბრძენი, გონებამახვილი, ჭირამაძოვლილი ქართველი გლენკაცი-სა, რომელსაც მშობლიური მიწის სიყვარული ძვალ-რბილში აქვს გამჭლარი. ეს არის პიესაში და სწორედ ეს ხაზი მინდა წინა პლანზე წამოვსწიო. ვნახოთ, რა გამოვა...

და მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში დაბრუნებულმა ბორის ჩირკოვმა ავამო ბოგვერამის ხალათი გადაიცვა და ქართველი გლენკაციის ცხოვრება წარმოუდგინა მაცურებელს. მის გვერდით იდგნენ განუყვრელი მეუღლე კესარია (რუსის დამს. არტ. ე. მილტონი), შვილები: იოველი (ა. ობუხოვი), დიტო (ი. ვოლკოვი), დურამიზანა (ე. მურგანოვი), ბუხუტი (ე. მენწოვი), ძალები: ვოგოლა (მ. ივანკევიჩი), ჟუჟუნა (ლ. გვრილოვა), ლანდა (ე. სუხანოვა),

საბჭოთა ცავო (ე. ფილონოვა) და ავაბოს ახი-
რებათა მხარდამჭერი და მეგობარი კარზე (ვ. გე-
ლინოვი). თერთმეტი რუსი იდგა იმ საღამოს
გოგოლის თეატრის სცენაზე და თერთმეტივეს
ერთი სურვილი ამოძრავებდა — ქართული
ხალხისადმი სიყვარული, ვაზის მომეფელი და
მომყვანი კაცისადმი პატივისცემა ჩვენერგაო
დარბაზში მოსულ მაცურებლისათვის.

მაცურებელი კი, თუ შეიძლება ასე ითქვას,
დაძაბული შესცქერის იმას, რაც სცენაზე
ხდება. სცენა სცენას მისდევს, მაცურებელიც
თანდათან ებმება მოქმედებაში, განიცდის, და
აი, როცა სცენაზე შემოდის ავაბოს დამწუხ-
რებული შვილები და რძლები (ავაბომ ხომ თავი-
სი სიკვდილის დეპეშა გააგზავნა შვილებთან),
ბ. ჩირკოვი — ავაბო ტახტზე წევს, მან საბაღი
გაღუფარებია. იქმნება დაძაბული სიტუაცია
და მაცურებელი უმლო გრძნობს, რწმუნდება,
რომ კარგ სცენურ მასალასთან აქვს საქმე. ჭარ-
გი სპექტაკლის სანახავად მოვიდა. ცოტა ხანიც
და სცენიდან გაისმის სიმღერა „ჩონგურს სიმე-
ბი გაუფი“ და ჩვენ ვგრძნობთ სიმღერით ვა-
მობატული ოჯახური ერთიანობისა და სიძლიერ-
ის თემას.

ასე რომ, მაცურებელი სიყვარულითა და პატი-
ვისცემით განიმსჯვალა იმის მიმართ, რაც სცენ-
აზე ხდება. ამიტომაც ჩვენ მაცურებელს მიე-
მართეთ, სწორედ მას ვთხოვეთ ეთქვა რამდენი-
მე სიტყვა ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადა-
ბრუნდება“ ამ დადგამაზე.

თამარ ივანოვა
ინჟინერ-მშენებელი

ჩემი ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტო-
ვა ოტია იოსელიანის პიესამ, ვიცი, რომ ამ
დღეებში ამავე პიესას წარმოადგენს სამხატვრო
თეატრი. ამიტომ მოვედი ამ საღამოს აქ, მინდა
ერთმანეთს შევადარო ეს ორი სპექტაკლი. მაგ-
რამ ჯერ იმაზე გეტყვით ორიოდე სიტყვას, რაც
ამ საღამოს ვნახე.

ჩინებულად უმუშავნიათ რეჟისორსა და მხა-
ტვარს, მათ გვაჩვენეს ქართული გლეხკაცის
ცხოვრება საერთოდ, მისი კეთილი მიწრაფე-
ბები, სიყვარული მშობლიური მიწისადმი. სპექ-
ტაკლში ბევრს მღერიან. ეს იმას ნიშნავს, რომ
ქართული კაცის ოჯახში როცა სიხარული სუ-
ფევს, მღერიან და კარგადაც მღერიან. მე მგო-
ნია, რომ ამ სიმღერებმა ერთიანად გამოკვეთეს
ქართული კოლორიტი, ქართული სოფლის ატ-
მოსფერო. მე სწორედ ის სცენები მომეწონა
განსაკუთრებით, რომლებშიც ქართული ეროვნ-
ული ატმოსფეროს გადმოცემა სურს რეჟი-
სორს. ასეთად მიმაჩნია ბუნების და ცავოს
საბძლიდან გამოსვლისა და მისი მომდევნო
სცენები, როცა რეჟისორმა ძალზე მოხდენი-
ლად ნახევარ ტონებში გვაჩვენა ქართული ზნე-
ჩვეულებანი.

სამუელ ვაკსი
პენსიონერი

გულანდლიად რომ ვითხრათ, ამ საღამოს
ბოტის ჩირკოვის როლის სანახავად მივედი თე-
ატრში. დიდი ხანია მიყვარს ეს მსახიობი და
ინტერესით ვადევნებ თვალს მის შემოქმედ-
ებას. ამიტომ, როცა გავიგე, ახალი როლი მოამ-
ზადდა, თეატრისაკენ გამოვეშურე, ჩინებულა
ჩემი დიდი ხნის საყვარელი მსახიობის ავაბო

მოგვეჩაქე! მან გამოირქეცა ქართული კაცისად-
მი სიყვარული. მომეწონა პიესის ეროვნული ხა-
სიათი. აქ არაფერია ქრესტომათილი: ყველა-
ფერი ცოცხალი, მიმზიდველი და სცენური.
არ იგრძნობა ძალდატანება, ოპტიმისტურია
ახალგაზრდობა თავისი ნატურით. ვთხოვთ თქვენ-
ნი ჟურნალის მეშვეობით მალეობა გადასცეთ
პიესის ავტორს ასეთი მხნე ნაწარმოების შექ-
მნისათვის.

ბორის გოლუზოვსკი

ნ. გოგოლის თეატრის მთავარი
რეჟისორი, რუსის ხელოვნების
დას. მოღვაწე

ამ უკანასკნელ წლებში ოტია იოსელიანის ეს
პიესა მეორე ქართული ნაწარმოებია, რომელიც
ჩვენს თეატრში დაიდგა. ადრე მაცურებელს
შევთავაზებთ გ; ნახტორიშვილის ზღაპარი „ნა-
ცარქეჟია“. აი, დღეს კი ოტია იოსელიანის „სა-
ნამ ურემი გადაბრუნდება“ პრემიერა ნახეთ.
ასე რომ, ჩვენს თეატრს შეუძლია ქართული
დრამატურგიის მეგობრად ჩასთვლოს თავი.
ახლა კი სპექტაკლის ირგვლივ. გაამართლა
თუ არა ჩვენი იმედები თეატრში ახალგაზრდა
რეჟისორის ედგარ ეგაძის მოწვევამ? მე პირა-
დად კმაყოფილი ვარ. კმაყოფილი ვარ ორი გა-
რემოების გამო.

1. რეჟისორის მუშაობით კმაყოფილია მთე-
ლი შემოქმედებითი ბირთვი, რომელიც ამ სპექ-
ტაკლში იყო დაკავებული. მუშაობა მიმდინა-
რეობდა უარღვევად შემოქმედებით ატმოსფე-
როში, მსახიობთა მიერ სწორად იქნა გახსნილი
სახეები, რეჟისორმა გამოამყვანა ღრმა მუსი-
კალობა, მან გულმოდგინედ შეასწავლა მსახი-
ობებს ძველი თუ ახალი ქართული სიმღერები.
ერთი სიტყვით სცენაზე წარმოადგინა ქართული
სოფელი, ქართული ხალხის ცხოვრების ერთი
მხარე, ამიტომაც მე მიმაჩნია, რომ ე. ეგაძე
განაგრძობს ნ. გოგოლის თეატრში მუშაობას.

2. ჩვენს სცენაზე დაიდგა კარგი ქართული
პიესა. მჯერა, რომ ოტია იოსელიანის „სანამ
ურემი გადაბრუნდება“ ჩვენს თეატრში სა-
თანადო ადგილს დაიკავებს და კიდევ ერთ
ფურცელს გადაშლის რუსულ-ქართული თეატ-
რალური ურთიერთობის ისტორიაში.

2. ბებია ცოცხლობს, ბებია
უყვარბ

ორი დღეც არ გასულა გოგოლის თეატრში
გამართული პრემიერიდან, რომ მოსკოვის მო-
ზარდმაცურებელთა თეატრში წინა საპრემიერო
ფუსფუსი იყო. ხვალ-ზეგ აქ სცენაზე ავლენ
ჩვენთვის უკვე საკმარებ ცნობილი ბებია, ილი-
კო, ილარიონი და ზურციკო ვაშლომიძე ნო-
დარ დემუბაძის მოთხრობაში რომ აიღვეს ფეხი.
ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამ ადამიანებს სცენუ-
რი სიტოცხლე ამ თორმეტი წლის წინათ ცნო-
ბილმა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ მიანიჭა
მარჯანიშვილის სახ. თეატრში. ისიც კარგად
გვახსოვს, თუ რა მნიშვნელოვანი როლიცა გაბ-
და ეს სპექტაკლი ქართულ თეატრალურ სამ-
ყაროში, და აი, დღეს მოსკოვის მოზარდმაცურ-
ებელთა თეატრში წინასაპრემიერო სამზადი-
სია.

**პალმი კოროსტილოვი
დრამატურგი**

მოსკოვის მოზარდმაყურებელთა თეატრი ჩვენი ქვეყნის მოწინავე თეატრებს შორის მოიხსენიება. იგი განსაკუთრებით დაწინაურდა მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა რეჟისორი პავლე ხომიტი. ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო ფაქტად უნდა იქნეს მიჩნეული ამ თეატრში ქართველი რეჟისორის მიწვევა... მართალია, ეს რეჟისორი უკვე აღიარებულია, მაგრამ ასეთი ფაქტი ერთხელ კიდევ მკაფიოდ უსვამს ხაზს მის ღირსებას, თვალნათლივ წარმოგვიჩენს ქართული თეატრალური კულტურის საკავშირო ავტორიტეტს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველ თეატრალურ მოღვაწეებს შემოქმედებითი ნდობას უცხადებენ.

ფიქრობთ, გიგა ლორთქიფანიძისა და ნოდარ ღუმბაძის შემოქმედებითი მეგობრობა ერთი ჩინებული ფურცელია ქართული მწერლობისა და თეატრის ურთიერთობისა. დღეს, როცა დღის წესრიგში სწორად იმის თეატრისა და მწერლობის ურთიერთობის საკითხი, ამ ორი მოღვაწის ურთიერთობა სამაგალითო უნდა იყოს. რამდენი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა ქართული თეატრის ისტორიაში ამ შემოქმედებითი მეგობრობით. ალბათ, დადგება დრო, როცა ეს ურთიერთობა სათანადოდ იქნება განხილული და მთელი სისასტიკით წარმოიჩინდება ყველაფერი ის სიკეთე, რაც მან მისცა ჩვენს თეატრალურ ხელოვნებას, მაგრამ ვიარე ეს მოხდებოდეს, ამ თავითვე შეიძლება თქვას, ამ ორი მოღვაწის შემოქმედებითა ოსტატობამ და მეგობრობამ თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანა ქართულ კულტურას. თუ ნოდარ ღუმბაძის ზურგიკლას, სოსოიას, ავთო ჭაყალის და სხვა ნაწარმოებების პერსონაჟების ცხოვრებას ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში ინტერესით უყურებენ, უყვართ ისინი, სწორედ ამ შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგია. ამ თანამშრომლობის ნაყოფია აგრეთვე სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მოსკოვის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრში, რომელიც ჭლორთქიფანიძემ დადგა.

ამ სპექტაკლზე მოსული ქართველი ქაცუ ერთგვარად თავისუფალია იმ ფიქრებისაგან, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, რადგან აქ საუბრე გვაქვს ნაცად რეჟისორთან, შემოქმედთან, რომელსაც უკვე არა მარტო დიდი გამოცდილება, არამედ მოქალაქეობრივი ავტორიტეტიც გააჩნია. მაგრამ მინც არსებობს პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ყურადღებას დაგვაბრუნებს.

დაიწყო სპექტაკლი და პირველ წუთებში თითქოს გუუგნებრულეა ახალი სცენური ვარემო, მაშინ მალაზონიას მეტად საინტერესო მხატვრობა გადაწყვეით რომ გაუზარებია, უცხად ვერ ეჩვევი ახალ, სრულიად ახალ რეჟისორულ გააზრებას ამ სპექტაკლისა, რადგან თვალწინ გვიდგას მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი. მაგრამ როცა პირველი სცენები ჩაივლის, ყველაფერი ბუნებრივად გეჩვენება, მსახიობებისადგმა რწმენით იმსკვლები, ხედავ, რომ კვლავ მომხიბლავია ზურგიკლას ბებია, იგი თავთვინანთ ბებებთან გაიგივებებს დარბაზში მოსულმა ბავშვებმა, გაქრა იმის შიში, რომ ილიკო და ილარიონი უცხო, მხოლოდ მანამოწერებულ ადამიანებდ არ დაიჩინეს მყურებლის თვალში. თუმცა უმჯობესია კვლავ მაყურებელს მიესცეთ სიტყვა.

ამ სპექტაკლზე საზეიმო განწყობილებით მოვდიოდი. რამ დაბადა ჩემში ეს ზემი? მე ვიცი რომ ამ პეისას და მიმანია, რომ აქ დრამატურგია დამოუკიდებელი კომპონენტია. ამ პეისაში ერთმანეთს ენაცვლება კეთილი სიცილი და ნაღველი, ნაწარმოების საერთო ტონალობა კი ნათელია. მრავალ თეატრში მიჩნავს ეს პეისა, მაგრამ დღევანდელმა სპექტაკლმა განსაკუთრებით ამაღელვა, რადგან ვიგრძენი დიდი თეატრალობა, გატაცებული მოშაობა. რეჟისორი არის ყოველ მსახიობში. ამიტომ მე დღეს ვნახე დიდი მსახიობის თეატრი. ეს კი ძალიან მახარებს, რადგან მოსკოვის მოზარდმაყურებელთა თეატრის მეგობრად ვთვლი თავს. მე მომეწონა მსახიობები. ჩამოვთვლილი ყოველ მათგანს, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი პიროგამა უნდა გადავიკითხო. ამ სპექტაკლში მსახიობები ქართველ პიროვნებებს კი არ თამაშობენ, არამედ რეჟისორის მეოხებით ქართული გულით ძგებენ. ეს არის ერთიანობა მსახიობის, მხატვრის და რეჟისორისა. სასიამოვნოა, რომ ჩემს თვალწინ მოთლოდენულად წარმოჩინდნენ მსახიობები ზუბარევი, ახიჯაკოვა, გორელოვი. ეს ისეთი მოთლოდენლობაა თეატრს რომ აცოცხლებს. ახიჯაკოვას აღრეც ვაკნობდი, მაგრამ დღეს მისმა ბებია ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს როლი არის ტალანტი გამრავლებული შრომაზე, რაც დიდი ხელოვნებით აგვავსებს ხოლმე. ეს ყველაფერი კი ქართველ დამდგმელთა გუთვმა გააკეთა. დიდი მადლობა მას!

ვ. კოროსტილოვთან საუბარი დავამთავრე თუ არა, სხვებისაკენ გავუშურე, მინდოდა ყველას გამოეხატა თავისი ცოცხალი ემოციები. რამდენიმე კაცს ვესაუბრე, და უკრე თეატრთან გამოსვლას ვაპირებდი, როცა ჩემსკენ მომავალი ვ. კოროსტილოვი შევნიშნე. მივხვდი, რომ დამეებდა, რადგან პოენის სიხარული სახეზე აღბეჭდვოდა.

— ძალიან ვთხოვთ ჩემს ნათქვამს დაუმტოთ აი, ასეთი რამ — სპექტაკლის მსვლელობისას ჩემს უკან ბავშვები ახსენენ. მეშვიდე ან მერვე კლასელები იქნებოდნენ: მე გავიგონე როგორი სიხარულით ეუბნებოდნენ ერთმანეთს — „შველაფერი ისეა, როგორც ცხოვრებაში“. როცა ბავშვები ასე შთამბეჭდავად აღიქვამენ სპექტაკლს, ეს ძალიან კარგია, კარგია, რადგან ზურგიკლასმა მათ თავიანთი თავი შეიცნეს, ზურგიკლა უცხო ბიჭად არ დარჩა. აი ეს არის ხელოვნების შემოქმედების ძალა. რატომღაც მგონია ეს სპექტაკლი რომ ფრანგმა ან ესპანელმა ბავშვებმა ნახონ, ასეთივე რეაქცია ექნებათ.

**პიმტორ ტალალი
მხატვარი**

მიხარია, რომ ჩინებული რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის და ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრის მამია მალაზონიას ნახელავს გავეცანი. ამ შეხვედრამ შემოქმედებითი სიხარულით აგვეცხო. ეს სპექტაკლი არის დრამატურგის, სიტყვის ზემი, არის ჩინებული აქტიორული სახეები. მე განსაკუთრებით გამოვყურდი ილიკოსა და ილარიონის როლის შესრულებელს გორელოვსა და ზუბარევის. ბრწყინვალეა ილარიონის თბილისიდან დაბრუნების, ნადირობისა

და სხვა სტენები. მხატვარი აზროვნებს ძალზე
ლაკონურად, დეტალებით ქმნის მნიშვნელოვან
ნის ასოციაციას. მიუხედავად იმისა, რომ ბეზიას,
ილიკოს, ილარიონის ცხოვრებაში ძალიან ბევრ
რი ნაღველია, სპექტაკლი საზეიმო ხასიათისა
გახდა.

ლუდმილა კინაზევა
სსრკ სახალხო არტისტი

თავგანისცემით ვლადიმერ სპექტაკლ
„მე, ბეზია, ილიკო და ილარიონის“ შემქმნელ
კოლექტივზე, რადგან მათ ძალიან მოკლე დრო-
ში შეგვიქმნეს ჩინებულ თეატრალური ნაწარ-
მოები. მაღლიერების გრძნობით განვიმსკვა-
ლე მსახიობების მიმართ, მათ შევქმენს ჩინებუ-
ლნი აქტიორული სახეები. გამახარა ბეზიას რო-
ლის შემსრულებელმა ახიჯაკოვამ. რეჟისორმა
იგი დღეს სულ სხვაგვარად წარმოგვიჩინა, და-
გვანახა ამ მსახიობის შემოქმედებითი ინდივი-
დუალობის ჩვენთვის უცნობი მხარეები. ეს კი
გამარჯვებაა, გამარჯვებაა მთელი თეატრისა.
მეორეა, რომ ეს სპექტაკლი კეთებელ ადგილს
დაიკურს მოზარდთა საყვარელ თეატრში.

ანა ლეიჩინაძე

მოსკოვის საბჭოს კულტურის მთავარი
სამმართველოს წარმომადგენელი

ბრწყინვალე საქმე გააკეთა თეატრმა ამ სპექ-
ტაკლის წარმოდგენით ჩვენი სამშობლოს შექ-
მნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს დღეებში.
ეს სპექტაკლი, მართლაც, კარგი საჩუქარია მოს-
კოველებისათვის. ეს არის ღრმად იდეური,
ემოციური ნაწარმოები. მაღლობის მეტს გერა-
ფერს იტყვი მსახიობებზე. დიდი ხანია ვიც-
ნობთ ამ მსახიობებს, მაგრამ დღეს იმდენად ახ-
ლებურად დავიხანეთ ისინი, რომ მოხიბლულა
ვართ.

პავლე ხომსკი

მოსკოვის მოზარდმაყურებელთა
თეატრის მთავარი რეჟისორი

ჩვე მუდამ კრძალვით ვართ გამსჭვალული
დიდი სახელმწიფოებრივი დღესასწაულისადმი
მიმდინილი სპექტაკლებისადმი, გვეშინია ვაი თუ
მისი საკადრისი მხატვრული სიძლიერის ნაწარ-
მოები ვერ შევქმნათ, ამით თავს შევირცხვენთ.
ჩვენ მრავალი ზემისათვის მივიძღვინა სპექტაკ-
ლი, მაგრამ დღეს ყველაზე დიდი, მეგობრობის

დღესასწაული ჩვენს თეატრში, გიგა ლორთქი-
ფანიძის მიერ განხორციელებული სპექტაკლი-
არის ნამდვილი დღესასწაულებრივი. ეს სპექ-
ტაკლი საზეიმოა არა მარტო იმიტომ, რომ იუ-
ბილეს ეძღვნება, არამედ იმიტომაც, რომ მასში
განსხეულება ჰპოვა ხელოვნების საზეიმო არსმა
საერთოდ, განსხეულება ჰპოვა იმ აზრმა, რომ
თეატრი მაყურებელს ზეიმს უნდა ანიჭებდეს.
ახლა მოდამი შემოვიდა ასეთი ფრაზები: ეს
სპექტაკლი ჭკვიანურია, ეს სპექტაკლი ინტე-
ლექტუალურია და სხვა ამგვარი, მაგრამ იმას კი
იციყებენ, რომ თეატრი მოსაწყენი გახდა, დაი-
კარგა ემოცია — ცრემლი, სიცილი. ამიტომ
ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია დღევანდ-
ელი სპექტაკლი. ბევრის თვალში ღიმილთან
ერთად ცრემლიც შევნიშნე. ეს კი გამარჯვებაა,
გამარჯვებაა მთელი კოლექტივისა.

ვიქტორ ჯუბარევი
რსფსრ სახ. არტისტი

სამხატვალში ილარიონს ვთამაშობ. უკვე ძა-
ლიან შემეყვარდა ეს სახე. ჩემთვის განსაკუთ-
რებით სასიამოვნო იყო ამ როლის თამაში, რად-
გან მიყვარს ნოდარ დუმბაძის შემოქმედება,
მუდამ სიამოვნებით ვკითხულობ მის ნაწარმო-
ებებს და ვფიქრობ, სავსებით სამართლიანად
მიმაჩნია იგი ერთ-ერთ ბრწყინვალე საბჭოთა
ბელეტრისტად.

სასიხარულო იყო შეხვედრა ისეთ რეჟისორ-
თან, როგორც გიგა ლორთქიფანიძეა. მან მოკ-
ვნილა თავისი შემოქმედებითი ფანტაზიათ.
გატაცებით მუშაობდა თვითონ და ჩვენც აგვი-
ყოლია. ერთ დღეში ვაკეთებდით იმას, რასაც
სხვა დროს ათი დღე მაინც უნდოდა.

ლუდმილა ახიჯაკოვა
რსფსრ სახ. არტისტი

მე მხოლოდ ორიოდ სიტყვას ვიტყვით —
ცნობილმა საბჭოთა დრამატურგმა ვადიმ კო-
როსტილევა მითხრა, რომ მან მხოლოდ მეორე
მოქმედებაში შემიცნო მე. როდესაც დრამა-
ტურგი ასე შეიცნობს კარგად ნაცნობ მსახიობს,
ეს იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებითი გარდა-
სახვა შესდგა, შესდგა როლი!
ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მაღლობელი ვარ
თქვენი რეჟისორისა.

ჩვენს უკუთვალს

თეატრალური აზიონისთვის

„ქუხილის ბილიკით“ ნონა გუნია

ზამოჩანილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის ყარა ყარაევის ბალეტს „ქუხილის ბილიკით“ (პიტერ აბრაჰამის იმავე სახელწოდების რომანის სიუჟეტზე, ი. სლონიმსკის ლიბრეტოს მიხედვით) კარგა ხანია შემოგვლილი აქვს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების სცენა.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სცენაზე კი იგი მიმდინარე წლის სეზონში განხორციელდა. მისი დადგმა სსრკ შექმნის 50 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

ბალეტი დადგა ბალეტმეისტერმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამახატებულმა მოღვაწემ გულბათ დავითაშვილმა.

თავის დროზე აბრაჰამის რომანი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაწარმოები რასობრივ დისკრიმინაციის და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ შუკანიანთა ბრძოლის თემაზე.

მაგრამ მეორე სიცოცხლე მას ყარა ყარაევის შესანიშნავმა მუსიკამ მინიჭა. კომპოზიტორს გამოყენებული აქვს აფრიკის ხალხთა მუსიკალური ფოლკლორი. პარტიტურა მდიდარია ეკზოტიკური ინტონაციებით. თავისებური რიტმული წყობის ენათული მუსიკალური თემატიკა შესანიშნავად ასურათებს რომანის მოქმედ პირთა ვარემოს და მათ ხასიათებს. პარტიტურაში უხვად ისმის აგრეთვე გროტესკული, მკვეთრი საორკესტრო ტემბრები, რომლებიც იჭრებიან მუსიკის პარმონიულ სამყაროში. ეს გამოხატავს უხეშ, ბიორტ ძალას.

ყველაზე ძლიერად კი მულატი ლენნისა და მემამულე ჰერდის ქალიშვილის სახის (მთავარი მოქმედი პირების) ტრაგიკული სიყვარულის სევდიანი თემა გვხვდება. იგი მელოდიურია, ყდურს ერთგუნულ კოლორატში, თავისი განვითარების უმადლესი დრამატული ძაბვის დროს პირქმუდება და ხალხის მრისხანების გამოხატველ მუსიკალური თემატიკის გამორულ ინტონაციებს უერთდება.

ძლიერ შთამბეჭდავია ფინალი, აქ სხვადასხვა

თემები ერთ მოლიან ნაკადში, ხალხის ერთიანი ნების გამოხატველ მრისხანების სახიერებაში გადადის.

ბალეტი შექმნილია 1957 წელს ლენინგრადში. ეს ის პერიოდია, როდესაც საბალეტო სპექტაკლების აგების ქორეო-დრამის ესთეტიკური პრინციპი იყო დამკვიდრებული. ი. სლონიმსკის ლიბრეტო ფეხდაფეხ მიჰყვება რომანის სიუჟეტს, დატვირთულია ყოფითი სცენებით. ამან განაპირობა სპექტაკლის ქორეოგრაფიის ჩრდილოვანი მხარეები, რაც პანტომიმურ და ილუსტრაციული ხერხების სიჭარბეში იჩენს თავს.

ბალეტის ასეთ გადაწყვეტას ვერ ასცდა ვერც ქართველი ბალეტმეისტერი გ. დავითაშვილი. თეატრების მიერ ზანგების დამცირება და დევნა, მემამულე ჰერდის მიერ სტუდენტის მანტიამი გამოწყობილი ლენნის შეურაცხყოფა, უდიერი მოპყრობა მსახურ ქალებთან, ზანგების სკოლის გაკვეთილი. ლენნიზე თავდასხმა და სხვა, ილუსტრაციული ხერხითაა გადმოცემული. არც ამ კონფლიქტის მოწამე მასის ქორეოგრაფიაში ჩნდება პროტესტის გამოხატველი პლასტიკური სახიერება. მასობრივი ცეკვები წარმოგვიდგენს სხვადასხვა ენათულ სცენებსა და უფრო ფონის დანიშნულებას ასრულებენ გმირთა მოქმედების გადმოცემისას. მაგრამ გ. დავითაშვილის ქორეოგრაფიულ ინტერპრეტაციას აქვს თავისი ღირსება. მან ბალეტის მუსიკის რიტმულად მდიდარსა და მრავალფეროვან ზანგურ მელოდიურ მასალაზე დაყრდნობით გამოიმუშავა თავისებური ქორეოგრაფიული ლექსიკა და მიადწია ზანგებისათვის დამახასიათებელ ეროვნულ პლასტიკურ კოლორიტს.

ხალხური ილეთებით ორნამენტირებულ ლენნის ქორეოგრაფიულ პარტიამში, განსაკუთრებით კი პირველ კლასკურ ვარიაციაში სჩანს გმირის ახალგაზრდული შემართება, სიძნელეთა გადალახვის სწრაფვა შთამბეჭდავად არის გამოკვეთილი ლენნის შეხვედრა დედასთან. მათი დუეტი რომელიც ზანგური ივენანის შესატყვი-

სია სინარჩართ, დედაშვილის გულითად სიყვარულს განასახიერებს. ზანგების უშუალოდ და ტემპერამენტის გამომსახველია ლენის დის ლიზის ვარიაციები და მისი მეგობრის ლარის მოქმედება სცენაზე. იღეთების პლასტიკური ნიუანსირების თვალსაზრისით საინტერესოა ზანგი მსახური ქალების (სამედიის) და ჰერდტის მოახლის ფანის ჟანრული სასწრაფო ცეკვები, კოლორიტულია სკოლის მასწავლებლის მაკოს სახე. ვინაიდან ლენის სახე ვითარდება თავის გარემოში მყოფ პერსონაჟებთან ურთიერთკავშირში. ამიტომ მისი ქორეოგრაფიული პარტიის გამომსახველობის იერი ხან ჟანრულსა და ხან წარმოსახვით ხასიათს იძენს მოქმედი პირების სხვადასხვა ხასიათებთან დაპირისპირებისას.

ლენის ქორეოგრაფიული პარტიის მთავარი ხასიათი რასობრივი უთანასწორობით გამოწვეული სულიერი დრამა, ტრაგიკული განცდის აკრძალული სიყვარული, რომელიც კლასიკური ცეკვის ენით გამოიხატება.

ლიბრეტოს მიხედვით აფრიკის თვალწვდენელ ველებში სარი უეცრად წააწყდება ცემისაგან გონებაში ხდელ ლენის და მიეშველება. პირველად იქ იბადება მათი გრძნობა. რასობრივი უკარებლობის გადალახვის ფსიქოლოგიურად რთული სვლა ლირიულ დუეტშია გამოხატული. აქ წამყვანი ხერხია პლასტიკური რუხიტატივი. ლენი და სარი ვერ ბედავენ ამკარვლ გამძღვენონ ერთმანეთსადმი აღძრული ლტოლვა. მათი სცენური ამოცანა თავის თავში გაწადონ გრძნობათა ძრწოლა. მაგრამ ეს მნიშვნელოვანი დრამატურგიული კვანძი გარეგნული გამომსახველი საშუალებებით სუსტად არის ფიქსირებული. ეს იმით აიხსნება, რომ ბალეტმეისტერის მიერ შერჩეული იღეთებს წყობა ვერ ეხმარებოდა მოცეკვავეებს მკაფიოდ გამოეხატათ თავიანთი დაძახული სულიერი მდგომარეობა. თუმცა მუსიკის ფაქტურა ამ დროს საშუალებას აძლევდა დუეტისათვის გაშლილი ექსპრესიული პლასტიკური სახიერება მიენიჭებინა.

მეორე მოქმედების მეორე სურათში ჩვენ ვხედავთ თუ როგორ იტანჯება და ებრძვის სიყვარულის მოზავებს სარი. მის სულიერ მდგომარეობას (ანტიკური ქოროს პრინციპზე) ქალთა მცირე კორდებალეტის ქორეოგრაფიული კომპოზიცია გადმოგვცემს. თავისთავად ეს ხერხი ნაცადია ბალეტებში. საინტერესოა და ბევრის მოქმელა. მაგრამ აღნიშნულ სპექტაკლში ამ ხერხს სასურველი მხატვრული ზემოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა მთელს ამ ქორეოგრაფიულ „პარტიტურაში“ კორდებალეტის საერთო ფონიდან მოძრაობათა სირთულით და დატვირთვით, უფრო

მეტად ცენტრალური ფიგურის სარის საცეკვაო კომპოზიცია რომ გამოეკეთილიყო.

სამაგიეროდ უკანასკნელ მოქმედებაში სარისა და ლენის გამძღვენებული სიყვარულის ამსახველი დიდი ადაფიო მეტყველია, მოძრავი და დიდ გრძნობასაც გამოხატავს.

ლენი და სარი გადაწყვეტენ მშობლიურ მხარიდან გაქცევას, მაგრამ მღვერების ხელით იღუპებიან. სპექტაკლი აქ მთავრდება.

ბალეტმეისტერმა სპექტაკლს ეპილოგი დაურთო, რომლის სიმბოლიკა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რასობრივი უთანასწორობით გამოწვეულ ტრაგიკულ კონფლიქტს.

ეს არის ქორეოგრაფიული სურათი, სადაც დაღუპული ახალგაზრდა გმირების ჯვარცმული ფიგურები და დაბეჩავებული მგმინავი ხალხის აღზევებული რისხვა იკითხება როგორც სოციალური ჩავგრის წინააღმდეგ მიმართული საბრძოლო მოწოდება — დიდი ფერწერული პლაკატი.

მაყურებელზე ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით, სპექტაკლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა — მუსიკა. დირიჟორმა დ. მირცხულავამ ყარა ყარავეის ბალეტის სიმფონიური ფორმა, მუსიკის გამჭვირვალე ლირიზმი და დრმა დრამატიზმი მკაფიოდ გამოეკეთა. მაყურებელი ისმენს და ემოციურად აღიქვამს ყარა ყარავეის მუსიკას.

შთაბეჭდილება მოახდინა მხატვარ ი. ყიფშიძის მხატვრული გაფორმების ფერწერულმა პრინციპმა, რომელიც შეეწყო სპექტაკლის განწყობილებას.

სპექტაკლში მონაწილეობდა საბალეტო დასის ახალგაზრდა ცვლა. მდიდარი პლასტიკური შესაძლებლობის მოცეკვაბი ზ. ამონაშვილმა ლენის პარტიაში კარგად შეათავსა კლასიკური ცეკვის ფორმა ზანგურ ფოლკლორულ ხასიათთან. ი. ჯანდიერის არტისტულ შემოქმედებაში კი სარის რთული ფსიქოლოგიური განცდების წარმოსახვა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. რბილი პლასტიკური ხაზები და მუსიკალობა ახასიათებდა ლ. ბაბკოვას ცეკვას ლენის დედის — ხანას პარტიაში.

ჟანრული სახასიათო ქორეოგრაფიის ელფერი ჰქონდა ლ. როჟკოვას სწრაფსა და ტექნიკურ ცეკვას ლიზის პარტიაში, პრისიაციონისას — მაკოსა და აენიქიანისას ოხუნჯი ლარის როლებში, ხოლო მ. მახარაძის მდიდარმა ფაქტიურმა და პლასტიკურმა მონაცემებმა და ტემპერამენტს სიუხვემ, საერთო ფონიდან მკვეთრად გამოარჩია ფანის პარტია.

დანარჩენი შემსრულებლებიც კარგად გრძნობენ ბალეტის საერთო პლასტიკურ ტონს, რომლის ქორეოგრაფიაში ჟანრული სახასიათო და ფოლკლორული მოტივები სჭარბობს.

საქეჯაკლი მოსამართლის საპართალზე

ნიმუშ უზანდირაძე

კობე მარჯანიშვილის თეატრმა მაცურებელს უჩვენა დრამატურგ გიორგი ხუხაშვილის ახალი, ორმოქმედებიანი პიესა „მოსამართლე“, რომელმაც თეატრალური ხელოვნების მოყვარულთა საერთო ინტერესი გამოიწვია.

გიორგი ხუხაშვილი ამ პიესაშიც მტკიცედ იცავს მის მიერ აღრევე არჩეულ დრამატურგულ ხელწერას — კვლავ ფილოსოფიური განზოგადებით აყალიბებს ადამიანის მიერ განვილლ გზას.

დრამატურგი აქაც ჩვენს ყურადღებას იყვრობს თაობათა ცხოვრების გადმოცემით, ცხოვრებასა, რომელიც საესეა შინაგანი კონფლიქტებით, წინააღმდეგობებით, ადამიანთა რთული ხასიათებით, სიყვარულითა და სიძულვილით, პირდაპირობით თუ ცბიერებით, მწვავედ აყენებს საკითხს ახალი საზოგადოების ადამიანის პასუხისმგებლობის, მისი ბედის. სოციალისტური მორალის შესახებ.

ჩვენ გვალელებს მწერლის სურვილი — დამაჯერებელი პასუხი გასცეს ცხოვრებაში წამოჭრილ რთულ საკითხებს, ვხედავთ მის მოწოდებას, — ასახოს თანამედროვე ცხოვრება, დახატოს დადებითი გმირი, მისი თავდადება, სიყვარული საქმისადმი და ყოველივე ეს მისაბამ მაგალითად გახადოს.

როცა თანამედროვეობის პრობლემებზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს თვით ადამიანი; მთავარია სიახლე დავინახოთ მის სულში, ვიგრძნოთ იგი, როგორც ახალი ცხოვრების პარმშო, განვიცადოთ მისი სიხარული.

გ. ხუხაშვილი ღრმად წვდება და განიცდის თავისი პიესების თემას, რაც გადამღებია ჩვენთვისაც, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი საკითხით დაინტერესება და მისდამი შეუწელებელი ყურადღება დღეს სულეერ საზრდოდ იქცა ყოველი პატიოსანი ადამიანისათვის.

პიესის ცხოვრებისეულმა პრობლემებმა დაინტერესა თეატრი, როდესაც დასადგმელად აირჩია ეს ნაწარმოები. ამ იდეურ-მხატვრული ღირებულების პიესაში თეატრმა წინ წამოსწია ადამიანის მორალისა და მისი იდეალებისადმი ერთგულების საკითხი.

სექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა ანზორ ქუთათელაძემ, მშვენივრად შესძლო პიესის ლირიზმისა და პუბლიცისტიკის შერწყმა. სექტაკლში მოსაწონია რეჟისორული ზომიერება, თავშეკავება ყოველგვარი ეფექტურობისაგან. სექტაკლი გაღაყყეტილია ფაქიზი ნიუანსე-

ბით, მასში ჩინებულადაა შეზავებული პირობითობა და ცხოვრებისეული სიმართლე.

სექტაკლში სადად, დამაჯერებლად და ამავე დროს ამაღლებულადაა ნაჩვენები ცხოვრება იმ ადამიანებისა, რომლებიც მაქსიმალურად ავლენენ თავიანთ არსებით მხარეებს. ეს სცენური ნაწარმოები მაცურებელს უნერგავს სიმართლისადმი ერთგულებას. ამასთანავე მოუწოდებს იყოს დაუნდობელი მებრძოლი თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის უკეთესი მერმისისათვის.

მთავარი თემა, რომელსაც ატარებს სექტაკლი, ეს არის თემა ქეშმარიტების ძიებისა, სიმართლისა, მორალური სიწმიდისა, სადაც დაუშვებელია კომპრომისი, — შეიძლება მოკვდე, მაგრამ უნდა მოკვდე დიდი და წმინდა გულით, — აი ის ძირითადი ხაზი, რომელიც გასდევს სექტაკლს.

ამ ძირითადი თემის მატარებელია სექტაკლში მოსამართლე დავითი. რომლის ხასიათს მკვეთრად გამოხატავს კოტე მახარაძე. გმირის სულიერ სამყაროს, მის ბუნებას მსახიობი შინაგან ძალებზე დაყრდნობით იძლევა.

დავითის სულიერი სიმდიდრე, სიბორო, სიკეთე, მსახიობმა მეტად ძუნწად და სწორედ გამოკვეთა, ამაშია მისი გამარჯვება.

კ. მახარაძის დავითი გულთბილი კაცია, მაგრამ მისთვის მთავარი პატიოსნებით განხორციელებული სახელმწიფოებრივი კანონია. ამავე დროს, კანონს, ზომ აქვს ერთი დაუწერელი მხარეც — ადამიანობა და სწორედ მას არა ერთხელ არღვევს, დავითი.

მახარაძის მოსამართლე სურათიდან სურათში, მოქმედებიდან მოქმედებაში იზრდება, ყალიბდება, ღრმავდება და წვდება ცხოვრებისეულ ფილოსოფიას. ასე მიჰყავს მსახიობს თავისი გმირი ბოლო მოქმედების უკანასკნელ სურათამდე, სადაც მოსამართლემ წარმოვიდგება წინააღმდეგობათან შეჯახებებით დაბრძენებული და ამავე დროს მიზანსწრაფული ადამიანი.

დაბრძენებულმა მოსამართლემ ადამიანებში ნდობა მოიპოვა, რაც სრულიადაც არ გამოორიცხავს იყოს დაუნდობელი და მკაცრი მტრის მიმართ. ასეთად წარმოვიდგინა კ. მახარაძემ სექტაკლის ფინალში თავისი მშვენიერი დავითი.

მოსამართლის საპირისპირო პიროვნებაა ვ. ოსაძის მიერ წარმოდგენილი კაპია. იგი არ

ერიდება დახლართოს ურთიერთობები ბნელი მიზნების მისაღწევად. მისთვის მართლმსაჯულება წარმოადგენს ნიღაბს, რომლის საშუალებითაც შეუძლია აიღოს ქრთამი და ამით შეუტაცხოფა მიაყენოს პატიოსან ადამიანებს. მსახიობი არ ხატავს უჭკუო მტერს — პირიქით. ამ ცბიერსა და საბჭოთა კანონების რიგანად მცოდნე კაცს, გონებაც კარგად უჭრის. სწორედ ეს ქმნის სერიოზულ საფრთხეს მართალი საქმის სწორად წარსამართლად. ვ. ოსაძე სწორედ წყვეტს ამ ამოცანას.

ამავე პლანშია გააზრებული მსახიობ გ. ტატიშვილის ლაშხი, მხოლოდ, იმ განსხვავებით, რომ მისი სამოქმედო ფორმები უფრო პირდაპირი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვაჟაკტურიანია.

სპექტაკლში თითოეულ გმირს თავისი ბიოგრაფია, თავისი წარსული აქვს, მაყურებელი კონტაქტს ამყარებს მათთან; ასეთი ურთიერთობის მიზეზი სპექტაკლს ანსამბლურობაა, რომელსაც თანდათან შეჰყავს მაყურებელი თავიანთი გმირების სულიერ სამყაროში. არცერთი მსახიობი არ ფარავს მეორეს, — თითოეულში იგრძნობა რაღაც თავისებური, რაღაც მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ვადმოგვეცეს თუ როგორ ყალიბდებოდა მის მიერ განსახორციელებელი ადამიანის ხასიათი, რითი ცხოვრობდა კაცი.

ასეთია დ. ჭაჭინაძის ნატო, მოსამართლის ერთგული მეუღლე, ჭკვიანი მეგობარი და მზურავლე გულის დედა. მსახიობმა შეძლო ძუნწ, მინიმუმამდე დაყვანილი გარეგნული საშუალებებით შეექმნა სახე. იგი ზუსტად იყენება ცხოვრებისეულ ფერებს და მოსაწონად აკონკრეტებს მათ.

ქალური მომხიბვლელობა, დედის მღელვარება და ცხოვრებისაგან მოღლილობა ერთნაირი ძალით არსებობენ მასში. მაგრამ მსახიობი მაინც ცალკე გამოყოფს დედურ „ეგოიზმს“ და მართლაც, ძნელია დედა შეეგუოს რძლის სასიყვარულო გრძნობების გასხვისებას. დედას სურს, რძლის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ მის შვილს, თუმცე კარგა ხნის წინათ ომში დაღუპულს, მაგრამ მაინც მას ეკუთვნოდეს.

რთული ამოცანის წინაშე დგას მსახიობი ი. ტრიპოლსკი. მან უნდა წარმოგვიდგინოს ადამიანი, რომელმაც ცხოვრების მეტად დახლართული გზა განვლო. ამ გზაზე იყო ოჯახური ტრაგედია, მეგობრების დაღუპვა, თავგანწირვა საკუთარი პიროვნების დასაცავად, პასუხისმგებლობა ქვეყნის კანონის წინაშე, ციხე, ომის ქარცეცხლში მოწინავე ხაზზე თავდადებული ბრძოლა, ჯალდებუბა, სამშობლოში დაბრუნება და აი, აქ ხდება ყველაზე უმთავრესი. კერადანგრეული გავა შეაყვალა ძველმა

მეგობარმა, მოსამართლე დაეითმა, მაგრამ მთიელი ვაჟკაცი ვაგა სუსტი აღმოჩნდა დავითას რძლის, ახალგაზრდა ქვრივის — გვანცას ქალური მშვენიერების წინაშე და მათ ერთმანეთი შეიყვარეს. მართლაც, ყოველივე ეს რთულია გამსახიობებლად. ძნელია ბიოგრაფიის ასეთ ფინალში ისე გაიხსნას სახე, რომ იგი არ შემოსოს უმადურების საბურველმა, მაგრამ ტრიპოლსკი კარგად აღწევს თავს ამ სირთულეს. მისი სცენური მომხიბვლელობა, შინაგანი თავშეკავება გამოდგა იმის თავდები, რომ მაყურებელმა მხარი დაუჭირა მას და კიდევ უფრო მეტად, დიდად დაინანა გულმართალი გავას დაღუბვა.

მსახიობმა მ. ბიბლივილიმაც უკვე მოიბოვა შემოქმედებითი ხელწერა, რაც მისი მეტყველებით, ქალურობით, პოეტურობითა და მომხიბვლელობით დასტურდება.

ახალგაზრდა გვანცას მეტად ადრე აგემა ცხოვრებამ სუსხი. მან ვერც კი მოასწრო პირველი სიყვარულით ტკბობა და უკვე დაქვრივებულ დედად შემოიჩნა მამამთილის ოჯახს. საცნაურია, რომ ასეთმა ცხოვრებამ განაპირობა მისი, თითქოს და გაუტედავი, მაგრამ გამოცდილი თვალისათვის მაინც შესამჩნევი სიმკვავე, სიამაყესთან ერთად. გვანცას სახე პიესაში და სპექტაკლში ისეა ჩაფიქრებული, რომ მოულოდნელად უნდა იხსნებოდეს და ასეც ხდება. ასეთია მისი სცენები დავითთან, ნატოსთან, გავასთან.

შესანიშნავია მ. ბიბლივილიასა და ჯ. მონიავას დუეტი ქალწულებრივი სიყვარულას გამჟღავნებისას.

სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა მსახიობი ჯ. მონიავა მნიშვნელოვნად იზრდება როლიდან როლში.

გულწრფელობითა და უშუალობითაა აღსავსე მონიავას ცოტნე. თუ მსახიობი დასაწყისში, პირველი სიყვარულის სურნელით თავდავიწყებული ჭაბუკის სცენური სახის შესაქმნელად უმეტესად უშუალობას ავლენს, შემდეგ, სასტიკ ცხოვრებასთან შეჯახებულ ცოტნეს, მსახიობი დიდი გულწრფელობით ამშვენებს.

ამაღლეველია მოსამართლე მამისა და ომიდან უკანქცეული ცოტნეს შეხვედრის სცენა მშობლიურ ოჯახში.

ჩვენის რწმენით, ჯ. მონიავას მიერ შექმნილ უკვე რამდენიმე სინტერესო სახეთა შორისაა მოსამართლის ერთადერთი შვილი ცოტნეც.

სპექტაკლში აქტიორული შესრულების მაღალდონეზე დგას დედის ეპიზოდური როლის განმასახიერებელი ზ. იოსელიანი. მსახიობმა, ერთი შეხედვით თითქოს და პატარა როლით, წარმოგვიდგინა დასრულებული და კოლორი-

ტული სახე დედისა, რომელსაც მაცურებელი ძნელად თუ დღივწყებს. მსახიობმა როლის სწორედ განსახიერებით ღრმად საყურადღებო ფონი შექმნა მოსამართლის რთულ ხასიათში ჩასახედად.

ჩვენ გვგონია, რომ დრამატურგიულად ბუნდოვნების ელფერი გადაჭრავს და სცენური სიმკვეთრე აკლია უმამოდ, მაგრამ განებივრებულად გაზრდილ მოსამართლის შვილიშვილს დათოს, რომელსაც მსახიობი ა. მიქაძე ასრულებს.

რა დიდი სიყვარულითაც არ უნდა მოსავდნენ ოჯახის წევრები დათოს მიანც დრამატულია მისი ცხოვრება. მამის უხილავად მოველინა იგა ქვეყანას. მას აკლდა მშობლის მეგობრული თვალი, სწორედ ეს აპირობებს მის კონფლიქტებს მოსამართლე ბაბუსთან, ამიტომ დაუახლოვდა იგი გაგას, მასში იგრძნო სითბო, ალერსი. პიესიდან არც თუ საცხებით ნათლად ჩანს თუ რად დასჭირდა დრამატურგს დაეკავშირებია დათო კაპიასა და მის მეგობრებთან. ადამიანებთან, რომლებსაც ყოველთვის დიდი ეჭვის ქვეშ აყენებდა მოსამართლე დავითი. დათოს სახე, განსაკუთრებულად მის შემდეგ რთულდება ფსიქოლოგიურად, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა შეეჯახა ცხოვრების მეორე მხარეს, რა თქმა უნდა, ეს მის სულში იწვევს დიდ ძვრებს, რასაც დრამატურგიულადაც და აქტიორულადაც მეტი კომენტარი ესაჭიროება.

ჩვენ, ასევე ნაკლები ფერებით დაწერილად გვეჩვენება იოსების სახე, რომელსაც მისთვის ჩვეული ადამიანური სითბოთი და სცენური მომხიბვლელობით ავსებს მსახიობი ა. კობალაძე. იოსები სიუჟეტურად დიდ დატვირთვას

ატარებს. ის ხომ ის ადამიანია, რომელსაც მოსამართლე ყველაზე მეტად ენდობა და რომელსაც სხვაზე მეტი უფლება აქვს იყოს მსაჯული დავითისა, მაგრამ სამწუხაროდ, ტექსტობრივი მასალა არ ეხმარება სახის სრულყოფილად გამოძერწვაში.

სპექტაკლში გამომსახველად და პროფესიული მომთხოვნელობითაა განხორციელებული დავითის ფრონტული მეგობრები (მსახიობები პ. ინწკირველი, კ. მუჟანაძე) და ტყვე ჯარისკაცები (ბ. გოგინავა, ვ. კვიციანიშვილი, ე. თოფურია), მათი საპირისპირო თვისებებითაა აღჭურვილი, გადავარებული ახალგაზრდების თენგიზის სახე, რომელსაც ირონიული დამოკიდებულებით წარმოგივლიდგენს მსახიობი თ. გამყრელიძე.

სპექტაკლის სწორი და საინტერესო გადაწყვეტა დიდად გააპირობებს მხატვრებმა (ო. ქოჩიაძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაძე). ისინი გონებაზიხვითად მიუნიშნებენ სამოქმედო ადგილს სპექტაკლში გამოყენებულ ტრანსფორმაციას. შესანიშნავად უწყობს ხელს კედლებად ქცეული რამდენიმე კარი რაც ამავე დროს სცენის ლაიონურად გადაწყვეტას ემსახურება. იმის და მიხედვით თუ რა სიუჟეტური მოქმედება უნდა განვითარდეს.

საბოლოოდ, ერთხელ კიდევ გვანდა შევნიშნოთ, რომ მარჯანოვილის თეატრის სპექტაკლი „მოსამართლე“, ისეთი თანამედროვე ქართული სცენური ნაწარმოებია, რომელშიც ბედნიერი შერწყმა მოხდა დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობების; მათ კმაყოფილების გრძნობით განმსჭვალეს ქართველი მაცურებელი.

თანამედროვეობის აქგაულები პრობლემა სხვაზე

რავილ ზამელაშვილი

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა თავის ახალ ჯეზონში მაცურებელს უჩვენა ამერიკელი მწერლის ვინა დელმარის ორმოქმედებიანი დრამა „დაუთმე ადგილი ხვალინდელ დღეს“. ეს დრამა მწვავე სოციალური კონფლიქტებით ხასიათდება. მასში დასმულია ყველა დროის ერთერთი აქტუალური პრობლემა, — სოციოლოგების ენით რომ ვთქვათ, ე. წ. მესამე ასაკის პრობლემა, მოზობელთა პრობლემა. მოხუცი დედ-მამის პრობლემა... სწორედ თემის აქტუალობითაც უნდა აიხსნას ის, რომ თეატრი მაცურებელს ვერ იტევს...

დამდგმელ რეჟისორებს თამაზ მესხსა და

მურმან ფურცხვანიძეს, ჭეშმარიტად, დიდი შრომა გაუწევიათ, რათა პიესისათვის მიეცათ მკაფიო, მეტყველი სახე, პრობლემის რეჟისორულ გადაწყვეტაში სადავო არაფერია: აქ ყოველი დეტალი დამუშავებულია, ათასჯერ აწინილია, ნაფიქრია, და ასეთი შრომისა და რუდუნების შედეგად მიღებულია კარგი სპექტაკლი. როგორც ჩანს, რეჟისორები მშვენივრად იცნობენ თავიანთ მსახიობთა შესაძლებლობებს. ყოველი მონაწილე მთელი დატვირთვით მუშაობს.

ძალიან ორიგინალურია რეჟისორული ჩანაფიქრი სპექტაკლის. ყოველი მოქმედებისა თუ

სურათის დაწყებას გვამცნობს გონგის ავის-
მაუწყებელი ხმა, რაც ერთგვარ მოლიანობასაც
ანიჭებს დადგმას და მაყურებელს ფსიქოლო-
გიურად ამზადებს. ახალი ამბისა თუ მოვლენის
აღქმისათვის. და აი, მოძრავ სცენაზე მიყოლე-
ბით დგებიან მოქმედი პირები, თითქოსდა თი-
თოეთელი საბრალდებულო სკამზეა და მართლ-
მსაჯულებას მათთვის განაჩენი გამოაქვს.
მსაჯული კი თვით მაყურებელია. ეს კარგი რე-
ჟისორული მიგნებაა.

ჩვენი ბევრი სექტაკლი, კინო გვინახავს, სა-
დაც დედაა მთავარ როლში გამოყვანილი, მაგ-
რამ სულ სხვაა საქ. სსრ დამსახურებული არ-
ტისტი მარი ველაშვილი კუპერ ლიუსის როლ-
ში. ლიუსი-მარი შესანიშნავი აღმზრდელი,
მგრძნობიარე დედა და ერთგული მეუღლეა.
იგი „ხუთი შვილის დედაა და ათი შვილიშვი-
ლის ბებია“. მსახიობი ქალი ყველა მოქმედება-
ში, ყველა სურათში უწყეთის და უკეთესის
ხდება. იგი ქსოვს ისეთ ჯადოსნურ ბადეს,
რომელშიც თანდათან, მაგრამ შეუმჩნევლად
შეჰყავს მაყურებელი და სამუდამოდ ატყვე-
ვებს მას. ლიუსი-მარი დედის, დედამთილისა
და მეუღლის ჩანსალი თვალთ უყურებს ყვე-
ლაფერს. იგი უსიტყვოდ იტანს შვილების ინდი-
ფერენტულ დამოკიდებულებასაც და რძლის
მიერ მიყენებულ შეურაცხყოფასაც, შვილიშვი-
ლის კაპრიზებსაც და მდივანი ქალის (მ. ფხაკა-
ძე) უგულო პასუხებს. ლიუსი-მარი თხრობისას,
რეპლიკისას იყენებს ნამდვილ აქტიორულ ტო-
ნებს. როდესაც იგი მეტყველებს, ყველა სა-
შუალებას ხმარობს იმ მიზნით, რათა მაყურებ-
ლამდე მიიტანოს იდეა, ჩანაფიქრი, გმირის
მთელი შინაგანი სამყარო. მსახიობის ქვეტექს-
ტებიც, უბრალოდ ფეხის გადადგმაც კი შთამ-
ბეჭდავია და ემოციური. მასში, მის სახეში
მაყურებელი უნებლიედ წარმოიდგენს საკუ-
თარ დედას, გაიხსენებს გაფრენილ ბავშვობას
და ამოიხსენებს. მარი გელაშვილის სუნთქვაც
კი ესმის მაყურებელს. მისი ბაუზები (გრამა-
ტიკული იქნება ეს თუ მხატვრულ-ლოგიკური),
ინტონაცია, მეტყველების რიტმი, ტემპი ნამდ-
ვილი დედობრივი, მშობლიურია. მისი პირით
თითქოს ჩვენი დედები მეტყველებენ.

პირდაპირ ვირტუოზულად ატარებს ლიუსი-
მარი როდესაც (მსახიობი ნ. კვიციანი) დიალო-
გის სცენას. შვილიშვილს, რომელიც საკამოდ
ქარაფშუტაა და ქვევითაც არასიმპათიური,
„საკუთარი“ შეხედულება აქვს ცხოვრებაზე.
მისი აზრით, „ადამიანები მხოლოდ და მხო-
ლოდ ეგოიზმის გამო აჩენენ შვილებს. ბავშ-
ვები მათი სათამაშოებია, თოჯინები...“ როდა
აცხადებს რომ, როცა მისი მშობლები მოხუც-
დებიან, სრულიად არ აპირებს მათზე ზრუნ-
ვას. აქ უკვე ვერ მოიპოვინა მოხუცმა და მთე-

ლი პირდაპირობით მიახალა თავხედსა და
განებიერებულ შვილიშვილს: „დედამამს უბა-
ტიცემულობაზე უფრო მძიმე ცოდვა არ
არსებობს, გაიგე, როდა, ადამიანს შეიძლება
ჰყავდეს მხოლოდ ერთი დედა, ერთი! და, მე
მგონია ყველაზე მძიმე ხვედრი ამ ქვეყნად ეს
არის ხვედრი შვილებისაგან მიტოვებული დე-
დისა. უნდა გახსოვდეს, დედის ამავს ვერასო-
დეს ვერ გადაიხდი. შეიძლება ამას მაშინ მიხვ-
დე, როცა თვით გახდები დედა!“ ლიუსი-მარის
ამ მოსაზრებამ მოგვაგონა ცნობილი პედაგო-
გის ვ. ა. სუხომლინსკის სიტყვები. სიბერე არ
შეიძლება ბედნიერება, სიხარული იყოს. უმეკ-
რებმა გამოიგონეს სიტყვები ბედნიერი სიბერე.
სიბერე შეიძლება სიმშვიდე და მწუხარება
იყოს. სიმშვიდედ იგი მაშინ იქცევა, როცა მას
პატივს სცემენ. მწუხარებად მას აქცევს და-
ვიწყება და მარტობა. და დიახ, შვილმა უნდა
იგრძნოს დედის გული. მის თვალში უნდა
შეგვეძლოს დავინახოთ მშვიდობა და სიმშვი-
დე, ბედნიერება და სიხარული, აღუღებაც და
გულისტკენაც. უკრაინული ხალხური სიბრძნე
ამბობს: სამი უბედურება აქვს ადამიანს —
სიკვილი, სიბერე და ცუდი შვილები. სიბე-
რე გარდუვალია, სიკვილი უღმობელია —
მათ წინ ვერვინ ვერ დახურავს თავის სახლის
კარს. ცუდი შვილებისგან კი სახლი შეიძლება
დავიცვათ, როგორც ცეცხლისაგან. და ეს
დამოკიდებულია არა მარტო მშობლებზე, არა-
მედ თვითონ შვილებზეც. ლიუსი-მარიმ მშვე-
ნიერად იცოდა, რომ ყოველი მუშაკი — და-
რჩაიდან მინისტრამდე — შეიძლება შეიცვა-
ლოს ასეთივე ნიჭიერი ან კიდევ უფრო უკე-
თესი მუშაკით, ხოლო დედ-მამის შეცვლა
შეუძლებელია.

ვირა დელმარის დრამაზე ზედგამოჭრილია
ქართული ხალხური საუნჯის მარგალიტები:
„დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ
გვახსოვს შვილებსა. ამიტომ წუთისოფელი
სულ მუდამ გვაცოდინებსა“. დედასა და შვი-
ლებს შორის გაბმულია რაღაც იღუმალი უხი-
ლავი ძაფები, რომელთა წყალობითაც ბავშვის
სულის ყოველი რჩევა დედის გულში ტკივილს
იწვევს, მის ყოველ წარმატებას კი საკუთარი
სიციცხლის სასიხარულო მოვლენად თვლის.
ლიუსი-მარი დედაა ამ სიტყვის უსპეტაკესი
მნიშვნელობით. მისი როლის ხილვის შემდეგ
დედის გულში ჩაკვრა, მისი აღერსი, მოგო-
ნება ეს კი მსახიობის გამარჯვებაა, ლიუსის
წარმატებაა, მარი გელაშვილის ტრიუმფია!

კუპერ ბარკლეის როლს ბრწყინვალედ ასა-
ხიერებს საქართველოს სსრ სახალხო არტის-
ტი შოთა პირველი.

მისი ყოველი ფრაზა, წინდადება, სიტყვა,
ქესტიკულაცია, მიმოხერა და უბრალო გამო-

ხედვაც კი შთაბეჭდილი და დასამახსოვრებელია. იგი პრინციპულია და უკომპრომისო, ამაყი და ამავე დროს უადრესად მგრძობიარე მამა—ზოგჯერ ვეფხვევით შემტევი და ზოგჯერ ნიბლიასავით გულჩვილი და დამყლი. მას ჭეშმარიტად უყვარს თავისი მეუღლე, რომელთანაც 50 წელი გაუტარებია. კუპერ ბარკლეი მაშინაც არ კარგავს იმედს, როცა უსახლკაროდ დარჩენის საშიშროების წინაშეა. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ამ საკითხზე მისი თათბირი შვილებთან. აქ ნათლად ჩანს ამერიკული კაპიტალიზმის დამღუბველი გავლენა უბრალო მშრომელ ადამიანზე. კუპერ ბარკლეიმ ხომ 47 წელი დაჰყო ქარხანაში, მაგრამ მაინც უმეურად დატოვეს. მისი მცირე პენსია, ორჯერ დაგირავებული სახლი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოხუც ცოლ-ქმარს. ხუთი შვილი გაზარდეს ბარკლეი და ლიუსი კუპერებმა, მაგრამ ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მშობლებს სანუგეშოს არცერთი არაფერს ეუბნება. მიუხედავად ამისა, მოხუცი მამა უიმედობაში არ ვარდება და თავიანთ აღზრდილებს კატეგორიულად უტყუადებს: „გახსოვდეთ: დედა და მამა ყოველთვის დედა და მამა და ამის შეცვლა არ შეიძლება“.

მამისა და შვილების დიალოგში ნათლად ჩანს კაპიტალისტურ საზოგადოებაში აღზრდილი ახალი თაობისა და საერთოდ ადამიანების ფსიქიკა, საზოგადოებისა, სადაც ადამიანი ადამიანისთვის მგელია და ყველაფრის საზომი ფულია.

კუპერისაგან უნდა ისწავლო მეუღლის სიყვარული, მეუღლისა, რომელიც მიელს ქვეყანაზე ყველაზე უკეთეს სპექტლს ამზადებს. ყველაზე ლამაზია, ყველაზე მგრძობიარეა.

ჩვენი აზრით, ყველაზე დამაბული ადგილია იქ სადაც კუპერი, რომელსაც სათვალე გაუტყდა, მიდის ლევიციისთან (ვ. გვენცაძე, საქ. სსრ დამსახურებული არტიტი), რათა ცოლის წერილი წააკითხოს. აქ მსახიობმა შ. პირველმა გამოავლინა გარდასახვის მაქსიმალური ძალა, იგი ტირის და მაცურებელსაც ავიწყდება, რომ თეატრშია, ისინი იცრემლებიან, ქვითინებენ. მსახიობმა აქ გამოიყენა თავისი აქტიორული შესაძლებლობის მაქსიმუმი, რათა მაცურებლამდე მიეტანა გაუბედურებული მოხუცი მშობლების უნუგეშო მდგომარეობის ყოველი ნიუანსი.

ასევე საინტერესოა და თეატრალური სანახაობის თვალსაზრისით მშვენივრად გაკეთებული ექიმის (ხ. ცირამუა) მოსვლის სცენა: აქ დამატებით ვგებულობთ იმასაც, თუ როგორ ექცევა შვილი ხანდახმულ მამას. საყურადღებოა, რომ სიძე ბილი (ჯ. ჩხეიძე) უფრო თანაგრძ-

ნობას იჩენს მოხუცისადმი, ვიდრე ქალიშვილი კორა (ნ. საღარაძე, საქ. სსრ დამსახ. არტიტი). ბილის კითხვაზე — „ჩვენ, მართლაც სჯობდეს დედაშენიც ჩამოვიყვანოთ?“ კორა პასუხობს: „რას ამბობ, ის რომ აქ ჩამოვიდეს, ვერაფრით ვერ დავაშორებო, ჯორჯი მაშინვე მტკიცებას დამიწყებს, მოხუცებისათვის თქვენთან დარჩენა სჯობიაო, ნელი უარი თქვა მათ წყევანაზე. ბოლმა მახრჩობს, ეს რომ გამახსენდება“. აი, ღვიძლი შვილის დამოკიდებულების ნათელი სურათი მოხუცი მამისადმი.

განა შეიძლება აუღელვებლად მოისმინოთ კუპერ ბარკლეი — შოთა პირველის პასუხი ლევიციისადმი: „ეს მართლაც შესანიშნავი ბულიონია, მისტერ ლევიცი, ვგრძნობ მათბობს და უკეთ ვხვდები“, ხოლო ქალიშვილი კორა, დაინახავს რა ამ სურათს. მოხუცს გამოსტაცებს მათლავას და ლევიციის მიახლის: „შეგიძლიათ გადასცეთ თქვენს მეუღლეს, რომ მამამ უკანასკნელ წვეთამდე შეხვრიბა მის მიერ გამოგზავნილი ბულიონი და თუ ამამ ცუდად გახდა, მობრძანდეს და თვითონ მოუაროს“. დაუფიქრია ფინალური სცენები: ცოლ-ქმრის შეხვედრა რესტორანში და... კალიფორნიის გაცილება. შ. პირველი კუპერ ბარკლეის როლის განსახიერებით კიდევ უფრო ამალდა მაცურებლის თვალში.

სწორად და ჭკვიანურად ასახიერებენ თავიანთ როლებს შვილები — ჯორჯი (გ. ნაცვლიშვილი, საქ. სსრ დამსახურებული არტიტი). ნელი (ნელი თოდაძე, ევა ხუტუნაშვილი), კორა (ნ. საღარაძე), რობერტი (გ. კოკელაძე). ისინი ავსებენ, ამატებენ, უფრო სრულყოფილსა და სისხლსავსეს ხდიან ავტორის ჩანაფიქრს; აცოცხლებენ, ამოძრავებენ და ხალხს გულგებლად მიაქვთ ნაწარმოების ლეიტმოტივი. მართლაც, კარგი მსახიობისათვის არ არსებობს ცუდი როლი.

შვილთაგან განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ ჯორჯის როლის შემსრულებელი გ. ნაცვლიშვილი. მსახიობი სცენაზე ცოცხლობს, სიმართლით, უშუალოდ ხსნის ჯორჯის უპრინციპო ხასიათს. მისი ყოველი ქესტი, მიმიკა, პაუზა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს; საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ კუპერების შვილები სხვადასხვა ხასიათისა და მისწრაფებების არიან. ეს ინდივიდუალური ნიშან-თვისებანი კარგად აქვთ გადმოცემული შემსრულებელთ: ჯორჯი უპრინციპო და მერყევი ბუნებისა, რომელიც ცოლის გავლენის ქვეშა და უსიტყვოდ ასრულებს მის კაპრიზებს; ნელი (ნ. თოდაძე) ქმრის მონა-მორჩილია და ისე არ მოიბრუნებს სიტყვას, რომ არ და-

მატოს „პარვეიმ თქვა“, „პარვეი ამბობს“, „პარვეის აზრით...“ (პარვეი მისი ქმარია); კორა (ნ. საღარაძე) მამას ისეთ მდგომარეობაში ავადებს, მაყურებელს ცრემლიც კი მოსდის, პირდაპირ ტანჯავს მას; რობერტი (ვ. კოკელაძე) ქარაფშუტა, დაუკვირვებელი და მეტად ახირებული ბუნებისაა. მასში დედამამის სიყვარული და პატივისცემა იოტისოდენიც კი არ ჩანს.

კარგად გაართვეს თავი როლებს მსახიობებმა: ნ. კვეციემ (როლა), ვ. მიქიაშვილმა, საქ. სსრ დამსახ. არტისტმა (პარვეი), ჯ. ჩხეიძემ (ბილი), თ. ლენიაშვილმა, საქ. სსრ დამსახ. არტისტმა (ლევიცკია), მ. სვანიძემ, საქ. სსრ დამსახ. არტისტმა (პოპერი), ზ. გამყრელიძემ (პენინგი), ზ. ცირამუამ (ექიმი), ვ. კანდელაძემ (სანდერსი), მ. ფხაკაძემ (მდივანი ქალი), პ. ცაგარეიშვილმა (ბარმენი), ნ. ყორჯოლიანმა (ქალი), მ. სვანიძემ, საქ. სსრ დამსახ. არტისტი (პოპერი).

შესანიშნავად ასახიერებს საქ. სსრ დამსახ. არტისტი ქ. კოლხიდეი ანიტას როლს. იგი კაპასი და უხეში რძალია, თავნება მეუღლეა და წინდაუხედავი, მეშინური შეხედულებებით საკმაოდ დამძიმებული აღმზრდელი დედაა. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მისი რბილიკები დედამთილისადმი, კუპერ ლიუსისადმი.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ლევიცკის როლის შემსრულებელ ვალ. გვენცაძეზე. მისი თამაში სადაა და ბუნებრივი. იგი სცენაზე თავს

თავისუფლად გრძნობს მეტყველებს შთამბეჭდავად. მან კარგად გადმოსცა მგრძობიარე ადამიანის კეთილი სახე, ადამიანისა, რომელსაც სხვისი გაჭირვება გულთან მიაჭვს. სწორედ ამ თვისებით უნდა აიხსნას ის, რომ, როდესაც ლევიცკი ვ. გვენცაძე დაამთავრებს კუპერ ბარკლეს მოწოდებულ წერილის კითხვას და ბარკლეი მას მოშორდება, იგი იყვირებს, ცოლს დაუძახებს და მიუაღერებს. ლევიცკიმ ყველაფერი დაივიწყა და ერთი წუთით თავი წარმოიდგინა კუპერ ბარკლეს მდგომარეობაში ამან კი შეაძრწუნა მთელი მისი არსება. მსახიობი როლს ჩინებულად ასრულებს.

ამერიკელმა მწერალმა სარტენწიო პიესაში მამებისა და შვილების ურთიერთობის საკაცობრიო პრობლემა დასვა. ეს პრობლემა მუდამ აქტუალური იყო და იქნება. ამიტომ არის რომ ამერიკელი მწერლის მიერ აღწერილი ამბავი ჩვენმა მაყურებელმაც გულთან მიიტანა.

ზაზგასმით უნდა აღიწიშნოს, რომ ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მთელი კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ სპექტაკლის სცენურად განსახიერების საქმეს. ამიტომაც იყო, რომ იგი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. ვინა დელმარის „დაუთმე ადგილი ხვალინდელ დღეს“ ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაა.

მ რ ი ს კ ე ქ გ ა კ ლ ი

ნაზი ელიაშვილი

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ამჯერად მსურს მკითხველთა ყურადღება მის ორ სპექტაკლზე შევაჩირო. ეს გახლავთ ქეთევან ჭილაშვილის „აცა-ბაცა“ და ვ. მამლინის „შენ თი, გამარჯობა“.

ქ. ჭილაშვილი ძალზე უბრალოდ, მაგრამ ჭკვიანურად, გონებაშახვილურად ანვითარებს აზრს, რომ შრომამ უნდა გააკეთილშობილოს ადამიანი, რომ სიკეთე და სამართლიანობა ყველაფერზე მაღლა დგას. ვინც ამ მორალით მოქმედებს, ბოლოს გამარჯვებულიც ის არის. გარდა ამისა, პიესა საინტერესოა თავისი ტექსტობრივი მასალით. მასში ბევრი ხალხური ანდაზა, შაირი და ლექსია, რაც ერთიორად ზრდის ნაწარმოების მხატვრულობას.

აცა და ბაცა აქმები არიან. ორივე ზარმაცია, მათ უქნარობას ხელს უწყობს დედა. მას ჰგონია, რომ თუკი შვილებს შრომითა და ჯაფით

დატვირთავს, ამით დანაშაულს ჩაადენს ბავშვების წინაშე. ოჯახის პატრონობა მარტო მამას უხდება. არც ბავშვები და არც ცოლი თითოსთითზე არ აკარებენ. მაგრამ სხვადასხვა სიტუაციებში მოხვედრის შედეგად ორივე, თანდათან ხვდება, რომ საჭიროა შრომა, რასაც მოშობლებისა და ტოლ-ამხანაგების ქემშარიტი სიყვარული მოჰყვება.

აცას როლს ანსახიერებს რესპ. დამს. არტისტი ი. ელისაშვილი. ჩვენ ამ მსახიობს კარგახანია ვიცნობთ. სხვადასხვა დროს მის მიერ შექმნილია უამრავი სცენური სახე, რომლებიც მოზარდებს მეხსიერებაში ღრმად შეჭრილან და სიყვარულით სარგებლობენ. ამჯერადაც მისი აცა ცოცხალი, ენერგიული ყმაწვილია. მსახიობი წარმოგვიდგენს დედის მიერ განებივრებულს, მაგრამ არა თავნება ბავშვს. აცა-ელისაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის დასაწყისიდან ზარმაცი ბიჭუნა მაყურებელში მაინც სიმშათიას იმსახურებს. ეს რა თქმა უნდა,

ავტორის მიერ გააზრებული და მსახიობის ოსტატური შესრულების წყალობით ხდება. აცა მართალი, გულკეთილი ბიჭია. აი, სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ელისაშვილის აცა ბოლოს ხვდება, რომ უშრომველად არაფერი კეთდება, რომ სახლში და კარში საჭიროა საქმიანი, მუყაითი, პატრიონი იყო. ი. ელისაშვილი მსახიობური გამომსახველობით თანდათან აყალიბებს თავის სცენურ პერსონაჟს და საბოლოოდ ჩვენს წინაშე უკვე არა უქნარა, არამედ სიცოცხლითა და შრომის წყურვილით აღსავსე ბიჭუნაა.

ლ. ჯაყელის ბაცა ტოლს არ უდებს ელისაშვილის აცას. ყველაფერში ისეთივეა, როგორც თავისი ძმა. მაგრამ თუკი ი. ელისაშვილის აცა პირდაპირი ბიჭია, ჯაყელის ბაცა ცოტა ეშმაკიცაა. რას არ იგონებს იმისათვის, რომ მამას მუშაობაში არ მიეხმაროს და დედამ კი რაც შეიძლება გემრიელი ხალიფაფა აჭამოს. ბაცა აცასთან ერთად ბევრ უსიამოვნებას გადაყრება თავისი სიზარმაცის გამო. მაგრამ რაჯი ბაცაც აცასავით კეთილი, მხიარული, ბუნებით პატრონის ბიჭია, თავის დანაშაულს მშობლების წინაშე აღიარებს და ვადაწყვეტს ხალხისათვის, სოფლისათვის გამოსადეგი ადამიანი იყოს.

მუშხენადვად იმისა, რომ ქინქა-ბიჭების მამა ეპიზოდურად არის მოხაზული ავტორის მიერ, მსახიობი ვ. მაზნიშვილი ახერხებს მოზარდ მაყურებელთა წინაშე დასამახსოვრებლად წარსდგეს. იგი ხორცს ასხამს ენერგიული მშრომელი კაცის პორტრეტს. მოზარდები ერთნაირად განიცდიან როგორც მის სიხარულს, ისე მის მწუხარებას ზარმაცი შვილების გამო. ეს რეაქცია კი უთუოდ მსახიობის მიერ ქინქას როლის კარგად შესრულებას უნდა მიეაწეროდ.

ასევე საყურადღებოა ე. ასლამაზაშვილის ქინა. მსახიობი ცდილობს რაც შეიძლება მეტად ცხოვრებისეული ელფერი შესქინოს მის მიერ განსახიერებულ სცენურ სახეს. ეს ცოტა არ იყოს ძნელია, ვინაიდან ქინქას მსგავსად დრამატურგი ამ სახესაც ძუნწად ხატავს. ე. ასლამაზაშვილი თავის მხრივ უამრავ სათბოსა და სიყვარულს სდებს ქინაში როგორც დედაში. მას არასწორად უსმის ზავშვის აღზრდის საკითხი. ქინას ჰგონია, თუკი ბიჭებს არაფერზე არ დაასაქმებს, სიყვარულით გაანებივრებს, ამით საზოგადოებისათვის გამოსადეგ ადამიანებს გაზრდის. ბოლოს ესეც მიხვდება, რომ შრომამ შექმნა ადამიანი და შრომამ უნდა გააკეთოს მშობილოს აცაც და ბაცაც. მსახიობის სასარგებლოდ უნდა ითქვას, ისიც, რომ იგი ძალზე პლასტიკურია, რაც საუსებით მიესადაგება სპექტაკლის მუსიკალურ ანსამბლს.

მუქი ფერებითაა წარმოდგენილი ბ. ხაფავას კოწიწა. იგი ობოლი ბიჭია. დედა მეორედ გა-

უთხოვდა და საცხოვრებლად ქალაქში გადავიდნენ. სოფელში სტუმრად ჩამოსული კოწიწა ცდილობს ტოლ-ამხანაგების წინაშე თავმჯდომარედ გამოიყურებოდეს, თითქოს მამინაცვალმა ტუბილი ცხოვრება შეუქმნა და მასზე ბედნიერი სხვა არ დადიოდეს დედამიწაზე, მაგრამ შიგადაშიგ ირყევია, რომ კოწიწა მოსამსახურე ბიჭივით ჰყავს მამინაცვალს, რომ ხშირად ისეთი საქმეების ასრულებას ავალებს, რაც მის ძალღონეს აღემატება. არ ვიცი, როგორ ვიფიქროთ: ცხოვრებამ გააბოროტა თუ თვითონ, ბუნებით არის ბოროტი ბიჭი. მაყურებელი ხედავს, რომ კოწიწას არასწორი რჩევით აცა და ბაცა სიტყვას უბრუნებენ მშობლებს, სახლიდან მიიპარებიან ფათერაკს ხვდებიან გზაზე. მსახიობი ბ. ხაფავა სწორად მიჰყვება ავტორისა და რეჟისორის ჩანაფიქრს, მაგრამ არც ავტორს და არც თეატრს არ გააჩნია მის მიმართ რაიმე გამოსასწორებელი ხერხები. რას იზამს ბ. ხაფავას კოწიწა, ნუთუ ასე მატყუარა, ქლესა და მაცდური უნდა დარჩეს?

ლაღიკუნა მართალია ეპიზოდური სახეა, მაგრამ ძალზე კოლორიტულად წარმოგვიდგინა რესპ. დამსახ. არტისტმა ფ. სონულაშვილმა. ეს გახლავთ სამართლიანი, პურადი რაჭველი კაცი. ლაღიკუნამ ზარალის მეტი ვერაფერი ნახა აცასა და ბაცას სამსახურით, მაგრამ იგი მაინც მამობრივი მზრუნველობით მოექცა ბიჭებს, — საგზაო ფული მისცა და სოფელში მშობლებთან დაბრუნება ურჩია.

კეთილი ქალის სახე წარმოგვიდგინა რესპ. დამს. არტისტმა ი. ტყავაძემ ფეფლოს სახით. ეს ქალი, როგორც სცენიდან ხედავთ, სოფლის მცხოვრებთა საყვარელი ადამიანია.

პიესა ოცამდე მოქმედ პირს შეიცავს. ისინი ავტორის მიერ დამხმარე პერსონაჟებად არიან მოცემულნი და ამიტომ დრამატურგიულ თვალსაზრისითაც ნაკლებ დამუშავებულნი არიან. ამით შორის თავიანთი მსახიობური შესრულებით მნახველთა ყურადღებას იქცევენ ნ. ჯავახიშვილი (მუმულა), ჯ. ფილფანი (მწყემსი), თ. ფარცხალაძე (მგელია), ლ. ხარშილაძე (კობწია), გ. დღისაძე (გლეხი).

აღსანიშნავია ერთი ფაქტი. მაგალითად, მასობრივ სცენებში, როცა სიმღერა-შაირობაა გამართული, ზოგიერთი მსახიობი იმის მავივრად, რომ სცენაზე შექმნილ სიტუაციას იყოს შერწყმული, დარბაზის თვალღებებს უნდება. ეს განსაკუთრებით ეტყობა დედაკაცის შემსრულებელს მსახიობ ლ. ანთაძეს.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია შალვა ვაწერელია. იგი პოულობს ლაკონურ მიზანსცენებს, რათა წარმოდგენა მსუბუქი და ადვილად გასაგები იყოს. თითოეულ წამყვან პერსონაჟს რეჟისორი სწორ სამოქმედო გეზს აძლევს, ცდი-

ლობს, რაც შეიძლება მეტი მოქმედება იგონებო-
ბოდეს სპექტაკლში და ამით ამოავსოს ის ხარ-
ვეზი, რაც თვით პეისას, როგორც დრამატურ-
გულ ნაწარმოებს გააჩნია. ვარდა ამისა, მის
კიდურ კარგადაა მიგნებული სპექტაკლის მუსი-
კალური მხარეც, რაშიც, რა თქმა უნდა, კომპო-
ზიტორ მერე დავითაშვილისა და ქორეოგრაფ
გივი ოდიკაძის დამსახურებაცაა.

სპექტაკლ „აცა-ბაცას“ სიმსუბუქეს, მის ან-
სამბლურობას მხარი აუბა ახალგაზრდა მხა-
ტვარმა-დეკორატორმა გ. ალექსი-მესხიშვილმა.
მის მიერ აგებული მხატვრული დანადგარი მარ-
ტივი და ლაკონურია.

სულ სხვა ხასიათისაა გ. მამლინის პეისა „შენ
ეი, გამარჯობა“. მისი თემა ქალ-ვაჟებში პირვე-
ლი სიყვარულის დაბადებაა.

მაშა ბებიასთან პატარა საკურორტო ქალაქ-
შია. ბებიას თავის კარმიდამოზე ყვავილი და
ხილი მოჰყავს. მაშა ეხმარება რა მოხუც ბე-
ბიას, მოსავალი ბაზარზე გასაყიდად გააქვს.

„ვარდები, მიხაკები“ ვაიძახის გოგონა და ცდი-
ლობს, რაც შეიძლება მალე და სარფიანად გა-
უსაღოს ბებიას თავისი მოსავალი. მაშას მახ-
ლობლად ცხოვრობს ვალერიკა, რომლის სახლ-
შიც უამრავი სტუმარი მოდის და მიდის. აი,
ეს ორი მოზარდი ხვდება ერთმანეთს და მათ
ურთიერთობაზეა აგებული ეს პიესაც.

სპექტაკლი „შენ ეი, გამარჯობა“ სადილობო
ნამუშევარია. იგი დადგა რეჟისორ-დიპლომანტ-
მა ნანა კვასხვაძემ. დამწყებმა შემოქმედმა გულ-
დასმით წაიკითხა გ. მამლინის პიესა. მან თავი-
სებურად „გაწმინდა“ ტექსტალური მასალა, მო-
ხერხებულად შეადგინა რეჟისორული ექსპლი-
კაცია და ისე ააგო მიზანსცენები, რომ ერთი
წუთითაც კი არ იგონებდა სპექტაკლში სცენუ-
რი უხერხულობა. პეისა ორი მოქმედი პირისა-
გან შედგება. ასეთ შემთხვევაში ძნელია მსყუ-
რებელმა, და ისიც მოზარდმა მსყურებელმა,
ისე აღიქვას წარმოდგენა, რომ დადლა არ იგ-
ონებოს. ნანა კვასხვაძის, როგორც რეჟისორის,
დამსახურება სწორედ ამაში გამოჩნდა, მსყუ-
რებელს თითქმის ამოსუნთქვის საშუალების არ
აძლევს. შუშხუნასავით შეუჩერებელი მოედინ-
ება სიტუაციები, მიზანსცენები, სცენები და
თქვენს წინაშე ლამაზად გარბიან ორშაბათები
თუ ოთხშაბათები, სამშაბათები თუ ხუთშაბათე-
ბი, პარასკევები თუ კვირეები.

რეჟისორის მიერ გააზრებულ სპექტაკლს
თავისი მხატვრული ლაზათი დასდო გ. ალექსი-
მესხიშვილმა. იგი ორიგინალურ ხერხს პოუ-
ლობს სცენების შესაცვლელად. ჩვენ ვხედავთ,
რომ ყოველი ახალი სურათის დაწყებისას სცენ-
ის თავზე ეშვება ფერადი ფარი წარწერით
„ორშაბათი“, „სამშაბათი“, „ოთხშაბათი“ და
ა. შ. ეს ხერხი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მარ-

ტო სურათები კი არ იცვლება, არამედ დღეები
გარბიან, გარბიან ასევე ლამაზად, ასევე ფერა-
დოვნად. როგორც ეს ფარები. მხატვარი თით-
ქოს იმსაც კი ახერხებს, რომ წარწერათა ფე-
რებში დავინახოთ რომელ დღეს რა განწყობი-
ლება აქვთ წარმოდგენის გმირებს, როდის
არიან ძალზე მხიარულნი, როდის სერიოზულნი,
როდის ცოტა ნაღვლიანები.

სპექტაკლის მუსიკალური მხარე კარგად აქვს
მონახული ნ. ასათიანს. მომღერალი მ. მენაბ-
დის მიერ შესრულებული სიმღერები რომან-
ტიკულ ელფერს აძლევენ წარმოდგენის ანსამ-
ბლურობას.

სხვათაშორის, ვიდრე აქტიორულ შესრულე-
ბაზე გადავალთ, აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი
ფაქტი. თბილისის თეატრალურ ინსტიტუტთან
არსებობს მოზარდმსყურებელთა ქართული
თეატრის მომავალ მსახიობთა ჯგუფი. ისინი
თეორიულ მომზადებას ინსტიტუტში გადიან,
ხოლო პრაქტიკულ გამოცდილებას თეატრში
ეუფლებიან. აი, სწორედ ამ ჯგუფის მსმენელ-
თა რიცხვს განეკუთვნებიან ამ სპექტაკლის მო-
ნაწილენი გაული მახათაძე და აკაკი შანშია-
შვილი.

გული მახათაძე ჩვენ წინაშე მაშას სახით
წარმოსდგა. როგორც თავში აღვნიშნეთ, მაშა
ბებიასთან ჩამოვიდა არდადეგების გასატარებ-
ლად. ამასთანავე შეძლებისდაგვარად ეხმარება
ოჯახური საქმეების მოგვარებაში. გ. მახათაძის
მაშა სიცოცხლით აღსაცხე გოგონაა. ეს ისეთი
ასაკია, როდესაც ცხოვრება თანდათან თავის
ნამდვილ სახეს იღებს ადამიანის შეგნებაში. მა-
შა სასხვათაშორისოდ თუ ჩაივლიდა ხოლმე
ზღვის ნაპირას, აღმაცერად ვახვდივდა ნავე-
ბთან და ანკესებთან მოფუსფუსე ვალერიკას.
შემდეგ ნამდვილად დაინტერესდა ვალერიკას
პიროვნებით. რაღაც უცხო, დღემდე შეუმჩნე-
ველმა გრძობამ ძალუმად უბიძგა გოგონას და
ახლა დღე ისე არ გაივლის, რომ ვალერიკას არ
ჩაუარ-ჩამოუაროს. მერე რა ხერხი არ იხმარა,
რომ გასცნობოდა. ყოველგვარი „ქალური“ ეშ-
მაკობა გამოიყენა და ავიწაფადლსაც მიაღწია.
გ. მახათაძე ნელ-ნელა ძერწავს თავის სცენურ
სახეს. ორიოდ კვირაში თითქოს ახალი ადამი-
ანი დაიბადა. მას აღარც ყვავილების გაყიდ-
ვა უნდა, აღარც ხილის. სულ არ წავა ბაზარში,
ოღონდ ვალერიკასთან ახლოს იყოს. მსახიობმა
დიდი გულწრფელობითა და სცენური დამაჯე-
რებლობით ჩაატარა სცენა, როდესაც მასთან
ჩუმად მივდებულ ვიგნის პატრონის ვინაობა
დაადგინა. აქ უკვე ხვდება მახათაძის მაშა, რომ
ვალერიკას იგი მოსწონს, შეიძლება კიდევ
უყვარდეს. ამიტომ გოგონა გამარჯვებულ პო-
ზაში დგება და გამომწვევად ეუბნება ვაჟს:
„ვიცი, ვალერიკა, ვიცი! ახლა კი წადი, წადი!“

118811



ამ ფრაზებში იმდენი თვითდაჯერებულობა, იმდენი ს-ხარული, იმდენი მხატვრული სიპართ-
ლია, რომ მყუდრებელთა თვალთახედვას თით-
ქოს ებარება მსახიობი და მის წინაშე დგას
პირველი სიყვარულის გრძნობით აღტკინებუ-
ლი გოგონა.

ასევე სანტერესოდ წარმართავს თავის სცე-
ნურ სახეს აკაკი შანშიაშვილი. მისი ვალერკა
თავშეკავებული, ჩუმი ბიჭია მას ეზარება ზედ-
მეტო ლაშარაკი. თვალის დასანახავად ეჯავრება
პრანკია, მატრაბაზი გოგონები. მამას ხომ სულ
ყვრ იტანს. აბა, ის რა უნდა იყოს, რომელიც
ყვავილებს კალათით ხელში ბაზარში დადის
და გაიძახის „ვარდები, მიხაკები, ხუთი ცალი
ორ მინეთად“ და ა. შ. ანდა რა მისი საქმეა გო-
გონებთან მეგობრობა? ა. შანშიაშვილის ვალე-
რკა თავს ეჯყაცობაზე სდებს. მამლაყინწაობს,

მაგრამ ნელ-ნელა ისიც ფარხმალს ყრის. შან-
შიაშვილის ვალერკა უკვე ცდილობს როგორმე
მამას თავი მოაწონოს სურს თავის გემოვნებაზე
ატაროს მამენკა. გოგონასაგან განსხვავებით ვა-
ლერკა უფრო გულთა, უფრო ალალია. მას
სურს, რომ ყველაფერს თავისი სახელი ერქვას.
ამიტომ მისი სიყვარულიც უეცრად აფეთქებუ-
ლი და აღვზნებულა. შანშიაშვილი შეძლების-
დაგვარად ახერხებს მასში „დაბანდებული“ ყო-
ველგვარი აქტიორული შესაძლებლობის გაც-
ლას, რათა მყუდრებელთა წინაშე წარმოადგი-
ნოს პატიოსანი, გულკეთილი, მახათაძის მამენ-
კასათვის ნამდვილი, შესაფერი პარტიორი.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ორივე
სპექტაკლი საეგებით უპასუხებს მოზარდ-მყუ-
რებელთა თეატრის მოთხოვნილებას.

„ანა ფრანკის დღიური“ ნიკო მაჭავარიანი

დღიურის ფურცლები კაცობრიობის ისტო-
რიაში ყველაზე საშინელი ეპოქის, ფაშაზმის
შესახებ დაღადებენ. ისინი ცამეტი წლის გო-
გონას თვლებით უყურებენ სამყაროს, იმ პა-
ტარა გოგონას თვლებით, რომელსაც სიკვდი-
ლის წინაც სჯეროდა სიკეთისა და უკვდავებას.
ყველაფერი გაქრა! უკვალოდ... — ამბობს
ამსტერდამის ერთ-ერთი სახლის სხენზე შე-
ფარებული ანა ფრანკი წარსული ცხოვრების
უზრუნველობის შესახებ, რა უნდა ენახა მას
ისეთი, რომ ეს სიტყვები წარმოეთქვა?

ტოტალური სახელმწიფოს შექმნისათვის ფა-
შისტებმა მსხვერპლად შეიწირეს ათასობით პა-
ტარა ლისი და ანა, პეტერი და ჯენი, რომელ-
თაც კიდევ სურდათ ადამიანური ცხოვრება და
საკონცენტრაციო ბანაკების კრემატორიუმებში
დაასრულეს თავიანთი პატარა სიცოცხლე.

მრავალი თეატრი დაუინტერესებია ანას
ცხოვრების სევდიან ეპიზოდებს. მოზარდ მა-
ყურებლისათვის განსაკუთრებით ახლობელია
ანას, როგორც თანატოლის ბიოგრაფია.

მოზარდ მყუდრებელთა ქართულ თეატრში
სპექტაკლის დადგმა განახორციელა რეჟისორ-
მა შალვა გაწერლიამ. ანა ფრანკს განასახიერ-
ებს თეატრალური ინსტიტუტის მესამე კურ-
სის სტუდენტი მანანა თევზაძე. ანას ბავშვური
სიწრფელე და უშუალობა, მისი ცელქი ცნო-
ბისმოყვარეობა. სიცოცხლის ტრფიალი, სიხალი-
სე — აი, ეს აღვადგებს მსახიობს მას მერე,
რაც ანას შინაგან განცდებსა და მწუხარებას
გადმოგვცემს.

ოტო ფრანკი (მსახიობი რ. თავართქილაძე)
თავისი ოჯახით ვან დაანების ოჯახის წევრები და

კბილის ექიმში დუსელი ერთად აღმოჩნდებიან
თავშესაფარში. ყოველ მათგანს ერთი საერთო
უბედურების გარდა არაფერი აკავშირებს ერთ-
მანეთს. ანა ჩვეული უღარდლობით დაქრის
აქეთ-იქით, მხიარულობს. მამის მიერ მისთვის
წამოღებულ თოჯინას ეალერსება. დღიურის და-
ნახვაზე კი ახალი აღფრთოვანება მოიცავს გო-
გონას. „ფანქარი! ჩქარა, ფანქარი მომეცი!“ —
ყვიროს თვალგებრწყინებული ანი და ცდი-
ლობს ჩაივადოს სხენიდან, მაგრამ ოტო ფრანკი
უკრძალავს ქალიშვილს თავშესაფრიდან გასე-
ლას. „თუნდაც დაბლა არავინ იყოს? — კიოხუ-
ლობს თვალცრემლიანი ანი. მისი თვლები სა-
შინელ ვაკვირებას და შეძრწუნებას გამოხატა-
ვენ, და არც თუ უსაფუძვლოდ. ასეთი ცხოვ-
რება ხომ მხოლოდ დიდებს შეუძლიათ! იგი
თანდათან ხვდება თავის მდგომარეობას და
სიხალისეს, რომელიც თოჯინასადმი სიმღერას
თან სდევს, ცვლის შემფოთება, რომელიც
ანას ისევ სიმღერაში სურს დავაროს. ოტო
გრძნობს შვილის სულიერ მღელვარებას და
ისიც გულაჩუყებული ეკვრის მამის მკერდს:
„მამა! მამა!“

აქედან იწყება პატარა ანას დღიურები და
პატარა მყუდრებლის განცდებიც.

მშვენიერია ქ-ნი ვან დაანი (დარეჯან ხარში-
ლაძე. სამს. ფაჟ-ის მეოთხე კ.) მისი სიკეკლე-
ცე და ეშმაკობა, რაც ხსნის გმირის მთელ ში-
ნაგან სამყაროს, პარმონიულად შეერწყმის
სპექტაკლის რიტმს და გამოჰყავს მყუდრებელი
მძიმე სცენების შთაბეჭდილებებიდან. ხარში-
ლაძე-ვან დაანს შიშის დროსაც არ ავიწყდება
ჩვეული სიმეტირე და უცნაური მანერები. ეს

გარემოება, მისი სცენურობა და კომიკური დიალოგები მეუღლესთან მხიარულ ელფერს აძლევენ წარმოდგენას, რომელიც ნელ-ნელა გამოიყვითს ადამიანთა დისკრიმინაციის ზოგიერთ სურათს.

მიზიმ (ც. მახათაძე) შეატყობინა ანის თანაკლასელი ვოგონას, ჯენის ამბავი. იგი საკონცენტრაციო ბანაკში გაეგზავნათ. მშვენიერია თევზაძე-ანა ამ მწუხარე ამბის გაგონებისას. მასზე ძლიერად მოქმედებს მეგობრის ბედი. ანა გაოგნებული გამოდის მყურებლისკენ, თითქოს ეკითხება: „მართალია თუ არა, რასაც მიზი ამბობსო!“ მისი თვალეები ნამდვილ საშინელებას გამოხატავენ, გრძობენ ჯენის უღაღეს ტრაგედიას და საკონცენტრაციო ბანაკს წარმოდგენისას ანი კოვის; „არა! არა, არა.“ პირველი „არა“ ეფექტურია და სასოწარკვეთილად უარყოფს აზრს. მეორე ბრაზიანია, მაგრამ შინაარსით უფრო რბილი, ხოლო მესამე „არა“ თითქო აჯერებს ანას, რომ ეს არ მომხდარა. თუმცა სახე არ შეცვლია მსახიობს, იმედი მაინც უკიაფებს. მიზის ხელის შეხება კი საბოლოოდ არწმუნებს ანიკეს, რომ ყველაფერი ფუჭი იმედია და ხავსს ეჭილება მხოლოდ. ასე იცვლება უარყოფა რწმენის და აღშფოთება — სუსტი ცრემლებით. ანა ტირის, „შესაბრალისად, როგორც ტირიან მისი ასაკის ბავშვები. ახლადა დავიდა ანამდე რაღაც, მაგრამ არც თუ საბოლოოდ. მას თურმე ამის მერეც ვერ დაარწმუნებ ცხოვრებისეულ სიკეთეში. ვერ დაარწმუნებ ბოროტის დაუმარცხებლობაში. სწორედ ამიტომ, ფინალურ სცენაში ანა შენატრებს ყვავილებს, იებას სურნელს და ხმაურის მოახლოებისას, რასაც ფაშისტები იწვევენ, შეშფოთებით და რწმენით, რაც ვოგონას მთელ სახეზე ზეიმობს, იტყვის: „... მაგრამ მე მაინც მჯერა ადამიანური სიკეთის, მე მაინც მჯერა!“

სწორედ ეს არის ახალგაზრდობის ყველაზე დიდი იარაღი ბოროტის აღსაგველად, რადგან მას წარსულის კი არა, მომავლის თვალეები აქვს, მომავლით ცხოვრობს. ეს მონოლოგი ანას შინაგანი სამყაროს ზუსტი მიგნებაა. ასეთი იყო ნამდვილი ანა ფრანკი; დე ვიკი იხსენებს: „ვესტერბორგის ბანაკში ყოფნისას ანას ყოველდღე ზედადღით... მას თვალეები უბრწყინავდა... და ისე თავისუფლად ეჭირა თავი, რომ ჩემ თავს ვეუბნებოდი: იგი ხომ აქაც ბედნიერია!“ სპექტაკლი ანას და მისი მახლობლების დაჭერით მთავრდება. აქ მთავრდება ანას ცხოვრებაც.

ბევრი ითქმოდა ანა ფრანკის შესახებ ამ სპექტაკლის მიხედვით. ასევე მღელვარეა ანას სიზმარი. მსახიობი შესანიშნავი სცენური გამომსახველობით აღწერს ჯენის სახეს: იცი, მა-

მა! ჯენი ვნახე! იდგა ჩემს წინ დაკონკილი, გამხდარი, ყბაჩამოცვენილი. მისი დიდი, სევდიანი თვალეები საყვედურით მიცქერდნენ, თითქოს მეუბნებოდნენ: — ანა, რატომ მიმატოვე, დამხმარე, მიხსენი ამ რაჯოხეთიდან!“ ანა-თევზაძის ხმა, მისი პლასტიკურობა და სიმსუბუქე, რომელიც ყველაზე მეტად ამ სცენაში გამოიყვითა, ჰაერივით სჭირდება გმირის სახეს, მისი ცრემლიანი ვანცდები კი ნათელი დასტურია ანას ცხოვრების ტრაგედიისა.

საინტერესოა ანიკესა და პიტერის (კ. შან-შიაშვილი) რომანი. პიტერი ისეთივე ბავშვია, როგორც ანა. უფრო მეტიც, ვოგონა მხოლოდ მასთან მოქმედებს ქვეტექსტებით და პიტერი ვერც ხვდება, თუ რისი თქმა უნდა ანას ამით. ასეთია ანას დიალოგი მეგობრობაზე, სიყვარულზე და შ.

საინტერესოა, ასევე რელიგიური ექსტაზის ეპიზოდები. სცენა, როცა ყველა სულის გადარჩენას ევედრება ღმერთს, მღელვარეა და დაძაბული. ხალხს თვალეებში ხან გადარჩენის იმედი უკიაფებთ, ხან სულით ეცემიან. ქ-ნი ვან-დაანი უცნაურ მოძრაობებს აკეთებს ჭელებით და სახეზე უაზრო გამომეტყველება ეხატება, ქ-ნი ფრანკი კი ნამდვილ რელიგიურ ექსტაზში ვარდება. რაც შეეხება სიმღერას („დაბ...“), ძველებურ მოტივს, რომელსაც ოტო ფრანკი ამღერებს თავშესაფრის მკვიდრო გასამხნეველად. რეჟისორს ეს ვანწყობა უფრო მაღალ რეგისტრში უნდა აეყვანა, მაგრამ მოხდა პირიქით. მას იმდენად ყალბად იწყებს ყველა უკლებლივ, რომ აშკარად გრძობს სპექტაკლიდან ამოვარდნილ სცენას, მაგრამ თუ ეს ზუსტად ამ მიზნით არის ჩაფიქრებული, რათა ხალხის დაბნეულობა გამოხატოს, მაინც არ შეესაბამება წინა სცენების მღელვარე სიმართლეს.

მარგოს როლი თითქო მცირეა მაგრამ ფსიქოლოგიურად გმირი უფრო ტრაგიკულია, ვიდრე თვით ანა ფრანკი. მარგო-მჭედლიძე პირველ სცენებში თითქო შეგუებულია თავის მდგომარეობას, მცირეოდენი დეღავაც არ ეტყობა. არ შეიძლება თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ქალი შეეკეტო ოთხკედელშია, აუტრძლო ყველაფერი, ამისთან მოძრაობაც კი და მან, შინაგანადაც არ გამოამყვანოს (თუ გარეგნულად არა) თავისი მწუხარება. მაგრამ თურმე ეს საჭირო ყოფილა, რადგან სპექტაკლის ბოლოს მარგო-მჭედლიძე აცხადებს „მგონი, ისევე ის მიჩვენია, რომ რაც მოსახდენია, მალე მოხდებაო!“ უცნაურად გვეჩვენება მარგოს ეს მოუთმენლობა. ის ხომ ყოველთვის მშვიდი იყო. ავად გახდომაც ვერ აღვიქვით, როგორც სულიერი მღელვარების შედეგი. რამ გამოიწვია ეს? მარგოს სიტყვები წინამდებარე სცენ-

ნებს უნდა გაემართლებინა. საჭიროა მეტი შინაგანი გამომსახველობა, დაძაბულობა. ბოლოს და ბოლოს, მარგო ანას დაა, მისი ბუნების ნაწილი.

სპექტაკლში ერთადერთი ფირფიტა ჟღერს, რომელზედაც ძველებური ვალსია ჩაწერილი. ეს სევილიანი მელოდია, რომელიც ყოველი გმირის სულიერ განწყობას გამოხატავს, ხან მსაბურთელი ჟღერადობის გვეჩვენებს, ხან კი — იმდენად მწუხარედ, რომ მძიმე სცენებში ვერც ანი, ვერც ოტო თუ სხვა ვერ უძლებს მის ხმას და სასწრაფოდ რთავენ.

მონოტონურობა მუსიკაში, დეკორაციებში, განცდებში, რომელიც რიგ-რიგობით გადაეცემა ყოველ გმირს, დამახასიათებელია მათი ცხოვრების პირობებისა.

მიუხედავად ამ ერთფეროვნებისა, მაყურებელი ბოლომდე ვერ გრძნობს მონოტონურ გარემოს, ექცევა გმირთა განწყობილებაში და გულწრფელად ერთვება მათ ყოველდღიურ საზრუნავში.

ჩემი მიზანი იყო, აზრი გამოემეტვა თეატრ. ინსტიტუტის სტუდენტთა მუშაობის შესახებ, ამიტომ პროფესიონალი მსახიობების მიმართ არაფერი მოთქვამს, თუმც ბევრის თქმა შეიქმლებოდა. რევან თეატრითავე და ტარიელ გიორგაძე ამდღერებენ სპექტაკლს ღრმა, აზრობრივი სცენებით.

ინსტიტუტელებს კი შეიძლება ვუსუტრვოთ მეტი შემოქმედებითი წარმატებები.

ოქისობა ქეთევან ხუციშვილი

1960 წელს სოფელ ოძისში (დუშეთის რაიონი) გაიხსნა გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმი. წელს კი დუშეთელებმა მეტად საინტერესო ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი. გიორგი და დავით ერისთავების სახელების უკვდავსაყოფად ყოველი წლის სექტემბრის უკანასკნელ კვირას ოძისში იხეიმიბენ ქართული თეატრის დღეს, ანუ ოძისობას. სწორედ ამ ტრადიციის საფუძვლის ჩასაყრელად მიმდინარე წლის 23 სექტემბერს დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან, გიორგი და დავით ერისთავის სახლ-მუზეუმთან და საზოგადოება „ცოდნასთან“ ერთად, ჩაატარა გიორგი და დავით ერისთავების მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

გიორგი და დავით ერისთავების სამწერლო-საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე მოხსენება წაიკითხა პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა, ხოლო მათ თეატრალურ მოღვაწეობაზე ისაუბრა პროფესორმა დიმიტრი ჯანელიძემ.

სიტყვებში გამოვიდნენ პროფესორები — შალვა რადიანი, ჯუმბერ ჭუმბურიძე და ივანე ქავთარაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დავით ჩხეიძე, დუშეთის საშუალო სკოლის პედაგოგები — როსტიაშვილი და ლ. ვაშაკიძე, დავით ერისთავის შვილისშვილი დავით ერისთავი, ოძისელი კოლმეურნე ვასილ ვარდუაშვილი. ოძისის საშ. სკოლის მოსწავლეებმა დ. შიოშვილმა და ლ. მაჩაიძემ, დუშეთის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილემ ირაკლი გოგოლაურმა წაიკითხეს გიორგი და დავით ერისთავებისადმი მიძღვნილი ლექსები (ი. გოგოლაურის ლექსი „იკორთა“ იბეჭდება 42-ე გვერდზე).

კოვხე მარჯანიშვილის საიუზილო ღვაწში

ქართულმა ხალხმა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნეს გამოჩენილი რეჟისორის, ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავი.

იუბილეში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდნენ სტუმრები მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ალმა-ატის, ერევნის და სხვა ქალაქების თვალსაჩინო მსახიობები.

შ. რუსთაველის სახელობის თეატრში

22 ნოემბერს შ. რუსთაველის სახელობის თეატრში ჩატარდა დიდი რეჟისორის ხსოვნის საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრის დირექტორმა **ო. ქინქლაძემ**. მოხსენება წაიკითხა თეატრმცოდნე **ნ. გურაბანიძემ**. სიტყვები წარმოსთქვეს: **ნ. შვანგირაძემ**, **გ. ჯიბლაძემ**, **ე. გოგოლევაძემ**.

მიტინგი მთაწმინდაზე

23 ნოემბერს მთაწმინდის მწვერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, სადაც განისვენებს კოტე მარჯანიშვილის ნეშტი, გაიმართა რეჟისორის ხსოვნის მიტინგი. აქ შეიკრიბნენ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, თეატრალური მოღვაწეები, სტუმრები. აქ მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. გოგიჩაიშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე**, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ლელაშვილი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **გ. ბელინიშვილი**, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

რეჟისორის საფლავს ამკობენ გვირგვინებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების, მარჯანიშვილის სახელობის, რუსთაველის სახელობის, გრიბოედოვის სახელობის თეატრების და სხვა ორგანიზაციებისაგან.

იუბილესათვის საფლავზე დაიდგა რეჟისორის ძეგლი, რომლის ავტორია საქართველოს დამსახურებული მხატვარი **ბიძინა ავალიშვილი**. (კვარცხლბეკი არქიტექტორ **გ. ჯავარიძისა**).

მიტინგი გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **ო. თაქთაქიშვილმა**.

— დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ამ წმინდათაწმინდა მიწაზე, რათა პატივი ვცეთ კოტე მარჯანიშვილის ხსოვნას, რომლის შემოქმედება უკვდავია და არ ემორჩილება ჟამთა ცვლას. რეჟისორის სახელგანთქმულმა დადგებმა ქვეყნის სცენებზე უდიდესი როლი შეასრულეს რუსული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. მარჯანიშვილი იყო ქართული საბჭოთა თეატრის მშენებლობის აქტიური მონაწილე. 1922 წელს რუსთაველის სახელობის თეატრში მის მიერ დადგმულ სპექტაკლს „ცხვრის წყაროს“ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიისათვის.

თავის დადგებებში რეჟისორი ესწრაფვოდა გამომსახველობას, სცენური ფორმის მკაფიობას. მარჯანიშვილმა აღზარდა რეჟისორებისა და მსახიობების მთელი თაობა, რომლებიც პირნათლად განაგრძობენ და ავითარებენ დიდი მასშტაბის ტრადიციებს.

ო. თაქთაქიშვილი გულითადად მიესალმა სტუმრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ კოტე მარჯანიშვილის ხსოვნის პატივსაცემად, ვისი შემოქმედებაც ერთდროულად ეროვნული და ინტერნაციონალურია.

მიტინგზე გამოვიდა საქართველოს სახალხო არტისტი **ი. რუსინოვი**, რომელმაც წაიკითხა კოტე მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი **იოსებ გრიშაშვილის** ლექსი.

... გაისმის ქართული მელოდიები. მიტინგი დამთავრდა. საფლავზე ცოცხალი ყვავილების მთა აღიმართა.

ამავე დღეს **კ. მარჯანიშვილის** სახ. თეატრში გაიმართა დიდი ქართველი რეჟისორის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და შ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის სამეცნიერო სესია. სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები, რომლებიც დასახელებული იყო ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში.

საზიარო საიუზილო საღამო

გამოჩენილი რეჟისორის იუბილე ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად იქცა. სხვანაირად ვერ უწოდებ საიუბილეო საღამოს, რომელიც 24 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

სცენაზე ყვავილებით შემკული კოტე მარჯანიშვილის დიდი პორტრეტია.

საზეიმო საიუბილეო საღამოს პრეზიდენტობა
არაირან ამხანაგები:

**პ. გილაშვილი, მ. გოგიჩაიშვილი, ა. ინაური,
შ. კიკნაძე, ზ. პატარიძე, ე. შვეარდნაძე, ა. ჩურ-
კინი, გ. ძოწენიძე, შ. ჭანჭუჭავაძე, გ. ჯავახიშვი-
ლი, თ. ჩერქეზია, ჯ. პატიაშვილი.**

აქვე არაირან სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე პ. გორნკოვი, მთავრობის საიუბილეო კომისიის წევრები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მთავრობის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ**.

XIX საუკუნის ქართული კულტურის პროგრესულ მოღვაწეთა სახელოვანი დემოკრატიული ტრადიციების მემკვიდრე, — თქვა მან, — კოტე მარჯანიშვილი იყო რეალიზმის დამცველი თეატრალურ ხელოვნებაში, მაღალი იდეულობის თეატრისათვის მებრძოლი. სწორედ ამ პროგრესულმა მისწრაფებებმა მიიყვანეს იგი მოღვაწეობის აღრეულ ეტაპზე ჩეხოვისა და გორკის დრამატურგებთან. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების 25 წელი მიუძღვნა მარჯანიშვილმა რუსულ თეატრს. ქართველი ხალხისა და სხვა ხალხების მეგობრობისა და ერთიანობის მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები მის შემოქმედებაში თავისებურად, ღრმად და თანმიმდევრულად აისახა, შემოქმედებითს პრაქტიკაში წარმოაჩინა სხვადასხვა ეროვნული კულტურების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგამდიდრების დიალექტიკური პროცესი.

მარჯანიშვილის შემოქმედება ღრმად ხალხური იყო. რეჟისორის თავის მიზნად მიიჩნდა ხელოვნების სამსახური, რომელიც უნდა იყოს მაღალი, ნათელი, იზიდავდეს არა მარტო რჩეულთ, არამედ მასებსაც ღრმად მოაზროვნე ხელოვანი დაუცხრომლად ზრუნავდა იმისათვის, რომ თეატრალური წარმოდგენა, მთელი თეატრი ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს თანამედროვე ცხოვრების ტემპს, მუდამ ეხმარებოდეს ებოქას, აკმაყოფილებდეს მის მოთხოვნილებებს და აზიარებდეს მაყურებელს ხალხის, მხნე, ცხოველყოფილ ხელოვნებას.

კოტე მარჯანიშვილის შემოქმედების ამ მხარეს ყველაზე უკეთ გვაცნობს ა. ვ. ლუნჩაჩოვის მოგონებანი: „კოტე მარჯანიშვილი უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე თეატრალური მოღვაწე, იყო საზეიმო თეატრის მსახური. ეს მას გამოსდიოდა თავისთავად. ასეთი შესანიშნავი, გაირიყვნილებული ზეიმი, ახმანიებული მუსიკითა და უხვი საღებავებით მზადდებოდა

მის სულში, მწიფდებოდა მის ზეიმი. საქმარისი იყო გეხილათ მისი შთაგონებული ლამაზი სახე, რომ გერწმუნათ, ეს იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო კაცობრიობის ზეიმისათვის მუდმივი სამსახური გაეწია“.

მარჯანიშვილის მთელი შემოქმედებითი გზა აღსავსეა ახლის, რევოლუციურის ძიებით. უფერულობისა და შტამპების მტერმა, მთელ თავის შემოქმედებით ცხოვრებას საფუძვლად დაუდო თეატრალური ფორმით, სახოვნებით, პიერბოლებით მგზნებარე გატაცება, და ამავე დროს თეატრის ძირითადი, ყველაზე არსებითი კრიტერიუმის იდეულობისა და მსახიობის თამაშის რეალიზმის დამცველი რჩებოდა.

დადგა დრო, როცა შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ შესანიშნავ ტრადიციებზე, რომლებიც ქართულ თეატრს დაუტოვა კოტე მარჯანიშვილმა. ეს ტრადიციები მარტო ცოცხალი როდია, ისინი განსაზღვრავენ მთლიანად თანამედროვე ქართული თეატრის გზას. ისინი ცოცხლობენ მარჯანიშვილის სკოლის მსახიობებშიც — მის აღზრდალებში, აგრეთვე იმათში ვინც უფრო გვიან მოვიდა ქართულ თეატრში, და ესტაფეტასავით მიიღო მასწავლებლის ანდერძი. მარჯანიშვილის ტრადიციები ეხმარება მათ განავითარონ საბჭოთა თეატრალური ხელოვნება — დიდი აზრების, გაბედულ ნოვატორული ფორმებისა და მხნე, ცხოველყოფილი პათოსის ხელოვნება, რომლისთვისაც ბრძოლას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე კოტე მარჯანიშვილმა, დიდმა რეჟისორმა და მოქალაქემ. და დღეს, როცა ვკითხულობთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესანიშნავ სტრიქონებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება „მოწოდებული არიან იყონ სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათს ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს, იყონ მათი იდეური გამდიდრებისა და ზნობრივი აღზრდის საშუალება“, საბჭოთა თეატრის სხვა ფუძემდებელთა შორის ჩვენ ეხსენებთ კოტე მარჯანიშვილსაც, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ამ მაღალი პრინციპების დამკვიდრებას, რომლებსაც რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდა.

დღეს, როცა ჩვენი ხალხი ემზადება ზეიმიით აღნიშნოს მძლავრი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავი — უდიდესი მოვლენა არა მარტო ჩვენი ხალხების, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაშიც, ჩვენ განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს, რომ კოტე მარჯანიშვილი მთელი თავისი მჩქეფარე მოღვაწეობით ხელს უწყობდა საბჭოთა ხალხების კულტურათა და ახლოებასა და ურთიერთგამდიდრებას.

კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლის-
თავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გახსნი-
ლად ცხადდება.

კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქ-
მედების შესახებ მოხსენება გააქეთა საქართვე-
ლოს მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტი-
კოსმა **ბ. უდენტმა**.

— ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვ-
ნების ფუძემდებლის, მთელი საბჭოთური თე-
ატრალური კულტურის დიდი შემოქმედის
ცხოვრება და მოღვაწეობა, — თქვა მან, — ხე-
ლოვნების, მშენებელი ხალხის თავდადებული
სამსახურის უზრუნველესი მაგალითია.

სცენის დიდი რეფორმატორის კოტე მარჯა-
ნიშვილის იუბილე დაემთხვა ღირსშესანიშნავ
თარიღს — 25 ნოემბერს სრულდება 50 წელი,
რაც რუსთაველის სახელობის თეატრში ვაი-
მართა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ პრე-
მიერა. სწორედ ამით იწყება ქართული საბჭოთა
თეატრის ისტორია.

დღეს ჩვენ შევიკრიბებით კოტე მარჯანიშვი-
ლის იუბილეზე დიდი სიხარულით, რადგან ვე-
გებებით საბჭოთა სახელმწიფოს დიად დღე-
სასწაულს. კოტე მარჯანიშვილი თითქოს საბჭო-
თა ხალხების კულტურათა ურთიერთკავშირისა
და ურთიერთგამდიდრების სიმბოლური განსა-
ხიერება იყო. საქართველოს შვილი, ქართული
ლიტერატურისა და თეატრის მდიდარი ტრა-
დიციებით აღზრდილი, მეოთხედი საუკუნე რუ-
სულ სცენას ემსახურა, დიდი წვლილი შეიტანა
რუსული თეატრალური ხელოვნების განვითარე-
ბის ისტორიაში. ჯერ კიდევ 1904 წელს დადგა
მან რიგში თავისი ცნობილი სპექტაკლი —
მ. გორკის „მოაგრაჟენი“, რომელმაც უდიდესი
როლი შეასრულა რუსული რევოლუციამ-
დელი თეატრის ისტორიაში. რეაქციის წლებ-
ში მარჯანიშვილი მუშაობდა უკრაინაში, სადაც
ბევრ მის დადგმას პოლიტიკური რეზონანსი
ჰქონდა. ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევი-
ლუციის წლებში იგი გაბედულად მიემხრო
ხალხის სამართლიან ბრძოლას და ერთ-ერთმა
პირველმა მოჰკიდა ხელი ისეთი სპექტაკლების
დადგმას, რომლებიც ეხმარებოდნენ მშრომელე-
ბის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მარ-
ჯანიშვილი ერთ-ერთი პირველი ჩაება საბჭოთა
თეატრის მშენებლობაში. მისი სპექტაკლი „ცხვ-
რის წყარო“, რომელიც 1919 წელს დადგა კი-
ევში, არსებითად პირველი საბჭოთა სპექტაკლი
იყო, მასობრივ სახალხო სანახაობათა ხელმ-
ძღვანელობა კი რევოლუციური პეტროგრადში
ერთხელ კიდევ ადასტურებდა მის ერთგულებას.
ახალი ეპოქისადმი. ცნობილია, თუ რა როლი
შეასრულა მამინ მარჯანიშვილის სპექტაკლმა
„ცხვრის წყარო“ — მაყურებელნი პირდაპირ

სპექტაკლიდან მიდიოდნენ სამოქალაქო ომის
ფრონტზე. ეს იყო სოციალისტური რეალიზმის
პრინციპების განხორციელების შესანიშნავი მა-
გალითი. სწორედ მამინ დიდი პროლეტარული
მწერალი გორკი გადაეხვია მარჯანიშვილს და
თქვა: „ეს წმინდა სულის ადამიანია“. მარჯანი-
შვილზე მაღალი აზრისანი იყვნენ ლენინისა, სტა-
ნინისა, ნემიროვიჩ-დანჩენკო, მაიაკოვ-
სკი და პროგრესული ინტელიგენციის სხვა წარ-
მომადგენლები.

როცა ახალი საბჭოთა საქართველო იშვა, რო-
ცა ეპოქამ ახალი მოთხოვნები წაუყენა თეატრს,
რევოლუციური ენთუზიაზმით აღსავსე მარჯა-
ნიშვილი სამშობლოში დაბრუნდა „ოქტომბრის
რევოლუციამ საქართველოს მარჯანიშვილის გე-
ნია დაუბრუნა“, — ამბობდა ლენინისა. მარ-
ჯანიშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა ახალი
შემოქმედებითი ძალები, გაერთიანა ძველი და
ახალი თაობები. 50 წლის წინათ 1922 წლის
25 ნოემბერს აიხდა რუსთაველის სახელობის
თეატრის ფარდა და ჩვენ ახალი ქართული საბ-
ჭოთა თეატრის დაბადების მოწმენი ვავხდით.
მარჯანიშვილმა იგი მსოფლიოს საუკეთესო თე-
ატრების დონეზე აიყვანა.

მარჯანიშვილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული
ქართულ ლიტერატურასთან. მან ქართულ თე-
ატრში მოიწვია მწერლები შალვა დადიანი, სან-
დრო შანშიაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე, კარლო
კალაძე და ბევრი სხვა, მათთან ერთად ზრუნავ-
და თანამედროვე ეროვნული რეპერტუარის
შექმნისათვის.

მარჯანიშვილი იყო შესანიშნავი ადამიანი, ბე-
დაგოვი და მოქალაქე, მან აღზარდა მთელი თა-
ობა ნიჭიერი მსახიობებისა, რომელთა სახე ობი
მსოფლიოს ყველა თეატრალურ კოლექტივს
დაამშვენებდა. ვერკო ანჯაფარიძე და უშანვი
ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, შალვა ღამბაშიძე და
ვასო გომიაშვილი, აკაკი კვანტალიანი, გიორგი
შავგულიძე და ცეცილია თაყაიშვილი — ასეთია
მის სახელგანთქმულ მოწაფეთა არასრული სია.
თეატრალურ მხატვართა შესანიშნავმა აღზრ-
დელმა მარჯანიშვილმა თეატრში მიიზიდა ლადო
გულიაშვილი, ელენე ახვლედიანი, დავით კაკა-
ბაძე, ირაკლი გამრეკელი, პეტრე ოცხელი.

მარჯანიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის
რეჟისორობა მთელი პლუადის აღზრდაში. ესენი
არიან სანდრო ახმეტელი, დოდო ანთაძე, არჩილ
ჩხარტიშვილი, სერგო ჭელიძე, გრიგოლ სუ-
ლიაშვილი და სხვები.

მარჯანიშვილი ძვირფასია ჩვენთვის აგრეთვე
როგორც ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედი სინ-
თეზური თეატრისა. მან ჩამოაყალიბა ეს სის-
ტემა თავის წვრილებში, მოგონებებში, ბევრ
ინტერვიუში და, რაც მთავარია, — თავის დად-

გმებში. იგი თავის სპექტაკლებს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ხასიათს აძლევდა.

მარჯანიშვილი ეროვნული და ინტერნაციონალური მასშტაბის დიდი რეჟისორი იყო. მან გვიანდერბა ძლიერი, მაღალიდევური, მაღალმხატვრული ქართული თეატრი. და დღეს ჩვენ დიდი სიყვარულითა და მაღლიერებით ვიხსენებთ მის სახელს, სახელს ადამიანისა, რომელიც დაიფერვლა ქართული ხელოვნების ქართული თეატრის აყვავებისათვის ბრძოლასა და შრომაში. ქართული თეატრი მუდამ ღირსი იქნება თავისი დიდი მასწავლებლისა.

მარჯანიშვილის შესახებ სიტყვები წარმოთქვეს და დამსწრეთ მოგონებანი ვაუზიარეს სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ **კ. ვორიკოვამ**, სსრ კავშირის და საქართველოს სახალხო არტისტმა **ე. გოგოლევა**მ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ვ. ანჯაფარიძემ**, **ო. კუსენკომ** (ყივი), **დ. ანთაძემ**, **ლ. ალექსანდროვსკიამ** (მინსკი), **ა. ვასაძემ**, **ვ. გომიშვილმა**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა **ს. არუთინიანმა** (ერევანი), ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა **რ. ბენიაშმა** (ლენინგრადი), ყაზახეთის სსრ სახალხო არტისტმა **ა. მამბეტოვმა**, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა **ლ. ძენემ** (რაგა), გულთბილი სიტყვით მიმართა შეკრებილთ ცნობილმა პოლონელმა მსახიობმა **ბ. ორიჩმა**.

პოეტმა **ი. ნონეშვილმა** წააკითხა კოტე მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი ახალი ლექსი.

საღღესასწაულო კონცერტზე წარმოადგენილი იყო ყოველივე საუკეთესო, რითაც ამაყობს ქართული თეატრი, გულში ჩამწვდომად გაისმა ფირზე ჩაწერილი ხმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის სერგო ზაქარაძისა, რომელმაც წაიკითხა ილია ჭავჭავაძის ლექსი „ყვარლის მთებს“: „ცერანზე კი უჩვენებდნენ კადრებს რ. ჭიათურელის ფილმიდან „სცენის ჯადოქარი“.

... დარბაზში სინათლე ჩაქრა. სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ვერიკო ანჯაფარიძე** — ივლითი აღელვებული ესაუბრება ურიელს — **უშანგი ჩხეიძეს**. სცენის სიღრმიდან ისმის ურიელის — ჩხეიძის ხმა. დამსწრენი კიდევ ერთხელ გახდნენ სახელმოხვეჭილ მსახიობთა ბრწყინვალე დუეტის მოწმენი.

მაყურებელი კვლავ დაატყვევა საქართველოს სახალხო არტისტის **თამარ ჭავჭავაძის** ხმამ, რომელიც პირველი ლაურენსია იყო სპექტაკლ „ცხვრის წყაროში“.

მაყურებელნი დიდხანს უკრავდნენ ტაშს სსრ კავშირის სახალხო არტისტს **აკაკი ვასაძეს**, რომელმაც წაიკითხა კლავდიუსის მონოლოგი „ჰამლეტის“ მარჯანიშვილისეული დადგმიდან.

ბრწყინვალედ გამოვიდნენ კონცერტზე რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ლამარა ჭყონია**,

საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი **ზურაბ სოტილავა**.

მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვეს **პიანისტო მ. დლიჯაშვილი**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ი. რუსინოვი**, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **თ. ზენიკლიშვილი**. საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა **გ. საღარაძემ** შთაგონებით წაიკითხა მარჯანიშვილის ფიქრები თეატრზე. კონცერტში მონაწილეობდა მარჯანიშვილის თანამედროვე სცენის მემანქანე **ი. ლოვინოვი**.

კონცერტზე, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, გამოვიდნენ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ვოკალური ოქტეტი **მ. ხატელიშვილის** ხელმძღვანელობით, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლი რესპუბლიკის სახალხო არტისტის **ა. კავსაძის** ლობთარობით, საქართველოს სიმფონიური ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **ზ. ხუროძის** დირიჟორობით.

კონცერტი მოამზადეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა **ა. ჩხარტიშვილმა** და მხატვარმა **თ. სუმბათაშვილმა**.

ამავე დღეს დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში გაიხსნა კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობასადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის ექსპონატები ასახავდნენ დიდი რეჟისორის შემოქმედებით მოღვაწეობას რუსეთის თეატრებში (1897—1922 წლები). სტენდებზე მაყურებლებს აცნობენ მარჯანიშვილის დაღვმებს თბილისისა და ქუთაისის დრამატულ და მუსიკალურ თეატრებში. მასალები მჭევრმეტყველურად გვესაუბრებიან ფილმებზე, რომლებიც მან შექმნა კინოსტუდია „ქართულ ფილმი“.

მარჯანიშვილის საზოგადოებრივი

25 ნოემბერს საზეიმოდ გამოიყურებოდა ყვარელი. თბილი, მზიანი დღეა ტრანსპარანტებში, პანოები ამშვენებს ქუჩებს, მოედნებს, სახლებს ისინი მოგვითხრობენ ქართველი ხალხის საამაყო შვილის, გამოჩენილი რეჟისორის, ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ათასობით ყვარელი და სტუმარი, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, შეიკრიბნენ ყვარლის უძველესი ციხის ვალაყანში. იმპროვიზირებულ სცენაზე ადგილებს იკავებდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ჩვენი ქვეყნის ხელოვნების, ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ტრიბუნაზე არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძიწენიძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ-

რი კომიტეტის მდივანი **მ. გოგჩაიშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ლელაშვილი** და სხვები.

საზეიმო საიუბილეო მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. დავითაშვილმა**.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ო. თაქთაქიშვილი**.

აღფრთხიანებული სიტყვა წარმოთქვა მოძვეუკრაინის წარმომადგენელმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ოლღა კუსენკომ**. მან აღნიშნა, რომ მარჯანიშვილის სახელგანთქმულმა დაღმგმბმა საბჭოთა კავშირის თეატრის სცენებზე უდიდესი როლი შეასრულეს და ღირსეული ადგილი დაიკავეს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ვ. გომიაშვილმა**, ყვარლის კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა **მ. ანასაშვილმა**, ყვარლის ქინძმარულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მევენახემ **თ. ნაპირელმა**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა **ი. რუსინოვმა**, ყვარლის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელმა **ნ. მოლაშვილმა**. საინტერესო მოგონებით გამოვიდა დიდი რეჟისორის თანამედროვე, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი **ი. ზაუტაშვილი**.

მიტინგის შემდეგ გაიმართა სახალხო სანახაობა, რომელიც ასახავდა დიდი რეჟისორის ბავშვობას, ყრმობას და თეატრალურ მოღვაწეობას. მასში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა თვითმომქმედმა კოლექტივებმა, მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მახიობებმა წარმოადგინეს ფრაგმენტები კოტე

მარჯანიშვილის სპექტაკლიდან — „მზის დაბნელება საქართველოში“, „ურიელ აკოსტა“.

ათასობით მშრომელმა დაათვალიერა კოტე მარჯანიშვილის სახლმუზეუმი. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დიდი შემოქმედის მოღვაწეობისადმი მიძღვნილმა ახალმა ექსპოზიციამ, რომელიც დღეს გაიხსნა.

დიდი ქართველი რეჟისორის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები გაიმართა აგრეთვე მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში, კიევში.

მარჯანიშვილის საიუბილეოდ მომზადდა და დაისტამბა რამდენიმე საინტერესო წიგნი, რომლებიც მიეძღვნა ქართული სცენის რეფორმატორის შემოქმედებას. მათ შორის თვით კოტე მარჯანიშვილის ნაწერების ორტომეულის პირველი ტომი ე. გუგუშვილისა და თეატრალური კრიტიკოსის ნ. გუტრაბანიძის ნაშრომები. მკითხველმა მიიღო აგრეთვე კ. მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მრავალფეროვანი თეატრალური მოღვაწეობის ამსახველი ალბომი (შემდგენელი კ. ნინიკაშვილი).

ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის საინტერესო დოკუმენტური ფილმები შექმნეს. **რ. ჭიაურელმა** გადაიღო სურათი კოტე მარჯანიშვილზე, ხოლო რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **ვ. ტაბლიაშვილმა** დაამთავრა გახმოვანება კ. მარჯანიშვილის მიერ გადაღებული ფილმისა — „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელიც ქართული კინოს გარაჟრაჟზე შეიქმნა.

საიუბილეოდ გამოიცა აგრეთვე სპეციალური ბუკლეტები, საიუბილეო სამკერდე ნიშნები, საფოსტო მარკები და სხვ.

საქართველოს თეატრალურ მუზეუმში გაიხსნა კ. მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიცია.

იუბილეს დღეებში საქართველოს თეატრებმა აჩვენეს თავისი საუკეთესო დაღმგმბები.

ქუთაისის თოჯინების თეატრი

12-16 დეკემბერს თბილისს საგასტროლოდ ეწვია ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი, რომელმაც აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში წარმოადგინა რ სპექტაკლი: „დოთნას სამართალი“, „პარიზზე“, „ვარსკვლავი ბიჭუნა“, „ხელმწიფე ჭამი“, „თხუნი“ და „თოჯინების ზეიმი“.

15 დეკემბერს მსახიობის სახლის სააქტო დარბაზში მოეწყო საგასტროლო სპექტაკლების განხილვა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო-შე-

მოქმედებითი განყოფილების გამგემ ნ. შვანგარაძემ.

თეატრმცოდნე, აღ. შალუტაშვილმა თავის მოხსენებაში დაწვრილებით განიხილა ქუთაისის თოჯინების თეატრის რეპერტუარი. სპექტაკლების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: თეატრმცოდნეებმა **მ. გოგოლაშვილმა**, **ელ. კვიციანი**, რეჟისორმა **გ. სარჩიელიძემ**, კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების გამგემ **ვ. კვიციანი**, ქუთაისის თოჯინების თეატრის მთავარმა რეჟისორმა **ს. ვინაძემ**.

განხილვა შეაჯამა ნ. შვანგარაძემ.

პაპი ხორავას სახელობისა

ნოვაზორის ბოლოს საზეიმოდ გაიხსნა თბილისის მსახიობის სახლი, რომელსაც დიდი ქართველი მსახიობის აკაკი ხორავას სახელი ეწოდა. ამ სახლის სახით საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებრიობამ ღირსშესანიშნავი საჩუქარი მიიღო. ეს არის, როგორც ჩვენი ჟურნალის მკითხველმა უკვე იცის, თანამედროვე არქიტექტურის საუკეთესო ნიმუში, — ლამაზი, კეთილმოწყობილი, შემოქმედებითი და ადმინისტრაციული მუშაობისათვის ყოველმხრივად ხელსაყრელი შენობა.

მსახიობის სახლის საზეიმო გახსნას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. თბილისისა და რეპუბლიკის თეატრალურ მოღვაწეთა წარმომადგენლების, მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორებისა და მეცნიერთა გარდა აქ იყვნენ სტუმრები მოსკოვიდან, ერევნიდან და სხვა ქალაქებიდან.

მსახიობის სახლის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ანთაქემ. მან დაწვრთ მოუთხრო, თუ როგორ შენდებოდა ეს მშვენიერი შენობა და თეატრალური საზოგადოებისათვის რა შემოქმედებითი მუშაობის პერსპექტივები ისახება. შემდეგ სიტყვით გამოვიდა არქიტექტორი კ. ნახუცარიშვილი (იგი ვლ. მესხიშვილთან ერთად ავტორია მსახიობის სახლის პროექტისა). მსახიობის სახლის გახსნა დამსწრეთა მიულოცეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაქემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ა. ფევერალსკიმ (მოსკოვი), თეატრალურმა კრიტიკოსმა რ. ბენიაშმა (ლენინგრადი), პოლონეთის მეგობრობის დელეგაციის მეთაურმა ბ. ოლრიჩმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა მ. ხინიკაქემ, მ. ჩახავამ, მ. პიასეცკიმ, ი. ტრიპოლსკიმ, მსახიობმა მ. ბიბლიევიშვილმა და სხვებმა.

მსახიობის სახლის გახსნისადმი მიძღვნილ საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა მ. ნაკაშიძემ, დ. ბაღრიძემ, ლ. ჭყონიამ, ნ. ანდლულაქემ, ქორეოგრაფიული სასწავლებლის მონაწილეებმა.

დასასრულს ნაჩვენები იქნა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი, გ. ბათიაშვილის დოკუმენტური დრამა „დაუმთავრებელი ძიება, ანუ მარჯანიშ-

ვილის ოთხი დღე“. ეს წარმოდგენა თეატრმა მიუძღვნა დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავს. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ნ. იონათამაშვილმა, მხატვრულად გაფორმა ა. ფილიპოვმა, მუსიკალურად — ზ. კანდელაკმა; როლებს ასრულებდნენ გ. ქავთარაძე (კოტე მარჯანიშვილი), ა. ტაკიძე (ტოლმაჩევი), მ. ხინიკაძე (ევაზაქოსი), გ. გოგიბერიძე (გენერალი), ნ. მესხიძე (კაცმანი), მ. შერვაშიძე (ოფიცერი), ს. კუნჭულა (სტუდენტი), ლ. დლონტი (სერგეი გორელოვი), ბ. ინჭკირველი (მიხეილ ბაგროვი), რ. კაკაურიძე (ჩინოვნიკი), რ. გელაძე (ტოლმაჩევის ადიუტანტი), ზ. გოგიტაური (ფრანკიანი კაცი).

სპექტაკლმა მაყურებელში გულწრფელი გამოხმაურება ჰპოვა. ეს საინტერესო პიესა სცენურად, რეჟისორმა თოგინალურად გაიაზრა და გადაწყვიტა, მიზანსცენები შთამბეჭდავია, მოქმედება ცოცხალი, მტყუელი. ანსამბლმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ყველას თავისი სახე გაგებული და გააზრებული ჰქონდა. ეს განსაკუთრებით ითქმის მთავარი როლების შემსრულებლებზე. გ. ქავთარაძის მარჯანიშვილი დამაჯარბებელი იყო. აქტიორი ცდილობდა ზუსტად გადმოეცა გმირის შინაგანი ბუნება — სწრაფმოსაზრებულობა, გონებამახვილობა, შინაგანი მოუსვენრობა, მჩქეფარება. ყველაფერი ეს ხასიათის მთლიანობას ქმნიდა, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს მსახიობისათვის ყველაფერი არ იყო. მას უნდოდა (და კიდევაც აღწევდა) კოტე მარჯანიშვილის თვალსაზრისისა და სიბრძნის სილამაზე ეჩვენებინა. გ. ქავთარაძის კოტე, ახალგაზრდობის მიუხედავად მოაზროვნეა, ნათლად იხედება წინ და შორს... პლასტიკურად მისი შესრულება დახვეწილია და ზომიერი, — იქაც კი, სადაც თითქოს ერთი შეხედვით, ვიცნობთ რა მარჯანიშვილის ბუნებას, ეს საჭირო არ იყო, მსახიობის სრული გამარჯვებაც სწორედ ამ ემპირიულის გადაფასებაში გამოიმყვანდა.

მ. ხინიკაძემ, ა. ტაკიძემ და გ. გოგიბერიძემ თანმიმდევრული შთაბეჭდილება შექმნეს, თავისი პერსონაჟების ყოველ კონკრეტულ ქცევაში დაგვაჯერეს და ჭეშმარიტი შთაგონებით სიამოვნება მოგვანიჭეს.

ახალგაზრდა დამდგმელმა რეჟისორმა კოლექტივთან მუშაობის კარგი მხარე გამოამყვანა — შექმნა რა მთლიანი სცენური ქმნილება, რომელიც თითქმის ერთი სუნთქვით აღიქმება.



**ბ. შინკუბას „ძმები“ ონის სახალხო თეატრში
ელენე კვიციანი**

აფხაზეთის სახალხო პოეტის ბ. შინკუბას ნაწარმოების სცენაზე განხორციელება, თავის-თავად, მისასალმებელი ფაქტია.

აფხაზური ლეგენდის საფუძველზე ბ. შინკუბამ შექმნა პოემა „ძმები“. პოემა ქართულად თარგმნა პოეტმა რ. მარგიანმა. თარგმნაში შენარჩუნებულია დედნის სურნელება.

„ძმები“ ონის სახალხო თეატრში განახორციელა ცნობილმა რეჟისორმა გიგა ჯაფარიძემ, რომელიც ახლახან თავისი დასით ესტუმრა თბილისს. რა თქმა უნდა, პოემიდან სპექტაკლის შექმნა, სცენურ ენაზე მისი აღდგენა, არც ისე იოლია. სპექტაკლის დასაყრდენი მასალა მოქმედებაა, პოეტური სიტყვა რეჟისორს უმთავრესად ილუსტრაციული ხერხებით განხორციელების საშუალებას აძლევს, მოსალოდნელი იყო, რომ გ. ჯაფარიძე ამით დაკმაყოფილებოდა, მაგრამ მან იოლი გზით სვლა არ მოისურვა, — განიზრახა ანსამბლური სპექტაკლის შექმნა. საამისოდ გ. ჯაფარიძემ თეატრალურ ხელოვნების მრავალი გამომსახველი საშუალება გამოიყენა — მხატვრობა, მუსიკა, სინათლე, ცეკვა, სიმღერა, რის შედეგადაც მკვეთრად გამოავლინა სპექტაკლის იდეა.

მეტად ძუნწი და ლაკონური დეკორაციების გარემოცვაში (მხატვარი გიგა ჯაფარიძე) სცენაზე მიმდინარეობს აფხაზთა ერთ-ერთი ოჯახის ტრაგიკული სავეც ცხოვრება.

ძმები ყანსოუ (გიგა ჯაფარიძე) და შინსოუ (ზურაბ კობერიძე) სანადიროდ მიემგზავრებიან. მათ დედა-ციური დვლიძე გზას ულოცავს. ტყეში შინსოუს უცნაური სიზმარი ეხმარება. ნადირობა ღმერთი აირგი შემოდის სცენაზე, თავისი მშვენიერი ასულით (სიზმარი რეჟისორს ცხადიდან გასარჩევად, ფეერულად აქვს გამოვლენილი). აირგის ასული ამურებთან ერთად წარმტაცით ცეკვავს (ქორეოგრაფი ზურაბ კობერიძე). ზ. კობერიძე — შინსოუ ცეკვას აყვება, ეხლა უკვე ქალ-ვაჟი ერთად ცეკვავს. ციური დვლიძის ცეკვა მართლაც მიმზიდველი და ელასტიკურია.

გამოვლენება თუ არა, სიზმრით მოჯადობული უმცროსი ძმა განცდილ სიამოვნებას უფროსს გაუზიარებს. ამ დროს ცა ნელ-ნელა იღრუბლება, „ჭირი და ლხინი თანამოზიარენი არიანო“, — ამბობს ქართული ანდაზა. ყანსოუ ტყეში დაიკარგება, ძმა მას უხმობს, მაგრამ პასუხს ვერღებულობს. მალე შინსოუ შორიდან ყანსოუს კენესას გაიგონებს, აინთება სინათლე და სცენის მიღმა გამოჩნდება გ. ჯაფარიძე — ყანსოუ. ის ცალი ხელით ხეზეა ჩამოკიდებული, ფეხი ჩამოტყვრეულ კლდის ლოდზე უდგას. სადაც არის ლოდი მოწყდება და ყანსოუს უფსკრული შთანთქავს. გატანჯული, გაწამებული ხმით შემდეგს წარმოთქვამს: „დილით დამფრთხალ არჩეს გამოვეკიდე, კლდეს დავეკიდე მიჯაჭვეულივით“. ზ. კობერიძე-შინსოუ ძმის გასამხნეველად მთის სიმღერას შემოსძახებს, ყანსოუს მთებიც უმღერიან: „ის ვინც მართლა მამაცია და არაფრის არ აქვს შიში უსათუოდ შეუძლია გზა იპოვოს გასაჭირში“. მაგრამ ყანსოუ სულ უფრო და უფრო კარგავს იმედს, ის შეურთგდა თავის ბედს და სიკვდილის მოლოდინში ძმას ანდერძს უტოვებს.

ეხლა უკვე, კობერიძე-შინსოუ ძმის დახსნის მიზნით უკიდურეს ხერხს მიმართავს; იცის

რა ძმის ეჭვიანი ხასიათი, ცილს წამებს თავის თავს, თითქო მას ყანსოუს მეუღლესთან ინტიმური კავშირი ჰქონდეს და უხარია კიდევ მისი დაღუპვა, მისი სიკვდილი. აქ ზ. კობერიძე — შანსოუს ხმა დამაჯერებლად უღერს. გ. ჯაფარიძე — ყანსოუ, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო, სწრაფად და ენერგიულად დაიწყებს მოქმედებას თავის გადასარჩენად. უქნასკნელ ძალას მოიკრფეს, რათა ხეზე ხელი მოინაცვლოს, მაგარ კლდეს ფეხი დააღვას. ყანსოუ გადარჩა. კობერიძე — შანსოუს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ის თბილად და აღერსიანად შეხვდება ძმას, მაგრამ გ. ჯაფარიძე — ყანსოუ ცივია, როგორც ქვა, მას სახე გაფითრებული აქვს, თვალები ბოროტად უელვარებს, ეტყობა რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება აქვს მიღებული და მართლაც, მოიხელოებენ თუ არა დროს ეჭვიანი და სულსწრაფი ადამიანი არაფერს გამოკითხავს ძმას, ისე წაჰკრავს მას ხელს და უფსკრულში გადაიჩეხს. (ეჭვიანობასა და სულსწრაფობას საბედისწერო დანაშაულამდე შეუძლია მიიყვანოს ადამიანი, — აქ უკვე, პოემის ამ იდეას დაემთხვა სპექტაკლის იდეა).

ამ დროს მათ ოჯახში ყანსოუს ბავშვები ერთობიან, ცეკვავენ. ყანსოუს უფროსი ვაჟი — ვეფხვია გოგრიჭიანი და უმცროსი — გელა მეშვილიშვილი ცეკვაში ეკიბრებიან ერთმანეთს (მიუხედავად ბრწყინვალე ცეკვებისა, საჭიროა მისი შეეცვა, სხვაგვარად თვითმიზნურობამდე მიდის). გამოდის ბავშვების დედა, ბავშვებს უწყურბა, გზავნის მათ ბებიას დასახმარებლად, რომელიც წყალზეა წასული მაგრამ ისმის ბებიას შემადრწუნებელი ხმა. შემოდის და შემოაქვს უმცროსი შვილის ყაბალახი, რომელიც წყალმა მოიტანა. თქმა არ უნდა, რაღაც უბედურებაა მომხდარი. „ძინ ბრუნდება გ. ჯაფარიძე — ყანსოუ, თავდარეტიანებული, ბარბაციტ შემოდის სახლში, მას თვალები გამოღამებია, სხეული რაღაც უჩვეულო შიშს შეუპყრია; დედა — ციური დვალიძე, გაქვავებული დგას შვილის წინ, მრისხანე და გამოცდილი თვალებით პასუხს ითხოვს მისგან: „სად არის იგი, მოკვდა თუ...“ გივა ჯაფარიძე-ყანსოუ იერწამხდარი უამბობს დედას თუ რა მოხდა ტყეში. როგორ გაიხარა ძმამ მისი სიკვდილის მოლოდინით და თვითვე აღიარა, რომ იგი სახლის ამრევია, ამავე დროს ყანსოუ ყოველ ფრაზაში ცოლს შეურაცყოფს. მისი მეუღლე ნარა — ეც. რეხვიაშვილი, სასოწარკვეთილებამი ჩავარდნილი, დიდი გულწრფელობით და ზეაწეული ტონით ზეცას მიმართავს: „უღრუბლო ზეცავ, წმინდაო ზეცავ, შენებრ წმინდა ვარ, მიშველე რამე“. ამის საპასუხოდ შორსმჭვრეტელი და ჭკვიანი დედამთილი მას შემდეგს ეტყვის: „ნან, ნან, მიხედე საბრალო

ბავშვებს, მათ აღარ უნდა იხილონ მამა“. შვილს კი შემდეგნაირად მიმართავს: ბრიყვო, სულელო და უგუნურო, შენი ჭკვიანი ღვიძლი ძმა მოჰკალი, ის გაბრაზებდა განწირულს განზრახ და ამით შეძლო გადაერჩინე... არ გყავს შვილები და აღარც ცოლი, შენზე უარს ამბობს მშობელი დედაც... გამშორდი, წადი. ნუ ბილწავ სახლ-კარს!“

ერთი შვილის დამკარგველი დედა მეორესაც კარგავს. ის საესეა ტრაგიკული ვანცდებით. ამას ვგრძნობთ მისი ლაპარაკის ბეგრებით, თვალების გამომეტყველებით, ექსტიკულაციით და საერთოდ მთელი მისი სხეულით. მაგრამ დედას — ციური დვალიძეს წარბიც არ შეუხრია, — მისი გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევი.

შემდეგ სურათში ჩვენ ვხედავთ გ. ჯაფარიძე-ყანსოუს იმავე მთებთან, საიდანაც თავი იძმა გადაიჩეხა. ის ეხლა უკვე ხელმოცარული, მთლიანად განადგურებული ადამიანია. ძმის სისხლი იმდენად ამძიმებს, რომ წყურვილსაც ვერ იკლავს, — წყალი სისხლად ეჩვენება. ის მოვიდა უქანასკნელი განაჩენის მისაღებად საყვარელ მთებთან და მიმართავს მათ: „...მხოლოდ თქვენ ხართ ყველაფრის მოწყვე. თქვენ შეგიძლიათ, რომ აღმიდგინოთ აწ შებღალული ჩემი ღირსება“. მთები მას გამოეპასუხებან (აკევიში—იკაობ შიმშილავილი), მაგრამ როდესაც სანუგეშოს ვერას ეტყვიან, თვითვე გადაეშვება უფსკრულში.

ორი შვილის დამკარგველი დედა სიკვდილს ეძებს. ისიც მთებთან და უფსკრულთან მიდის, მისი სვლა მექანიკურია, მოქმედება უაზრო. მას თან მიაქვს თავისი უმცროსი შვილის ყაბალახი, უმფროსისას იქვე იპოვის. ის თითქო უკვე აღარ არსებობს. მას ერთადერთი აზრი ამოძარკებს: გადაიჩეხოს იქ, სადაც მისი შვილები გადაიჩეხნენ და ამით თავის ტანჯვას ბოლო მოუღოს. ის უკვე შედგა მადლობზე, უკვე უფსკრულის პირას არის. ამ დროს სადღაციდან ხმა მოესმა: „ბები, ბები!“ ის თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო, ისე წარმოთქვა: „ვიღაცა მიხმობს“. მის წინ წარდგენ შვილიშვილები და რძალი.

დედამ-ციური დვალიძემ, ისევე გამეშვებულმა, ხელების მექანიკური მოძრაობით უფროსს შვილიშვილს უფროსი შვილის ყაბალახი მოახვია ყელზე, უმცროსს — უმცროსის (ეს რეჟისორის მიგნებაა), წარუძღვა შვილიშვილებს წინ. მიდის ის ისევე ისე, თითქო რკინისა იყოს და არა ცოცხალი ადამიანი, გაშტერებული თვალებით და მთლიანად გაშეშებული, მიჰყავს შვილიშვილები შინსაკენ.

აქ გაისმის აუდიტორიის ერთსულოვანი ტაში... ტაში გრძელდება და ფარდაც ნელ-ნელა იხრება.

თეატრალური ლანჩხუთის ისტორიისათვის

გიორგი ეზრაღიძე

1949 წლის ზაფხულში ლანჩხუთის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი ეწვია. წარმოდგინეს „მარგარიტა გოტიე“. სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. მყუდრებელთა გულთბილი მისალმების პასუხად მარგარიტას როლის შემსრულებელმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვერიკო ანჯაფარიძემ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: — მე ვისურვებ მუდამ ასეთი მყუდრებელი მყავდეს. თქვენ მე აღმაფროვანეთ, თქვენ დღეს ჩემი შემოქმედებითი წვის გულწრფელი მონაწილეები ხართ.

ქეშმარიტად დამსახურებული შეფასება... ლანჩხუთის რაიონის თეატრალური ცხოვრების ისტორიის დასაწერად საკმაო მასალები ჯერ არაა გამოვლინებული.

პრესაში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით ლანჩხუთში პირველი წარმოდგენა 1896 წელს დაუდგამთ. სცენისმოყვარეთა დასს ათინოვე წულაძის ხელმძღვანელობით გიტო ცინცაძის ეზოში წარმოდგენია „აღამ და მკა“.

1903 წელს ვანო ასკურავას თათნობით ლანჩხუთში ახალი დასი ჩამოყალიბებულა. მასში მონაწილეობდნენ ქალები: ნ. კანდელიკა, ნ. ჩიქოვანი. ვაყები: პაქუ, ვეკიტა, შალვა შორდანიები და პ. კუტუბიძე.

ამ დასს წარმოდგენები გაუმართავს გიტო ცინცაძის, სოფრომ ბარამიძის და მქსიმელ ზენაიშვილის ეპოქაში.

იმ ხანებში ლანჩხუთელებს თეატრის დაარსებაც განუზრახნათ, მაგრამ რევოლუციური მოძრაობით შეზინებულ ბოქაულ კუხალეიშვილს ეს საქმე დიდი ხნით შეუფერხებია.

1910 წელს სცენისმოყვარეთა დასს ელენე ასკურავას, გ. ანთლიძის, ც. ჭყონიას და სხვათა მონაწილეობით ილია ჭავჭავაძის ფონდის შესაქმნელად დიდი წარმოდგენა გაუმართავთ. იმავე წელს ი. ყორიანიას ეზოში წარმოდგინეს მართაია საზაფხულო კლუბი.

1914 წელს ლანჩხუთის საზოგადოებას სახალხო სახლისათვის პეტრე კილაძისაგან შეუძენია დიდი თარაბა. მისი გახსნის დღეს დაუდგამთ „ერთი ნაბიჯით წინ“.

1910 — 1921 წლებში ლანჩხუთში სავასტროლოდ მრავალჯონს ჩამოსულონ ვ. გუნია, ი. გრიშაიშვილი, ელ. ანდრონიკაშვილი, ალ. წუწუნაია, მარო მდივანი, ვასო ჟურუშაძე, კუკური პატარიძე, აკაკი ვასაძე, კრიგოლ ნუცუბიძე ალ. ბოკორია და სხვები.

პრესაში გამოქვეყნებული წერილების ავტორები აღნიშნავენ რეჟისორ ალ. ჯაყელის და ადგილობრივი სცენისმოყვარეობის კ. აღდენტს, გ. მეზლარიშვილის, იესე (ესიკა) ებრაღიძის ღვაწლს. მათ დაუდგამთ „ტიმოთეს ლეღვი“, „ოთახში“, „სიზმარი კოშკი“, „უბედურია“, „ეაის გავეყარე — უის შევიყარე“, „უმშუმე ვარნი“, „სიძი — სიმამრი“ და სხვა.

მწვერიკების ბატონოების დროს ვარაიელებს თეატრი ჯერ გაუძარცვავთ, ხოლო შემდეგ დაუხურობთ. ლანჩხუთში თეატრი აოსდგა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს.

1921—1930 წლებში ლანჩხუთელ სცენისმოყვარეებს მრავალი წარმოდგენა გაუმართავთ.

მრავალი ერთმოქმედებიანი პიესა დაუდგამთ. ალევრო ისე არ გაიმართებოდა, რომ ლანჩხუთელი მასწავლებლები მხატვრული კითხვით არ გამოსულყოყვნენ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პედაგოგები მიხაკო იმნაძე და იაკინთე კალანდარიშვილი.

რევოლუციურ დღესასწაულების აღსანიშნავ საზეიმო სხდომების შემდეგ სცენისმოყვარენი დამდნენ პატარა პიესებს, გამოდიოდნა მომლერალთა გუნდები, რომლებსაც იესე ებრაღიძე, ი. ჩხაიძე და ილ. მორჩილაძე ხელმძღვანელობდნენ.

1928 წლის პირველი მაისი იყო. კინო თეატრის შენობის აივანზე ტრიბუნა მოეწყობთ. ქუჩებში დემონსტრანტები სიმღერით და მუსიკით მწყობრად მოდიოდნენ, საბარგო მანქანა მოგვიახლოვდა. მის ძარახზე კომკავშირელა სცენისმოყვარენი იდნენ, თითოეულ მათგანს სხვადასხვა ნიღბი ჰქონდა გაკეთებული, ისინი მღვდელს, დიაკვანს, პოლიციელს, ჩარჩვაპარს, მემამულეს განასახიერებდნენ. შესაფერისად იყენენ შემოაილინ. თითოეული „აღსარებას“ ამბობდა. მეორე ავტომანქანის ძარახზე ნიღბებიანი სცენისმოყვარენი მაშინდელი ბურჟუაზიული სამყაროს პოლიტიკურ მოღვაწეებს ჩემბერლენს, პუნჯარეს, ჩანკაიშის და სხვებს განასახიერებდნენ. ხალხს მისარულობდა, იცინოდა...

საღლესასწაულო მიტინგები კინო-თეატრის შენობასთან იმართებოდა. ეს იყო ხის დიდი სახლი. მისი პარტერი 200 კაცს იტევდა. პატარა სცენას უბრალო ქსოვილის ლურჯი ფარდა ამშვენებდა. შენობა ელექტროფიცირებული იყო, მაგრამ დენი ხშირად წყდებოდა. ასეთ ვითარებაში პარტერსაც და სცენასაც ნათის ღამპებით ანათიოდნენ, ხოლო კინო-სენსის შეწყვიტის შემთხვევაში ბილეთები მეორე საოამოსიგის გამოოგებოდა.

1934—1935 წლის სეზონში ახლად ჩამოყალიბებულმა დრამატულმა დასმა იესე ებრაღიძის ხელმძღვანელობით დადგან ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?“

„ვინ არის დამნაშავე?“ მაყურებელმა გულთბილად მიიღო. სიკოს როლს ასრულებდა იესე ებრაღიძე. ფატისას — ლილი თურნავა, სალიჩეს — რისიმე რუსია, არსენას — აკაკი ჩერქაძე, ბაბუს — ვალოდია (ვარლამ) წულაძე.

ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?“ დადგა ესიკა (იესე) ებრაღიძემ. რომელმაც თავისი მრავალმხრივი ნიჭით ხალხის სიყვარული და პატეისცემა დაიმსახურა. ის იყო რეჟისორიც, მხატვარიც და სცენის მუშაც. მას მსახიობებიც ბაძაიდნენ. ეხმარებოდნენ, დასში ერთსულოვნება იყო.

ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავეს“ დადგამ გამოაღიონა თეატრალური ახალგაზრდობის შესაძლებლობა.

1936 წელს ლანჩხუთის თეატრს თბილისიდან ჩამოსული მსახიობები შეემატნენ. დიწყო მუშაობა ა. კორნიიუჟის „პლატონ კრეჩეტის“ დასადგმელად. ამ საქმესაც იესე ებრაღიძე ხელმძღვანელობდა. თეატრის ახალი შენობა ჯერ დამთავრებული არ იყო. „პლატონ კრე-

ჩეტი“ დასმა სამხედრო კომისარიატის სასხდო-
მო დარბაზში წიკითხა. დიდი მაგიდის ირგვ-
ლივ შეკრებილი მსახიობები მორიგეობით
კითხულობდნენ პიესას. იესე ებრალიძემ შეს-
ვენების შემდეგ ვრცელი და მეტად საინტერესო
საუბარი ჩაუტარა მსახიობებს ამ ნაწარმოე-
ბის გმირთა მახასიათებლის შესახებ. ვანაწილდა
როლები. იესე ებრალიძემ (პლატონ კრეჩეტი),
ე. წულაძემ (ბერესტი), ნიკაძარი იმნაძემ (ბუბ-
ლიკი), რ. რუსიამ (ლიდა), თ. კირთაძემ (მაია)
და სხვა მსახიობებმა დაკისრებული როლების
მთავანადგებლად გულმოდგინედ დაიწყეს მუ-
შაობა. რამდენიმე მსახიობი თბილისში იქნა
მივლინებული რუსთაველს სპექტაკლის სანახა-
ვად.

„პლატონ კრეჩეტის“ დამდგმელმა რეჟისორ-
მა და მსახიობებმა მიაღწიეს იმას, რომ სპექ-
ტაკლში ლანჩხუთის თეატრის სიახლე შეეტანა.
მასურებელი გულწრფელი თანაგრძობით
ხვდებოდა ადამიანის გადასარჩენად და სიცო-
ცხლის გასახანგრძლივებლად პლატონ კრეჩე-
ტის შემოქმედებით ძიებას, ზიზლით უტკერო-
და კარიერისტ არკადის, სინანულს განიცდიდა
ლიდას მერყეობის გამო, იწონებდა ბერესტას
ვაჟკაცურ გულისხმიერებას.

დაუფიქრარი იყო ებრალიძის პლატონ კრე-
ჩეტი და ე. წულაძის ბერესტი. მოწონებას იმსახ-
ურებდნენ სხვა შემსრულებელიც.

მაიას როლს ხან მსახიობი თამარ კირთაძე
და ხან იესე ებრალიძის ვაგონა ნათელა ას-
რულებდა. თამარ კირთაძის მაია ყველას მოს-
წონდა. ამ როლში შესანიშნავი იყო მაშინ პა-
ტარა ნათელა ებრალიძეც. იგი სცენაზე თავს
თავისუფლად გრძობდა. მის თამაშს უშუა-
ლობა და დამაჯერებლობა ახასიათებდა.

„პლატონ კრეჩეტს“ სოფლადაც ბევრა მას-
ყურებელი ჰყავდა. ლანჩხუთის თეატრმა იგი
კლუბების სცენიდანაც უჩვენა რაიონის მოსახ-
ლეობას.

ამავე წლებში ლანჩხუთის თეატრის დასმა
დავდა ი. ვაკელი „აპრაჟუნე ჭიმიკიელი“ და
პ. სამსონიძის „სალტე“. ორივე სპექტაკლი
მასურებელმა კარგად მიიღო.

ლანჩხუთის საშუალო სკოლას თავისი დრამა-
ტული წრე ჰყავდა. მისი წევრები შეკრებებზე,
საიუბილეო სხდომებზე ვიოლანდით ლექ-
სებს; ვაწყობდით ინსცენირებებს. 1934 წლას
შემოდგომაზე ჩვენს დრამატულ წრეს სათავე-
ში ჩაუდგა ნიკიერი, ინიციატივანი მოწაფე,
მაშინ ნორჩი პოეტი ნიკოლოზ თორღია (მისი
მამა ანდრო თორღია წერდა ლექსებს, რომლებს-
აც საჯაროდ კითხულობდა და რაიონულ გა-
ზეთში „დაიკვერცხ კომმუნარნიში“ ბეჭდავდა.
(იგი რაიალმასკომის ერთ-ერთი განყოფილე-
ბის გამგე იყო). ნ. თორღიაც კარგ ლექსებს
წერდა, კარგი სცენური მონაცემებიც ჰქონდა.
ვფიქრობდით იგი მწერალი ან მსახიობი გახდე-
ბოდა. მან პედაგოგიური მოღვაწეობა ირჩია.

ჩვენი დრამწერი, ცხადია, პირველი არ იყო
ლანჩხუთში, მანამდეც მოსწავლეთა და ახალ-
გაზრდობის მრავალ დრამწერს უმუშავებია ლან-
ჩხუთში. ამ ხანებში კომკავშირული დრამწერეც
არსებობდა. რომელმაც, რამდენიმე ერთმოქმე-
დებიანი წარმოდგენა უჩვენა მასურებელს. წრის
წევრებიდან მასურებელთა განსაკუთრებულ
მოწონებას იმსახურებდნენ ილია ურუშაძე,
ვანჭანგ ფილოსანი, მიხეილ (ბიცა) ებრალიძე
და სხვები.

ლანჩხუთის მოსახლეობას დღესაც კარგად

ახსოვს მარიამ (მარკია) ურუშაძის და მერი
მალაკაელიძის სცენაზე გამოხატვა. 30-იან
წლებში ეს ნიჭიერი ვაგონები მასურებლებს
ხიბლავდნენ ქართველი პოეტების ნაწარმოებ-
თა მხატვრული კიბოებით.

...ჩვენი საშუალო სკოლის დრამწერი იბლდა-
ნი გამოდგა: მხატვრული ხელმძღვანელობა გა-
გვირია რუსთაველის თეატრის ყოფილმა თა-
ნამშრომელმა, იმ ხანად ლანჩხუთში სამუშაოდ
ჩამოსულმა პაჭუ შორღიანმა.

დასადგმელად ს. მთვარაძის „აურიე რგოლი“
ავირჩიეთ. გვიოხრა — ეს პიესა ისე უნდა დავ-
ღვათ, რომ წუქასთანა ზარმაცი და ონავარი
ბავშვებზე დაფიქრდნენ თავიანთ საქციელზე და
გამოსწორების გზას დაადგენო.

დაიწყეთ რეპეტიციები. პ. შორღიანია მოთ-
მინებით გვისწორებდა შეცდომებს, გვიხსნიდა.
გვამოვრებიანებდა მიზანსცენებს, განსაკუთრე-
ბულ ყურადღებას აქცევდა ჩვენს მეტყველე-
ბას. შეგვამჩნევდა თუ არა დადლილობას, მა-
შინვე შეწყვეტდა რეპეტიციას და საინტერესო
ამბებს მოგვითხრობდა კოტე მარჯანიშვილის,
ალ. ახმეტელის და ქართული სცენის სხვა
მოღვაწეთა ცხოვრებიდან. მაგონდება პაჭუ
შორღიანის ნამბობი მისი კ. მარჯანიშვილთან
გახუმრების შესახებ.

ერთ-ერთ რეპეტიციაზე კოტე მარჯანიშვილი
ძლიერ ავლავებულა, ამოდ უცდიათ მისი
დაწყნარება. პ. შორღიანის ღიმილით უთქვამს:

— ბატონო კოტე, ხანდახან ისე ვაფიცავდებით,
ნამდვილად გურულის სისხლი გაქვით.

— ასე რომ იყოს მაშინ ვენებს გადავიჭრიდი
და ჩემს ძარღვებში არც ერთ წვეთ სისხლს არ
დავტოვებდიო, — უბრაბანებია კოტეს.

— მაშინ კი ნამდვილი კახელი იქნებოდა-
თო. — უბასუხნია პაჭუ შორღიანას.

კოტე ვახალავებულა. უცინია, დაიწყებია
გაბრაზება და ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ვა-
ნუგრძობა რეპეტიცია. კოტე თურმე ზშირად
სიამოვნებით იგონებდა ამ ამბავს.

პაჭუ შორღიანის ხელმძღვანელობით მასურ-
ებლისათვის მიმზიდული სპექტაკლი მოკამ-
ზადეთ, წუქას როლს ნიკოლოზ თორღია ასრუ-
ლებდა, კარლოსისას ამირან კვიციანი. მათ-
თან ერთად ამ სპექტაკლში გმირთა მხატვრული
სახეების შემქმნელი მასურებელთა მოწონება
დაიამსახურეს ვანჭანგ ურუშაძემ, ვიორგი იმ-
ნაძემ, თეიმურაზ ურუშაძემ, რევზ ებრალიძემ,
მანია ზურციძემ და სხვებმა. (წუქას მაშის
როლს ამ სტრიქონების ავტორი ასრულებდა).
სპექტაკლი მხატვრულად ვაფორმა მაშინ
ნორჩმა მხატვარმა ჭოლა კუკულაძემ. დიდად
დაგვიხმარა გრიმიორი ირაკლი ქარჩავა. სპექ-
ტაკლი კინო-თეატრის შენობაში ჩატარდა.
მასურებლები ოვაციებით გვხვდებოდნენ ნორჩ
მსახიობებს.

მეორე დღეს ლანჩხუთის სკოლებში წუქას
და მის ამხანაგებს ბევრი „მიმბაძველი“ აღ-
მოუჩნდა.

ერთი ცხადი იყო: „აურიე რგოლმა“ ლან-
ჩხუთის მოსწავლეებში თვითმოქმედებისადმი
ინტერესი კიდევ უფრო გააღვივა.

1936 წელს ლანჩხუთის თეატრის სამხატვ-
რო ხელმძღვანელად დაინიშნა ცნობილი რეჟი-
სორი ვანო (ივანე) აბაშიძე, რომელმაც ლან-
ჩხუთის თეატრშიც წარუშლელი კვალი დას-
ტოვა.

მაშინ ლანჩხუთის თეატრის დასში იყვნენ
ნიხო ანდრონიკაშვილი, თამარ ასათიანი, ვიორ-

გი ბარამიძე, ნინო ბარამიძე, ვასო გვარჯალაძე, ფატი დიღია, ვარლამ დარსალია, გიგა ებრალიძე, გივი ებრალიძე, იესე ებრალიძე, კაპიტონ ებრალიძე, კუჭური ებრალიძე, შოთა ებრალიძე, შოთა ვაშალიძე, ნინო თულაშვილი, ლილი თურნავა, გრიშა იმედაშვილი, ალექსანდრე იმნაიშვილი, ამირან იმნაძე, კოსტა იმნაძე, მიხაკო იმნაძე, ნიკაძე იმნაძე, შურა იმნაძე, უშანგი იმნაძე, იაკინთე კალანდარიშვილი, ვალოდია კვაჭაძე, სევერიან კვიციანი, თამარ კირთაძე, დიმიტრი ორაგველიძე, კოწია პატარაია, ელენე შორდანი, თეიმურაზ შორდანი, ანგელინა რამიშვილი, რისიძე რუსია, იორდანე სალუქვაძე, დიმიტრი ურუშაძე, ილია ურუშაძე, ვახტანგ ურუშაძე, მიხეილ ქანთარია, აკაკი ქერქაძე, ალექსანდრე შონია, დავით ჩარკვანი, მიხეილ ჩხაიძე, გიორგი ჩხაიძე, აკაკი ცინცაძე, სერგო ცინცაძე, შოთა ცინცაძე, ალიოშა (ალექსანდრე) წილოსანი, დავით წილოსანი, ვალოდია (ვარლამ) წულაძე, სევერიანე ხოფერიძე, ალიოშა ჯორბენაძე და სხვები.

თეატრთან არსებობდა გუნდი და საორკესტრო ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში ირიცხებოდნენ იროდი ასათიანი, ვლადიმერ ბეგალოვი, იესე გოგიჩაიშვილი, მოსე გორგოლაძე, ელენე გურგენაძე, ჩიტო გუჭაბიძე, კოსტა ებრალიძე, პავლე ებრალიძე, ელისო ზოიძე, გალაკტიონ იაკობიძე, თამარ კვაჭანტირაძე, თინა მეგრელიშვილი, მარიამ (ცუხუ) შორდანი, კალისტე ქანთარია, ვანო ჩხაიძე, ვერა ჩაროვა, ლავრენტი ჩხარტიშვილი, ნიკო ცინცაძე, და სხვები.

დასში ჩარიცხულთაგან ბევრი მხოლოდ მასობრივ სცენებში მონაწილეობდა.

1936-1937 წლის სეზონი განსაკუთრებული იყო ლანჩხუთის თეატრისათვის. ამ წელს მას გადაეცა ახალი კეთილმოწყობილი შენობა, რომელიც იმ დროისათვის ჩვენი რესპუბლიკის პერიფერიული თეატრების შენობათა შორის საუკეთესო ითვლებოდა.

ამ ახალ შენობაში პირველად იქნა წარმოდგენილი შალვა დადიანის „ნინოშვილის გურია“, რომელიც დადგა ცნობილმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვანო (ივანე) აბაშიძემ.

„ნინოშვილის გურიაში“ მთავარ როლებს ასრულებდნენ ვ. წულაძე (სიმონა), თ. კირთაძე (დარიკო), ალ. ჯორბენაძე (იასონი), ი. ებრალიძე (ტარიელ მკლავაძე), კ. პატარაია (სოფონა), ალ. წილოსანი (ოქრუა), ა. ქერქაძე (მოსე მწერალი), შ. ცინცაძე და ნ. იმნაძე (ტარიელის ამხანაგები), ნ. იმნაძე (გუბერნატორი), ქ. იმნაძე (ზალიკა), ი. სალუქვაძე (აკცია მუნჯაძე), დ. ორაგველიძე (სპირიდონ მცირიშვილი), შ. იმნაძე (დესანე), ვ. ურუშაძე (ბიჭი), მ. ურუშაძე (დავით დროიძე), ლ. თურნავა (ქრისტინე) და სხვა.

დიდი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა შექმნილიყო ორიგინალური სპექტაკლი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა სხვა თეატრში დადგმული სპექტაკლის გავლენისაგან. ვანო აბაშიძეს თავისებური რეჟისორული „ხელწერა“ ჰქონდა. მან „ნინოშვილის გურია“ ქეშარიტად სახალხო სპექტაკლად აქცია. თავისებურად განსაზღვრა ცალკეული პერსონაჟების სახე. მაგალითად: მოსე მწერალი მსახ. აკაკი ქერქაძის შესრულებით ცბიერი, გაქნილი მოხელე, მაგრამ უფრო დინჯი და ნაკლებად სასაცილო იყო, ვიდრე ალ. შორჯოლიანის მიერ შექმნილი სახე. ა. ქერქაძემ შექმლო მაცურებლებში მოხსენადმი თავიდანვე გამოეწვია სიძულვილი.

მთავარი ის იყო, რომ მსახიობები მაცურებელთა გართობას კი არ ცდილობდნენ არამედ მათი საზრუნავი ცხოვრებისეული სიმართლის მხატვრულად, მისაწვდომად და მიმზიდველად გადმოცემა იყო. ვ. აბაშიძემ დასთან ერთად შექმლო მაცურებლისათვის ეჩვენებინა ნინოშვილის გმირების კეთილი თუ ბოროტი ქცევის სოციალური ფესვები.

სპექტაკლს დასასრულიც ორიგინალური ჰქონდა: ფარდის დახურვისას ნინოშვილის დადებითი გმირები ავანსცენაზე გამოდიოდნენ და გუნდთან ერთად მღეროდნენ ახალი დროის სადიდებელს. სპექტაკლისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ თბილისიდან ჩამოსულ ცნობილ თეატრალურ მოღვაწეებთან ერთად ნინოშვილის მეგობრები და ნინოშვილის გმირთა პორტრეტები მოხეივლ მოისწრაფიშვილი, ი. თელია და სხვები ესწრებოდნენ.

ზეიმი დიდხანს გრძელდებოდა. გავიდა წლები, ლანჩხუთში აღვილობრივი ძალეებით მრავალი საინტერესო სპექტაკლი შეიქმნა, თეატრის დასი ახალგაზრდა მსახიობებით შეივსა.

ნინოშვილის სახელობის ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრს საკუთარი მხატვრული სახის ჩამოყალიბების საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის იესე ებრალიძეს, გრიგოლ ლალიძეს, ვალოდია წულაძეს და სხვებს.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ე. ნინოშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის (შემდგენი სახალხო თეატრის) დირექტორების იესე ქებრალიძის, შალვა თურნავას, სამსონ (საშა) ებრალიძის, ფლავიანე თოფურიძის, ვასილ მახარაძის, მამია ნაკაიძის, ვალოდია (ვარლამ) წულაძის, ტერენტი ურუშაძის და სხვათა უანგარო შრომა ქართული კულტურის ამ საინტერესო კერის გასაჩაღებლად.

ლანჩხუთის სახალხო თეატრი ახლაც ნაყოფიერად მუშაობს და საზოგადოების სიყვარულით სარგებლობს.



ოსური ხელოვნების მოაზრება

პანტაზვ კასრაძე

ჩვენ წინ დევს ალბომი და ნელნელა ვფურცლავ. თითოეულ გვერდზე დაკრული სურათები, გაზეთების ამონაჭრები და წარწერები ასახვენ დეაწლმოსილი ხელოვნების მდიდარ შემოქმედებით დამსახურებას ეროვნული კულტურის წინაშე. კითხულობ თითოეულ წერილს და თვალწინ ცოცხლდება ხალხმრავალი დარბაზი მქუხარე აპლოდისმენტებით.

ვისზე მოგიტხოვობთ და ვინ არის იგი?

ეს ჩვენი მიწაწყლის ცნობილი მოქალაქე, კავკასიური ცეკვების ჯადოქარი ვლადიმერ მიხეილის ძე ხეთავუროვია. მას იცნობს ყველა, ვისაც კი უყვარს ხელოვნება. მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი სფერო — ქორეოგრაფია.

კავკასიური ცეკვების ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ვლადიმერ ხეთავუროვის დამსახურებას. მისი შინაარსიანი შემოქმედებითი ცხოვრება იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, როდესაც სოფელ ხეთავუროვიდან თბილისში ჩამოსული ეცნობა და უახლოვდება ქართული ხელოვნების გამოჩენილ ოსტატებს და ანცვივრებს მათ თავისი შესანიშნავი ცეკვებით. ლამაზ და მკვირცხლ ვლადიმერს პატარაობიდანვე უყვარდა ცეკვა, ცეკვავდა სოფლის ბავშვებთან ერთად, აყალიბებდა ახალგაზრდობის მოცეკვავეთა ჯგუფებს, რომელთაც ასწავლიდა ნაციონალურ ცეკვებს და გამოჰყავდა სასოფლო სცენაზე, თბილისში იგი ცეკვაში მოწიფული ბიჭუნა ჩავიდა და თავის საყვარელ საქმე სკოლაშიაც განაგრძო.

ქართულ ხელოვნების ოსტატთა რჩევით ვლადიმერ ხეთავუროვი მოსკოვში, კინემატოგრაფიის ინსტიტუტში მიდის სასწავლებლად, მაგრამ ნიჭიერ მოცეკვავეს ეს სასწავლებელი სრულიად არ უშლის ხელს კვლავ განავითაროს თავისი საყვარელი საქმე და წარმატაცი ცეკვებით მოხიბლოს მაყურებელი. მოსკოვში ვლადიმერ ხეთავუროვი გამოდის სტუდენტთა

სალამოებზე, დიდ თეატრში და კავშირებს სახლში. მისმა ტემპერამენტთანავე ცეკვებმა მოხიბლა მოსკოვის მაყურებელი. დიდ თეატრში გამართულ ერთ-ერთი კონცერტის შესახებ გაზეთი „პრავდა“ ვლადიმერ ხეთავუროვზე წერდა: „...აშკარა იყო, რომ ბალეტის ყველა საუკეთესო მოცეკვავენი ჩამორჩებიან მთიდან ჩამოფრენილი არწივის წინაშე, რომლის ჩამოქნილი ტანის თითოეული კუნთი სილამაზას პიმნს მღერის.“

ამის შემდეგ ვლადიმერ ხეთავუროვი მოსკოვის ერთ-ერთი ჰოპულარული მსახიობია. მას იწვევენ თვალსაჩინო კონცერტებზე თითქმის ყოველ საღამოს, ისიც არ იშურებს თავის ენერჯის და ცეკვავს მთელი გატაცებით. ვლადიმერ ხეთავუროვის შესახებ სისტემატურად წერენ გაზეთები და აქებენ მის ხელოვნებას. მაგრამ იგი არ კმაყოფილდება მარტო თავის ცეკვით მოპოვებული მიღწევებით და სტუდენტთა ძალებით აყალიბებს კავკასიური ცეკვის ანსამბლს. სულ მალე ეს კოლექტივი ცნობილი ხდება მთელი დედაქალაქისათვის.

ვლადიმერი გამოდის სხვა ქალაქებშიც ყველგან დიდ მოწონებას იმსახურებს. ლენინგრადში გამოსვლის დროს მას ავილდოვებენ რადიომიმღებით, რომელსაც გაკეთებული აქვს წარწერა: „ამხანაგ ვ. მ. ხეთავუროვს ლენინგრადის საბჭოსაგან“.

ერთხელ ვლადიმერ ხეთავუროვის ცხოვრებაში შესანიშნავი ამბავი მოხდა და ეს სამხრეთ ოსეთის ისტორიაში ჩაიწერა. საღამოთი მას იძახებენ ტელეფონით. მეორე დღეს ვლადიმერ ხეთავუროვი მიიღო გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძემ და დაწვრილებით გამოჰკითხა ცხოვრებისა და მუშაობის პირობები. კითხვაზე: „უჭირს რაიმე მას თუ არა“ ვლადიმერ ხეთავუროვმა უბასუხა: გრიგოლ კონსტანტინეს ძე, პირადად ჩემთვის არაფერი არ მსურს, თქვენი დაინტერესება

ჩემი ცხოვრებით ყველაზე საუკეთესო საჩუქარია, მაგრამ თუ არ გეწყინებათ, გულახდილად გეტყვი, რაც მინდა. ჩვენთან, სამხრეთ ოსეთში არ არის არცერთი ტრაქტორი; ჩვენს გლეხობას წარმოდგენაც არა აქვს ტრაქტორის შესახებ და თუ შეიძლება ერთი ტრაქტორი მაინც გამოჰყუთ მათთვის.

გრიგოლ კონსტანტინეს ძეს ვაღიმა, შეხედა თვალბეჭდებში ყმაწვილს და ჰკითხა:

— მითხარით, თქვენ კომკავშირელი ხართ?

— დიას, კომკავშირელი ვარ 1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან.

გრიგოლ კონსტანტინეს ძემ შეაქო ვლადიმერი ხალხზე ზრუნვისათვის და დაჰპირდა თხოვნის შესრულებას.

და მართლაც, სამხრეთ ოსეთში გაჩნდა სამაპირველი ტრაქტორი, რომლებიც გავშვებულ იქნა ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნობათა მინდვრების მოსახნავად. ეს იყო ვლადიმერ ხეთაგუროვის დიდი პატრიოტული თაოსნობა.

1935 წელს ლონდონში ჩატარდა ხალხური ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი. საბჭოთა კავშირმა ფესტივალზე ინგლისში წარგზავნა თავის საუკეთესო მოცეკვავენი, რომელთა შორის იყო ვლადიმერ ხეთაგუროვიც. იგი ხელმძღვანელობდა ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფს. ვლადიმერ ხეთაგუროვი ლონდონში გამოვიდა ორჯერ, თეატრებში: ალბერტხოლსა და გაიდპარკში. ლონდონის მსურბელი ადვრთოვანებაში მოიყვანა მისმა ვირტუოზულმა და ტემპერამენტთანა ცეკვებმა. ხეთაგუროვი გამარჯვებული დაბრუნდა ფესტივალიდან. მას ხვდებოდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ეკატერინე ვასილის ასული გელცერი და ეუბნებოდა: „მე ვინატრებდი მქონოდა თქვენი ტალანტის მეასედი მაინც. თქვენ მსოფლიო მასშტაბის მოცეკვავე ხართ“.

1938 წელს ვლადიმერ ხეთაგუროვი მონაწილეობს მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნების პირველ დეკადამი და დიდ წარმატებას აღწევს. ლონდონის საერთაშორისო ფესტივალზე და საქართველოს ხელოვნების დეკადამზე წარმატებით გამოსვლისათვის ვლადიმერ ხეთაგუროვს აჯილდოვებენ „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

მეტად მრავალფეროვანია ვლადიმერ ხეთაგუროვის მოღვაწეობა ოსური ეროვნული კულტურის განვითარების დარგში. 1931 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობდა ვლ. ხეთაგუროვს ავალბეს ოსური ნაციონალური თეატრის დაარსების საქმეს. ვლადიმერ ხეთაგუროვი დიდი გულმოდგინებით

ჰკიდებს ხელს ამ დავალებას და ყველა ღონისძიებას ხმარობს თეატრს მკვიდრი ნიდაგი შეუქმნას. მან დიდი მუშაობა ჩატარა მსახიობთა კადრების შესარჩევად, რისთვისაც მოიარა ყველა წარმოება-დაწესებულება, რაიონები და სოფლები სასცენო ხელოვნებისადმი მიდრეკილების მქონე ნიჭიერი ახალგაზრდების გამოსავლენად. მათი კონკურსზე გამოცხადების და შერჩევის შემდეგ ჩამოყალიბდა ოსური დრამატული დასი. პირველად შერჩეული ახალგაზრდებიდან ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში დღესაც მონაწილეობენ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი მამიევი და საქართველოს დამსახურებული მსახიობი ნინო ჩოჩიევა.

ამის შემდეგ ვლადიმერ ხეთაგუროვი მუშაობს ფილარმონიის დირექტორად, ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრის დირექტორად, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგედ და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ნაციონალური ხელოვნების განვითარების დარგში დიდი დამსახურებისათვის 1958 წელს ვლადიმერ ხეთაგუროვს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ვლადიმერ ხეთაგუროვს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. მაგრამ იგი კვლავ სავსეა ახალგაზრდული ენერგიით და სიამოვნებით გასცქერის თავისი ცხოვრების განვლილ გზას. მისი შრომა და ღვაწლი უკვალოდ არ დაკარგულა, მან ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. თავის განვითარების მაღალ ღონეს მიადწია ვლ. ხეთაგუროვის მიერ ჩამოყალიბებულმა ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა.

ჰყვავის და იფურჩქნება ოსური ნაციონალური ხელოვნება. ოსურმა მასობრივმა ცეკვამ „სიმღმა“, რომელიც პირველად ვლადიმერ ხეთაგუროვმა გამოიტანა ფართო არენაზე, საყოველთაო აღიარება ჰპოვა და დღეს სამხრეთ ოსეთის ცეკვის ანსამბლი „სიმღის“ სახელს ატარებს.

ყველა ამის შემდეგ ღვაწლმოსილი მსახიობი გულახდილად ამბობს: „რომ შეიძლებოდა, უკან დავიბრუნო ჩემი დახარჯული ენერგია და ახალგაზრდობა, კვლავ გავიმეორებდი ჩემს არც თუ ისე ადვილად გამოვლილ, მაგრამ სიამოვნებით აღსავსე გზას. ემსახურო ხალხს — ეს არის ბედნიერება და ამით მე ბედნიერი ვარ“.

თამარ თვალთვალნი

ანა ლვინიაშვილი

თამარ თვალთვალნი 30 წელი ემსახურა მოზარდ მსახურებელთა ქართული თეატრის სცენას.

თეატრში მაშინ იშვიათი იყო ისეთი განათლებული, თეატრალური ხელოვნების ფართო მცოდნე, გამგები და საღად მოაზროვნე მსახიობი, როგორც იყო რესპ. დამსახურებული არტისტი თამარა თვალთვალნი.

ეს გასაგებია! ბუნებრივ მონაცემებთან ერთად მან გაიარა შესანიშნავი წრთობაც.

ყველა ამ აქტიურულ ღირსებასთან ერთად უნდა აღინიშნოს მისი ადამიანური ღირსებანიც. იგი არის საოცრად მორიდებული, მოკრძალებული და ჭარბად თავმდაბალი.

ეს თვისებები ალბათ აღზრდამ განაპირობა. იგი დედისერთა იყო და თავისი ბავშვობა მარტოებაში გაატარა. გორის ციხის რომელიმე კუთხეში მიმჯდარი, გარინდებული გასცქეროდა სივრცეს, ანთებული თვალებით ტკბებოდა გორის არემარეთი, გორიჯვრის მთისა და ტყვიანის გზატკეცილის სილამაზით. ან თავის სახლის დირეზე მიჯდებოდა და თოჯინებს თავის ფანტაზიის ნაყოფს ათასნაირ „ზღაპრებს“ უამბობდა.

წამოჩინებულს კი ერთავად მოგზაურობა უხდებოდა გორიდან თბილისში, თბილისიდან გორში. წიგნებით დატვირთული, პროვინციული კარგი მასწავლებლის მსგავსად.

ამ მოგზაურობამ ბუნებრივი დაკვირვება უფრო განუვითარა: დააკვირდა ხალხს, მოიხიბლა ქართლის სილამაზით. აქედან გაუღრმავდა თავისი სამშობლოს სიყვარული.

თამარა თვალთვალნი შეიძლება თეატრი არც კი იტაცებდა და არც მსახიობობა ეწადა, მაგრამ შემთხვევამ მიიყვანა აკაკი ფალავას მიერ კონსერვატორიისთან დაარსებულ დრამატულ ფაკულტეტზე, აქედან კი — მოსკოვის ვახტანგ მჭედლიშვილის სახ. დრამატულ სტუდიაში.

მოსკოვიდან ჩამოსვლისას უცებ მოხვდა ე. წ. წითელ თეატრში (იმ დროს ასე ეწოდებოდა დღევანდელ მარჯანიშვილის სახ. თეატრის შენობაში არსებულ დასს, სადაც თავმოყრილნი იყვნენ ძველი თაობის მსახიობები). აქ თ. თვალთვალნი პიესაში „ბარიზი“, პატარა გოგონას, მუჟის შვილის როლში გამოიყვანეს; მისი დედა კი ვახლათ სახელგანთქმული ნუცა ჩხეიძე.

როგორც ჩანს, დიდ მსახიობს მოეწონა ახალგაზრდა ბარტინორი და თვალთვალნიმ ახელდასხმა სწორედ მისგან მიიღო, ნუცამ ურჩია მსახიობის რთულ გზას გაჰყოლოდა.

ამ დროს (1927—28 წლები) მოზარდ მსახურებელთა თეატრიც ჩამოყალიბების პროცესში იყო. სხვებთან ერთად დასში თამარი იქნა მიწვეული. ასე რომ, მოზარდ მსახურებელთა თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი ისიც გახდა. თვალთვალნი ამ თეატრში დაიღო სამუდამო ბინა და ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი გახდა.

თამარ თვალთვალნი ვიცნობ იმ დღიდან, რაც ჩვენი მოზარდ მსახურებელთა თეატრი დაარსდა და მის არტისტულ ზრდას, მის შემოქმედებას კვალდაკვალ მივსდევდი.

ამ კვლამ მიმიყვანა და გამაცნო მისი პირადი ცხოვრება, ოჯახური ყოფა და დამარწმუნა მის უაღრესად კეთილშობილსა და ჰუმანურ თვისებებში; ჩვეულებრივი და უბრალო მსახურებლისათვის, როგორც მე ვიყავი, სცენის მიუწვდომლობა ჩემთვის მისაწვდომი გახდა და ბევრი რამ მასწავლა.

თამარ თვალთვალნი და მისი განუყრელი პარტნიორი გოგუცა კუპრაშვილი თითქმის ყველა სპექტაკლში იღებდნენ მონაწილეობას.

მათი გამოჩენა სცენაზე მსახურებლისათვის ზეიმი იყო. მთელ სცენას ნათელი და სიხალისე ეფენებოდა, მათი მკაფიო მეტყველება წმინდა ნაყოფიერით მოედინებოდა, რითაც მონახლებული და აღტაცებული იყო ნორჩი მსახურებელი, დიდი და პატარა.

არც თამარ თვალთვალნი (პირველ ხანებში ბიჭი, შემდეგ კი გოგო) და არც გოგუცა კუპრაშვილი (უმეტესად ბიჭი) არასოდეს თამაშობდნენ გოგოსა და ბიჭს. მათ არა ჰბაძავდნენ, მათი მოდელები არ იყვნენ, ისინი თამაშობდნენ და გადმოსცემდნენ უტყუარად ბავშვების განცდებს. მისწრაფებებს, ლტოლვას, მათ სულიერ ცხოვრებას და ამით ემსგავსებოდნენ გოგოებსაც და ბიჭებსაც.

თამარ თვალთვალნი 30 წლის განმავლობაში შესრულებული აქვს 70-ზე მეტი როლი (თითოეული უთვალავჯერ). იგი სცენაზე გამოდიოდა გმირის როლშიაც და სხვადასხვა ლირიკულ, დრამატულ, კომედიურ თუ ტრაგიკულ როლებშიც. იგი განასახიერებდა ბიჭების, გოგონების, ქალების როლებს და სცენური მიმზიდველობით, სახის მდიდარი გამოთქმვებით ჰქმნიდა ბრწყინვალე და დაუვიწყარ სახეებს.

ამ უამრავ როლიდან ამ მცირე მოცულობის წერილში მხოლოდ რამდენიმეს გახსენება შეიძლება. გავიხსენებ სამს. რა იყო თვალთვალნი შესრულებაში თავისებური და განსა-

კუთრებული, რომლის დაიწყება მნახველს არ შეეძლო?!

თამარ თვალაშვილი ყოველ როლში ბუნებრივი და მართალი იყო. იგი როლს, რაც უნდა პატარა ყოფილიყო, მეტად მასშტაბურს ხდიდა, თითოეული სახე საოცრად გააზრებულად, ზომიერად და თავდაჭერით, მაგრამ შთაბეჭდილად მოჰქონდა მაყურებელამდე. თითოეულ სიტყვას ისეთი ნიუანსებით იტყოდა, რომ ნორჩი მაყურებელი მიმხვდარიყო რა უნდოდა ეთქვა დრამატურგს.

ასეთი ვაგებთა და განსახიერებით გამოირჩეოდა მის მიერ შესრულებული თითქმის ყველა როლი.

თამარ თვალაშვილი ბიჭების როლებში უკვე გამოკაჩებული იყო, როდესაც ალ. თაყაიშვილმა მას დააკისრა პატარა მზიას როლი, სიმონ მთვარაძის პიესაში „შირაქის გულში“.

მზია ბავშვია, ცელქი, დაუდგრომელი. იგი სპეციალისტი ინჟინრის, პატრიოტის შვილია. მზიას მამა შირაქის გულში ამოხეთქილ ნაგეთის საბადოების სამუშაოებზეა, მასთან კომკავშირელები მუშაობენ და დიდი ხალსიც ტრიალებს შირაქში, მამის მოყვარული მზიაც ცდილობს ახლოს იყოს სამუშაოებთან. უნდა გენახათ როგორ შესცივნიებდა ბიჭებს, როგორ უნდოდა მათ რამეში დახმარებოდა, მაგრამ მაინც ბავშვი იყო და მალე ჰბეზრდებოდა. ახლა შინ დაბრუნებული მზია-თვალაშვილი თავის სტიქიაში იყო: თოჯინებთან თამაში, მათი მოვლა, მათზე ზრუნვა ფერწერულ სურათს წარმოადგენდა. აქ თვალაშვილმა ალბათ თავისი ბავშვობა თუ გაიხსენა გორის სახლის დირეზე რომ თოჯინებს ზღაპრებს უყვებოდა.

ამ ციკქნა მზიამ გმირულად გადაიტანა ტყვედ წაყვანა ხალხის მტრების მიერ, რომლებსაც უნდოდათ ნავთის ამოღებისათვის ხელი შეეშალათ და მზიას მამას დაემუქრნენ, თუ მუშაობა არ შეჩერდებოდა შეიღს მოუკლავდნენ. მაგრამ კომკავშირელთა სიმამაცემ გადაარჩინა მზია, რომელიც სიამაყით და გაბედულად გაიძინოდა: „არ შემშინებია ტყეში ყოფნა, არ შემშინებია;“ ამ დროს თქვენ გრძობდით, რომ ის მართლაც შეშინებულს არ ჰგავდა და ამით მაყურებლებს ეუბნებოდა შიში ახლოსაც არ უნდა გაიკაროთ როგორი საფრთხის წინაშეც უნდა აღმოჩნდეთო.

თ. თვალაშვილმა ამ გოგონას პირველი როლით სათავე დაუდო მომავალში მოსალოდნელი გოგონების როლების შესრულების სტილის ძიებას, გოგონების კაბების ტარების სიციხადეს, მათ მოძრაობას, მიხრა-მოხრას, საქმიანობას. გამოიმუშავა რა ეს თავისებურება,

მან წარმატებით შექმნა გოგონების სხვადასხვა რთული და მარტივი სახეები.

ბიჭების როლებიდან მისი ერთი სანაქებო როლი გახლდათ ზურაბი, ს. მთვარაძის დრამაში „სურამის ციხე“. თვალაშვილმა ზურაბის ბრწყინვალე სახე და ხასიათი დახატა სცენაზე. ზურაბი რთული ბუნების ბავშვია: შეგნებული აქვს, რომ მდიდრის შვილია, განებივრებული, მამის—დურმიშხანის (გ. დარისპანაშვილი) უსყვარლესი ბიჭი. ზურაბი ვაბედულად არის, ამაყიც, ზვიადიც, სახელმოყვარეც, შრომისმოყვარეც. მაგრამ იგი მსხვერპლი ხდება ფეოდალთა ვერაგობისა, იგი ცოცხლად უნდა ჩაატანონ სურამის ციხის კედელს.

როგორი სიცოცხლით სავსეა ზურაბი-თვალაშვილი, თვალგებრილა და დიმილიანი, აგერ გამოჩნდა ზურაბი სცენაზე, შემოიტანა სუფთა ჰაერი, სიციქსაყე; ჯერ პაპას მოუღერსა, შემდეგ მამას მიეპარა და ყურის ბიბილოზე გაეთამაშა პატარა წვეპლით და რიხით მოახსენა უშენოდ იმდენ ურემს დავიჭირავეც ციხის ასაგებად, რომ მეფის ყურადღება მივიქციოო. დედა? დედა (თამარი ლივარდი) დარჩა მოუალერსებელი და ახლა მასთან გაიქცა. მამა უკვე გაემგზავრა. დედასთან გაქცეულს ჯერ კიბე არც კი აეთავებინა, რომ მყის შეიცვალა ზურაბის მდგომარეობა და გაისმის ბავშვის შემზარავი ყვირილი: დედა... მომდევენ... დედა... ეს ერთი სიტყვა ისეთი გულამაჩუყებელი იყო, ისეთი მაგიური ძლიერებისა, რომ თითქოს უკვე კედელში ჩატანებული ზურაბი უხმოდა დედას: დედა... ბავშვები თავს ვერ იკავებდნენ ხმამაღალი ტირილისაგან, და თან იგრძნობოდა მათი სიძულვილი ხალხის მტრებისადმი

„სურამის ციხე“ 500-ჯერ დაიდგა, ასე უცვლელად ითამაშა თვალაშვილმა ზურაბის როლი, თანდათან უფრო ვაღარმავა მისი ხასიათი და უფრო აატირა დიდი და პატარა მაყურებელი.

ამის შემდეგ არ გასულა ათი წელიც, რომ თამარ თვალაშვილის სამსახიობო ცხოვრებაში კვლავ მოხდა მეტამორფოზა.

დიდი გამბედაობა გამოიჩინა, არც უშედეგოდ, როცა ალ. თაყაიშვილმა ჟულიეტას როლი შესთავაზა.

თვით უბრეტენზიო თვალაშვილისათვისაც ალბათ მოულოდნელი იყო, მაგრამ ფაქტი მოხდა.

დღეს ალბათ აღარავის გაუჭირდება რთული განცდების ჟულიეტას როლის შესრულება. აგერ თრი სხვადასხვა კინოფილმი, აგერ ბალეტი! მაგრამ ჩვენი მაშინდელი სინამდვილისათვის — 40-იან წლებში ეს პირველი ვაბედული ცდა იყო, თვალაშვილი არ შემკრთა-

ლა, ვერც უარი ჰკადრა თავის საყვარელ რეჟისორს. მსახიობის წარმატება საოცარი იყო. ისე საუხუხოოდ გამოიყენა შრომის შედეგად მიღწეული გარდასახვა, გოგონების როლებში ნაპოვნი შტრიხები, რომ ამით გაზარდა, და აამალა ჯულიეტა, ჯერ კიდევ სიყვარულში სრულიად გამოუცდელი ბავშვი. თვალაშვილის ბავშვური სახის გამომეტყველება, გაკვირვებისაგან გაფართოებული თვალები, ლირიზმით აღსავსე ხმა, სირბილე, ნახი, ჰაეროვანი რხევა და სიარული საოცრად შეუფარდა უკვე დაქალებულ ადამიანის გრძობებს. ერთი განწყობილებიდან მეორეზე გადასვლა, სიხარულიდან გაკვირვებაზე, შიშოდან გაბედულებაზე, მორცხვობიდან სითამამეზე, ლირიკული თავდავიწყებიდან სწრაფი გამოფხიზლება და შეუღლებას მოთხოვნა. ეს ისეთი ნათელი ფერებით იყო განსახიერებული, რომ მყუდროებით იყო ამორებდა, აღფრთოვანებული შეჰყურებდა.

თვალაშვილს არჩევულებრივი ოსტატობით, დამაჯერებლობით, ორგანულად, ჰქონდა დამუშავებული ჯულიეტას ყველა განცდა, თითოეული დეტალი, თითოეული მიზანსცენა რომეოსთან (ვახტანგ არეშიძე) პირველი შეხვედრიდან უკანასკნელამდე.

თვალაშვილმა შეუტყველად ასჯერ ითამაშა ჯულიეტას როლი, განსაკუთრებით თმის პერიოდში იდგებოდა ხშირად და ყოველ სპექტაკლში სიახლე შეჰქონდა როლს.

თამარ თვალაშვილი, მიუხედავად თეატრში უზომო დატვირთვისა, პოპულარა დროს ახალგაზრდა მსახიობებთან მუშაობისათვისაც. იგი მეგობრულად აძლევდა მითითებებს, რჩევას ამა თუ იმ როლის გაზარებისათვის, რითაც ბევრ ახალბედს შეუწყო ხელი დაუფლებოდა სცენის საიდუმლოებას და ღირსეული ადგილი ეპოვა კოლექტივში.

მართალია, თვალაშვილმა მოზარდ მყუდრობელთა თეატრი დატოვა, მაგრამ მას არ ჩამოშორებია. იგი დღემდის უტყველო წევრია სამხატვრო საბჭოსი და აქტიურ მონაწილეობას იღებს სპექტაკლების განხილვა-მიღების დროს. რამდენჯერმე მიიწვიეს რეჟისორადაც ძველი სპექტაკლების აღსადგენად.

საერთოდ კი თ. თვალაშვილს საზოგადოებრივი მუშაობის გარეშე სიცოცხლე არ შეუქლიან.

იგი წლების მანძილზე 47-ე სკოლის მშობელთა წრის წევრი იყო, ამავე სკოლაში დრამწრის ხელმძღვანელობდა და მის დრამწრეს ბავშვთა თვითმომქმედ ოლიმპიადებზე მალაი შეფასება მიუღია.

ამჟამადაც თ. თვალაშვილი თეატრალური საზოგადოების ვეტერანთა საბჭოს მდივანია.

თ. თვალაშვილი ორჯერ იქნა მიწვეული კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის ფილმში „ღიმილის ბიჭები“, მეგალიძის ფილმში „შუბი ჩვენს ფანჯრებში“.

უბრაიბელი გული

მზია შინგელია

70 წელიწადი ცოტა როდია!

და აი, იგი უკვე 70 წლისაა...

ცხოვრების ვრცელი გზა განვლო, ბევრი სიხარული და ტკივილი იგემა, უყვარდა და უყვარს თეატრი.

მისი ცხოვრების ფართო სარბიელზე გამოსვლა სცენით დაიწყო, დღესაც სცენაზეა.

მთელი დღე შეგიძლია ესაუბრო თეატრზე, მსახიობზე, როლზე — ეს საუბარი მას არ მოსწყინდება.

— დავბერდიო, — შემოგჩივლებს, მაგრამ მის შავად მომზირალ, კვლავ შემოქმედებითი წვით სავსე თვალებს რომ შეხედავ, არც დაუჯერებ. ან კი რა დასაჯერებელია!

თამარ მუსერიძე კვლავ მჩქეფარე ცხოვრების შუაგულში ტრიალებს.

შრომითი საქმიანობა 1919 წელს დაიწყო. სოფლის მასწავლებელი იყო, მაგრამ ისე ძლიერად უყვარდა თეატრი, რომ მალე ჩაება ქუ-

თაისის რკინიგზის კლუბთან არსებულ დრამატულ წრეში, რომლის პირველი რეჟისორებიც იყვნენ პ. მურღულია. ა. მურღულია და შ. ხონელი. ამ კლუბის სცენაზე მან მრავალი კარგი სახე შექმნა. ესენია: ერისთავის „სამშობლოში“ — ქეთევანი, ვალერიან გუნიას „და-ძმაში“ — მარინე, ნ. შუიკაშვილის „სულელში“ — ბარონესა შტროგესი, ა. ყაზბეგის „მამის მკვლელობაში“ — ნუნუ, ა. ცაგარლის „ჩანუშაში“ — ხანუშა, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“-ში — ლიზა და მრავალი სხვა.

შემდეგ მას მოუხდა სხვადასხვა სახელმწიფო თეატრების სცენაზე თამაში.

მუშაობდა ფოთში, ზესტაფონში, ქუთაისში. „დამაჯერებელი, ბოლომდე თანმიმდევრული და უნაკლო იყო იადონა — თ. მუსერიძე“, — წერდა 1934 წელს გაზეთ „მუშა და კოლმეურნეში“ გ. ჯიბლაძე.

რეცენზენტები აქებენ, ოწონებენ თამარის თამაშს.

მაშინდელ როლებზე ვეკითხები. ღიმილით, ერთგვარი სინანულით იხსენებს იმ დროს. მაშინ ხომ თამარი ძალიან ახალგაზრდა იყო... ადრინდელი როლებიდან ყველაზე სიამოვნებით იხსენებს: ოქსანას (ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“), ვასასის (მიკიტენკოს“ ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“)...

აი რას ვკითხულობთ 1935 წლის გაზეთ „სტალინელში“

„ოქსანა პოლიტიკურად გამობრძანებული ბოლშევიკი ქალია, ის მეთაურობს ბოლშევიკების კომიტეტს გემზე, ამიტომ მისი თითოეული სიტყვა მოფიქრებულია, წინასწარ გაზომილი, მისი სიტყვა და მოქმედება პარტიის ნებასურვილისა და სიმტკიცის გამომხატველია. ეს უსათუოდ გამოსარჩევი როლი მთელ პიესაში ზოგჯერ აღელვებულად, მაგრამ ზომიერებას გრძნობის შენარჩუნებით შეასრულა თამარ მუსერაძემ“.

1938—39 წლების სეზონი ფოთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე გაატარა, მომდევნო წლები კი (1941 წლამდე) — ზესტაფონში.


1941 წლიდან იგი ქუთაისის მესხიშვილას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში იყო და მთელი გატაცებით ეძლეოდა საყვარელ საქმეს, ყოველ სცენურ სახეზე გულმოდგინედ მუშაობდა, ხეწდა, სრულყოფდა და მასუბრების მოწონებას იმსახურებდა. ქუთაისის თეატრის სცენაზე მან 40-მდე სახე

შექმნა. ამთავან განსაკუთრებით უნდა დავასახელოთ დარეჯანი (ა. გაბისკირიას „მათი ამბავი“), ბელა (დიუსოს და ჯოუს „ღრმა ფესვები“), ოლგა (კ. სიმონოვის „უცხო აზრდელი“), თამარი (ვ. პატარაიას „სანაპიროზე“), დესპინე (შ. დადიანის „ნაბერწყლიდან“), ქეთევანი (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“), მარია (ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეტიკი“), მარინე (გრ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“ და სხვა. ამ სახეებმა ქუთაისის თეატრის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი დასტოვეს.

თამარი ახლა პენსიაზეა, ჯანმრთელობა ინტენსიური მუშაობის საშუალებას არ აძლევს. მაგრამ საყვარელ ხელოვნებას მაინც არ ივიწყებს.

ამჯერად ქალაქის მასწავლებელთა სახლთან არსებულ მოზარდ-მასუბრებელთა თეატრის კოლექტივის საპატიო წევრია და როცა კი 70 წლის თამარი სცენაზე გამოჩნდება ხოლმე, ახალგაზრდა მასუბრებლები სიყვარულით ხვდებიან, თავის სცენურ სახეებს ადრინდელ სიბოხსა და უმუშაობას არ აცლებს. მისმა მარიამმა („გვალი ბიგვა“), ელისაბედმა („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“) ნორჩი მასუბრებელი მოხიბლა.

5 შვილიშვილის ბებიას ხალისი არ დაჰკლებია, მის თვალებს კი — ახალგაზრდული ცეცხლი... მსახიობი კვლავ თეატრის სიყვარულით ცოცხლობს და სუნთქავს.



შალვა ხონელი დავით ჩხეიძე

ხელოვნებაში თავის გამოჩენა მეტად რთული საქმეა. პოეზიის და ბელეტრისტიკის შემდეგ თეატრალური ხელოვნება ყველაზე საპასუხისმგებლო, დაძაბულ ღვაწლს მოითხოვს. მსახიობია თუ რეჟისორი, დრამატურგი თუ თეატრალური მხატვარი განათლებული, მცოდნე პიროვნება უნდა იყოს.

სცენის სამსახურისათვის მართო სურვილი არ კმარა. ვინც სცენაზე მოღვაწეობაზე ფიქრობს, აუცილებლად გარეგნულად და სულიერად ყოველმხრივ შემკული უნდა იყოს, ბუნებრივ ნიჭთან ერთად დიდი შრომისმოყვარეობაც უნდა გააჩნდეს.

ბევრი ამ თვისებათაგანი ახასიათებდა აწ განსვენებულ შალვა ხონელს (გოგოლაშვილს). სცენაზე ხანგრძლივად მოღვაწეობის მანძილზე მან დაამტკიცა რომ თეატრისათვის იყო დაბადებული.

შეიძლება ვთქვათ, სცენისადმი მიდრეკილება მას თანდაყვია. შალვას მამა სიმონ გოგოლაშვილი (სიმონ სვიმონიძე) საკმაოდ ცნობილი მსახიობი იყო.

შალვა ბავშვობიდანვე მოწმე ხდებოდა მამამისის ოჯახში გამოჩენილი მსახიობების, საზოგადო მოღვაწეების, მწერლების შეკრებებსა.

პატარა შალვა უსმენდა მათ საუბრებს, ხშირად კამათსაც დადგმებზე, ცალკე მსახიობის თამაშზე და მწერლობაზე.

როცა ის სათავადაზნაურო გიმნაზიაში შეიყვანეს, უკვე ბევრი რამ სმენოდა თეატრზე და დრამატურგიაზე. ბეჯითად სწავლობდა, კლასიდან კლასში დაუბრკოლებლად გადადიოდა. თეატრისადმი მიდრეკილებაც სკოლაშივე გააქვლავნა.

შალვას კლასის ამხანაგებმა დავით კარიჭაშვილმა სკოლაში გიორგი ერისთავის „ძუნწა“ დადგა. შალვამ ამ პიესაში დაზნეულის როლი შეასრულა და გადმოცემით ვიცით, რომ კარ-

გად გამოუვიდა. მოწაფეობის დროს ხშირად გამოდიოდა თბილისის კლუბებში.

სცენით ამ ნაადრევმა გატაცებამ კინაღამ სწავლას ჩამოაშორა. შეიძლება მისი ბედი ცუდად წასულიყო, რომ ამ დროს გიმნაზიაში რუსული ენის მასწავლებლად ცნობილი რეჟისორი მიხ. ქორელი არ მოეწვიათ. ქორელმა მას ყურადღება მიაქცია და როცა ქუთაისის თეატრში სამუშაოდ გადავიდა, შალვაც თან წაიყვანა იმ პირობით, რომ ისწავლიდა კიდევ და თეატრშიც იმუშავებდა...

შალვამ ქუთაისში ექსტერნად ჩააბარა საშუალო სკოლის კურსი. დაბრუნდა თბილისში და უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. შემდეგ ისევ სცენას დაუბრუნდა. მუშაობდა ბაქოს, თბილისის, ქუთაისის დასებში, ბევრი იმუშავა რაიონულ თეატრებში, ყველგან დიდ გულმოდგინებას იჩენდა როლების მომზადებაში. მალე ისეთი საქმიანი მსახიობის სახელი გაუფარდა რომ არც ერთი თეატრი უარს არ ეუბნებოდა თანამშრომლობაზე.

შალვა მაყურებელს უყვარდა, რეჟისორები და მსახიობები კი უიმისოდ ვერ ძლებდნენ, ისეთი ამპლუის მსახიობი გახლდათ, რომ თეატრში ყოველთვის საჭირო და სასურველი იყო.

შალვა ხონელმა ბაქოს თეატრში დიდი ოსტატობით განასახიერა თავად კოჭიას როლი შალვა დადიანის პიესაში „გუშინდელნი“.

მისი თამაშით და შექმნილი სახით მეტისმეტად კმაყოფილი იყო პიესის ავტორი. დრამატურგს ეს აღნიშნულიც აქვს წერილობით.

შალვა ბუნებით კომიკური როლების გამსახიერებელი იყო. დღემდე ახსოვთ მისი განსახიერებით შალვა დადიანის პიესა „კაკალ გულში“ პარასკიდი, პ. კაკაბაძის პიესა „ყოლმეურნის ქორწინებაში“ ლოკაცა, ა. ცაგარლის პიესაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ კობტაია და ზაქარია, ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობაში“ ბუყიაშვილი, გ. შატერაშვილის „უიქრთა გორაში“ — ელიზბარი, ი. მოსაშვი-

ლის პიესა „ჩაძირულ ქვებში“ ხოჯა სოღვიმანი, მ. გორკის „მტრებში“ პეჩენეგოვი და ბერი სხვა.

შალვა პირად ცხოვრებაში სამაგალითო იყო, უყვარდა ოხუნჯობა, კალამბურები, მაგრამ გულს არავის გაუყვარვდა. დიდთან და პატარასთან იშვიათი მეგობრობა იცოდა.

შალვას სახელი მკიდროდ არის დაკავშირებული ქართულ თეატრალურ ხელოვნებასთან, კერძოდ ქუთაისის თეატრის ისტორიასთან. მას

უყვარდა ქუთაისი და მისი თეატრი, რომლის აყვავებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის.

შალვა დაულაღავი და შთაგონებული შემოქმედი იყო. ოთხმოცდახუთი წელიწადი იცოცხლა ისე, რომ თითქმის სცენიდან არ ჩამოსულა. მადლიერმა საზოგადოებამ დიდი პატივისცემით გააცილა უკანასკნელ გზაზე და ქუთაისში მწვანე ყვავილის პანთეონში დაკრძალა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა ხონელი დაიწყო არასოდეს მიეცემა.

საკომ ბაშინჯალოვი მიხეილ იარალი

სიღნაღის თეატრის უფროს თაობას გამოაკლდა ღვაწლმოსილი მსახიობი სერგო ზაქარიას ძე ბაშინჯალოვი. წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელმაც სიჭაბუქიდანვე თავისი ბედი თეატრს დაუთქვამინა და მის კეთილდღეობას მოახმარა თავისი ცხოვრების საუკეთესო ნაწილი.

ს. ბაშინჯალოვი დაიბადა ქ. სიღნაღში. იგი ბავშვობიდანვე გაიტაცა თეატრალურმა სანახაობებმა და როდესაც 1921 წ. სიღნაღში საოპერეტო დასი შეიქმნა, ხალისით მივიდა და ებიზოდურ როლებს ასრულებდა. 1926 წელს (სტუდიის დამთავრების შემდეგ) სიღნაღის მუშათა კლუბის გამგედ და რეჟისორად ემუშავებდა. დასი უმთავრესად ახალგაზრდებისაგან შედგებოდა, ვამზადებდით უ. ჰაიბეკოვის ოპერეტას „არშინ მალ-ალან“-ს. არ გვყავდა სულეიმანის როლის შემსრულებელი. ვამახსენდა, რომ სერგო კარგად მღეროდა. იმ ხანებში იგი კომკავშირის სამაზრო კომიტეტში მუშავებდა, მივედი მასთან და სულეიმანის როლი შევთავაზე. როლი მიიღო და მართლაც სპექტაკლი წარმატებით დაიდგა, ამ სპექტაკლით მთელი მაზრა შემოვიარეთ. შემდეგ მონაწილეობდა ტრ. რამიშვილის „მეზობლებში“ და „გაჭირვების ტალკეხში“, ნ. შიუქაშვილის „მთის ზღაპარში“ და სხვა სპექტაკლებში. ეს იყო მისი პირველი ნაბიჯები პროფესიულ თეატრში. ამის შემდეგ იგი აღარ ჩამოსცილებია სცენას.

1928—29 წლებში, მუშავებდა რა გურჯაანის რაიონმასკომის აპარატში, ის მაინც, თეატრზე ფიქრობდა. ადგილობრივ რკინიგზის კლუბთან აყალიბებს დრამწერს, იწვევს რეჟისორს

და თავის მეუღლესთან ერთად წამყვან როლებს თამაშობს. შემდეგ ლაგოდეხის რაიონმასკომში მუშავებდა და ნახევარ დროს თეატრში ატარებდა, ადგილობრივ დასში მონაწილეობდა. აქ რეჟისორადც გვევლინება. დიდი მონდომებით დგამს ჯიბუტის პიესას „სამი სიცოცხლე“ (გ. წერეთლის მოთხრობის მიხედვით).

1937 წელს ლაგოდეხში შეიქმნა საკომ-მეურნეო თეატრი, ს. ბაშინჯალოვი მისი პირველი დირექტორი და წამყვანი მსახიობი იყო.

მალე საცხოვრებლად მშობლიურ სიღნაღში გადმოდის და კვლავ სახელმწიფო თეატრში მსახიობად მუშავებს.

სამამულო ომის პირველ წლებში, როდესაც თეატრის ბევრი მსახიობი ფრონტზე გაიწვიეს, სერგო მაზრაში ედგა თეატრის ხელმძღვანელობას და თავდადებით მუშავებდა. მალე ისიც ჯარში წავიდა. ფრონტზე არ იყო, მაგრამ ზურგში ჯარისკაცების კულტომოსახურებისათვის უნარსა და გამოცდილებას არ იშურებდა.

1944 წელს დაუბრუნდა თავის საყვარელ თეატრს. ერთხანს მისი დირექტორიც იყო.

როდესაც სიღნაღის თეატრი დაიხურა, სერგო კულტურის სახლში სამხატვრო ხელმძღვანელად მუშავებდა და თეატრალური კოლექტივის სული და გული იყო. მიუხედავად ხანდაზმულობისა ახალგაზრდული ენერგიით მუშავებდა სახალხო თეატრში. ქალაქის მოსახლეობამ დიდი ნდობა გამოუცხადა და საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩია.

თავმდაბალი, კეთილსინდისიერი და უანგარო სერგო ბაშინჯალოვის ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი მეგობრების გულში.



ჩემი ძია პლექსანდრა

ჯამალ მონიავა

პირველად ფარდა მან გახსნა თეატრში.

თითქოს არაფერია აქ უჩვეულო. ადამიანები ყოველთვის ცდილობენ იყვნენ პირველნი. რიგი მწვერვალზე, რიგი ფინიშის ზონართან. ფარდის გახსნა კი თითქოს არ უნდა იყოს დიდი თავსატეხი ამბავი. ბოლოს და ბოლოს, ვისაც მოუწევს, ის გახსნის.

საქმე იმაშია, რომ მან, ამ თეატრში პირველმა, პირველად გახსნა ფარდა.

— „დღეს ალე გახსნის“ ფარდას — გამოაცხადა სამხატვრო ხელმძღვანელმა და მასზე ბედნიერი ახალგაზრდა არ იყო. მასზე ბედნიერი კაცი არ არის და მასზე ბედნიერი არც ერთი მოხუცი არ იქნება.

მანამდე ჩვეულებრივი ახალგაზრდა იყო. როგორც ყველა, ისიც უზომოდ გატაცებული თეატრით, 17 წლისა სცენის მუშად მიიღეს. სამი წელი იმუშავა, მერე შეთავსებით სტატიის ტად გადაიყვანეს. ასეთი სიხარული მანამდე არ ახსოვს. დრო გადიოდა. თან დეკორაციას ალაგებდა თან სტატისტობდა. ეგ იყო, ვერ იქნა და სიტყვა ვერ ჩაიგდრო სათქმელად. შუბი და ლანგარი იყო მისი განუწყვეტელი პარტნიორი. ერთხელ, როგორც იქნა, ერთმა დაწინაურებულმა სტატისტმა ხუთ ბოთლ ღვინოდ ფრახა დაუთმო. უნდა დამდგარიყო კარგბს უკან და დაეყვარა „მობრძანდით, ივდიტის შევატყობინებ!“ — იცით რას ნიშნავდა ეს? თუ იგი ამ ფრახას არ დაიძახებდა, მუსიკა არ დაიწყებოდა და სპექტაკლი ჩაიშლებოდა.

მთელი დღე მეცადინეობდა სახლში. თუმცა სცენაზე არც კი უნდა გამოჩენილიყო. იდგა სარკის წინ და ვარჯიშობდა. ათასნაირ ტანსაცმელს ირგებდა, ათიათასჯერ იმეორებდა ერთსა და იგივეს. უამრავჯერ გადიოდა და შემოდიოდა ოთახში. უბნის ბიჭები ფანჯრის ქვეშ შეუქუთულიყვნენ და სულგანაბლნი უსმენდნენ.

როგორც იქნა, მოაღწია საღამომ. თუმცა არაფრისთვის არ უთქვამს, მთელი ქანდარა უბნელებით იყო დაძებვილი. კულისებში დაბორილობდა და ისევ იმეორებდა ათასჯერ გამეორებულს.

მესამე მოქმედება დაიწყო. გალურსული იდგა კულისებში. აჰა, მოაღწია მისმა ადგილმაც. ფეხი გადადგა კარგბისაკენ. სიბნელეში, დილით მის მიერვე დადგმულ დაზგას ფეხი

წამოსდო და ბრაგვანი მოაღინა. თავზარი დაეცა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ისევ აუცურდა ფეხი, ყველაფერი დაიღუპა. ერთი წონა მიწა გახეთქოდა და თან ჩაეტანა. იწვა ბედს მინებებული, სააღდგომო ბატკანივით და თვალებს აცეცებდა სიბნელეში.

— „დაიძახე ალე, დაიძახე“, — ყურში ჩასჩურჩულა მსახიობმა. რომელიც სცენაზე უნდა შესულიყო.

— „ჰაჰ!“

— „დაიძახე მეთქი!“

უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, წამოიჩოქა და — „შედი, ივდიტის ვეტყვი!“ იყვირა, იყვირა და მერეღა მიხვდა რა თქვა. მორჩა დაიღუპა ყველაფერი.

არავის უნახავს როგორ გამოიპარა თეატრიდან. მერეც კარგახანს ემალეობდა თეატრში მომუშავეებს და უბნის ბიჭებს.

სად არ იმუშავა, რა არ გააკეთა, მაგრამ თეატრს მაინც ვერ ჩამოშორდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, არ შეიძლებოდა საღამოს თეატრში არ შემეძვრალიყო. უკანასკნელი ფული რომ ქონდა, ქანდარის უკანასკნელი რიგის ბილეთი მაინც ეღო ჯიბეში, ოჯახსაც მოეციდა, ბავშვებიც შეეძინა. მაგრამ საკუთარი ბავშვას დაბადებას არ ელოდა ისე დაძახული და ათრთოლებული, როგორც ახალ დადგმას.

მისთვის ყველა გზა თეატრში მიდიოდა და მივიდა კიდევ.

— „ახალ თეატრს ვხსნით, ალე, სცენის მემანქანე გვკირდება, შენზე უკეთესს ვის ვიშოვნით“ — უთხრეს და მოვიდა.

დამშვიდდა. ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდა. აღარ ღარბოდა გულგახეთქილი პრემიერის წინა დღეებში. აღარ აკოწიწებდა კაპიკებს ბილეთის შესაძენათ. იდგა კულისებში განაბული და ბედნიერი. იდგა და მონუსხული შესცქეროდა საყვარელ მსახიობებს, განსაცვიფრებელ რეჟისორებს.

ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი გამარჯვება იზეიმა. ბევრი დამარცხებაც იწვნია სხვებთან ერთად. ეფერებოდა დეკორაციებს, ეტმანებოდა ფარდებს, ეხუტებოდა კულისებს. ხედავდა, როგორ თვალდათვალ იზრდებოდნენ, ოსტატდებოდნენ ახალგაზრდები. როგორ ღვინდებოდნენ საშუალონი და როგორ ბრძენდებოდნენ დროულნი.

თავადაც გამოზარდა ახალგაზრდები. ცოტას

შეუყვარდა მასაცით თეატრი. მაგრამ ეს ცოტაც საკმარისი იყო. ფეხდაფეხ დასდევდა ახლად მოსულებს — „ბევრ ძალას ხარჯავ, შენლო, შთავარია, იცოდე როგორ მოკალი ხელი, რომ გეშუბუქოს. ნურასოდეს ნუ აჩქარდები. ზუსტად იცოდე როდის რა უნდა გააკეთო. თორემ დავიღუპებით. თუ შენ დაზგას სწორად არ დადგამ, წამოკრავს მსახიობი და“... — გონებიდან არ შორდებოდა თავისი მსახიობური დებიუტი.

კოქებში ატყობდა სპექტაკლს.

— რას იტყვი, ძია ალექსანდრე გამოვა?

— გამოვა, — პასუხობდა ისიც და ბედნიერი იყო.

წლები თვალსა და ხელსშეა ეცლებოდა. მხრებში მოიხარა. თმა გაუიშვიათდა, სახე დაუნათდა გული კი, გული ისევ ძველებურად უძგერდა პრემიერის მოახლოებისას.

— გოგო იქნება თუ ბიჭი, ძია ალექ?

— ბიჭი — ბავშვივით უხაროდა სალამოს, თავგამოდებით სცემდა ტაშს კულისებში მიყუყული.

სამოცი წლისთავზე შინაურული იუბილე გადაუხადეს. ბედნიერი იყო. აცრემლებული და ბედნიერი უკვე ატყობდა, რომ უჭირდა. თუმცა მძიმე სამუშაოს არიდებდნენ, მაინც უჭირდა ამდენი ხალხის უფროსობა და დირექციას თხოვა, სცენის შემანქანდ მისივე გამოზრდილი ახალგაზრდა დაენიშნათ.

დაბაჟნობდა თავისთვის ჩუმად. ყველას ხელს წაუტრავდა, ყველას ეხმარებოდა. ისევ ახალგაზრდულად ტრიალებდა პრემიერის წინ.

მერე სამოცდაათი წლის იუბილე გადაუხადეს. ეს უკვე შინაურული აღარ იყო. გაჩაღდნებული სცენის შუაგულში სავარძელში იჯდა აქეთიქედან თანშეზრდილი, ჭარბაგა მსახიობები ესხდნენ და მოწიწებით შესცქეროდნენ. რა არ უთხრეს, რა ხობტა არ შეასხეს, რა არ გაიხსენეს. და ბოლოს მისი ჯერაც დადგა: — „ერთი სიტყვა გვითხარით“.

ყოველთვის ჩუმსა და უთქმელს, გაუჭირდა — „მადლობით“ — თქვა და დაჯდა.

„არა, გვითხარას, ორიოდ სიტყვა გვითხარასო“, — არ ცხრებოდა ხალხი.

„დრო და დრო, როცა მოვალ, შემომიშვით კულისებშიო“, თვალებზე ცრემლმომდგარმა, როგორც იქნა, ამოღებდა ორიოდ სიტყვა.

„ვინ გავრძალავს, ვინ გავღებსო?“ — და მართლაც არვის გაუგვია. ის ყოველთვის საჭირო იყო. თავის ძვირადღირებული ორიოდ სიტყვით, თავისი უთქმელობითაც კი. მართალია, ახლა უფრო მეტად უჭირდა, მაგრამ არ იშლიდა. ეს იყო, სახლში ეჩხუბებოდნენ — „დაისვენე, სადღა შეგიძლია მუშაობა, ვერ მოგივლით თუ რაო?“ მაგრამ ის დასვენებ-

ლა? რა გააჩერებდა სახლში, როცა პრემიერა პრემიერას მისდევდა.

ერთხელ კი... ერთხელ, ერთმა ახლადმოსულმა ტექნიკურმა რეჟისორმა უხეშად მიახალა: — „რას მღებდი ფეხებში, ვერ ხედავ ძლივს დალოლიალობ. პატრონი არა გყავს?“

და აღიკვეთა ფეხი. როგორც მაშინ, დიდი ხნის წინათ, ჩუმად გაიპარა თეატრიდან და მაშინდელივით, დიდხანს ერიდებოდა თეატრს. მოტყდა. მთლად მოიხარა წელში, მერე ჩაწვა, არაფერი არ ტკიოდა, თითქოს არაფერი არ აწუხებდა არც მიზეზობდა რამეს ეგ იყო, გული ქონდა ჭრილობამოუშუშებელი. — „რატომ მოთხრეს? ნუთუ მართლა ფეხებში ვედები ყველას? არა. ალბათ, ის ყმაწვილიც სწორი იყო. ყველაფერს თავისი დრო აქვს“, — ცდილობდა იმ ახალგაზრდის გამართლებას, მაგრამ გული მაინც საშინლად ტკიოდა. არავის არ მოუკითხავს, არავის არ უნახავს, მამასადამე, მართლა აღარ ყოფილა საჭირო.

თეატრის დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, ის სპექტაკლი უნდა აღედგინათ, რომელზეც მან პირველად გახსნა ფარდა. ყველაფერი იზოვნეს, კოსტუმები, დეკორაცია, მუსიკა, მაგრამ ვერ იქნა და კონსტრუქციას ვერ გაუგეს ვერაფერი. დაზგები ვერ ააწყვეს. როგორ არ იწვალეს, ვერაფერს გახდნენ. უცებ ერთ ძველ მსახიობს გაახსენდა — ალექსანდრე სად არისო? — მოიკითხეს, მოიკითხეს და ახლად მიხვდნენ, რომ კარგა ხანია არ ენახათ.

იმ სალამოსე ეწვივნენ სახლში. გაიხარა ოჯახმა სახლი სტუმრებით გაივსო. მეზობლები ღია ფანჯრებიდან იქყიტებოდნენ — ამდენი ვარსკვლავი არასოდეს ენახათ ასე თავმოყრილნი. — „როგორ არ მახსოვს, ყველაფერი კარგად მახსოვს. ახლავე წამოვალ“, — იწვედა, მაგრამ სახლელი აკავებდა — რაღა დროსაა, დილით წადიო.

— გაგიყდი? ხომ ხედავთ საჭირო ყოფილვარ, სახლში რა გამაჩერებს?! ძლივს დააკავეს. დილით კი ყველაზე ადრე მივიდა თეატრში. ხელებს უცაცუნებდა პორტალებს, მოჭუტული თვალებით შესცივინებდა არლეკინს, ეალერსებოდა კულისებს და იხსენებდა, ვისი ხმა არ მოესმა, ვინ არ გაუბრინა თვალწინ, რომელი ჰანგი არ ჩაწვდა მის სმენას.

რეპეტიციები განახლდა. გამოიცვალა, თითქოს ახალი ენერჯია გაუჩნდაო. დილიდან ღამემდეგ თეატრში იყო. სახლშიც უხაროდათ, თავად ხომ უხაროდა და უხაროდა. პრემიერა ახლოვდებოდა.

— გამოვა, ძია ალექსანდრე?

— ბიჭი იქნება, ბიჭი, — პასუხობდა ძველ-

ბურად და გრძნობდა, რომ ძველებურად უცემ-
და გული.

პრემიერის საღამომაც მოაღწია. ფარდასთან,
ისევ ძია ალექსანდრე იდგა. საოცრად გავდა
ეს საღამო იმ პირველს. თითქოს თავიდან
იწყება ყველაფერი. თითქოს გადაიშალა წლე-
ბი და ახალ ცხოვრებას იწყებს მეოთხმოცე-
ში გადამდგარი ჭაბუკიო. მესამე ზარმაც ჩამოკ-
რა და ფარფატით გაიხსნა ფარდა. წარმოდგე-
ნა დაიწყო. გაცოცხლდა ძველი დეკორაცია.
ალაპარაკდნენ დიდი ხნის დადუმებული კოს-
ტუმები და აცრემლდა ალექსანდრე. ჩუმად,
როგორც მუდამ ჩვეოდა, იდგა და იცრემლე-
ბოდა.

გაისმა მუსიკის უკანასკნელი აკორდები.
შუქმა ნელ-ნელა იწყო კლება. იგრილა ტაშ-
მა.

— ფარდა! — იყვირა რომელიღაც მსახიობმა.

— ფარდა! — ახლა მეორემ გასძახა ჩაბნე-
ლებული კულისებს.

— ვინ არის ფარდაზე? — იკითხა დაბნულ-
მა წამყვანმა.

— ძია ალე, ძია ალექსანდრე, ცუდად არის —
დაიძახა ვიღაცამ და ფარდის თოქს ჩაბლაუქე-
ბულ ალექსანდრეს მივარდა.

— გამოიყვანეთ, გამოიყვანეთ და დახურეთ
ფარდა! — თითებს იმტვრევდა წამყვანი.

— აღარ სუნთქავს, — თქვა ვიღაცამ.

— გამოიყვანეთ და ფარდა დახურეთ! არ
ცხრებოდა წამყვანი.

— ხელი არ ახლოთ, იყოს ფარდა ღია. —

— შეაჩერა წამყვანი მთავარი როლის შემსრუ-
ლებელმა, — ხელი არ ახლოთ. რაკი ვეღარ
დახურა, იყოს ღია, იყოს. — თქვა და ჩაილა-
პარაკა — ჩუმად გაიპარა, როგორი ჩუმიც
იყო მთელი ცხოვრება, ასევე ჩუმად გაიპარა,
ის დალოცვილი.

ტაში კი არ ცხრებოდა, ტაში გუგუნებდა,
თითქოს დაბაზის ჭერის ახლა სურს და
ღრუბლის ბოლქვად უნდა ამოვარდეს ქვეყ-
ნიერებაზეო.

— დიახ, მან პირველმა პირველად გახსნა ფარ-
და.

ი კ ო რ თ ა

ირაკლი გომოლაური

იკორთაში დასაფლავებულია
გიორგი ერისთავი.

მისი მზე განა ჩავიდა,
შემკრთალს რად გხედავ, იკორთავ?
მაგ ანგელოსის თვალნიდან
ცრემლი რად ჩამოგიგორდა?
იქნება შეგძრა სამუმმა —
სევდამ თავისა გიყო და
წყენა რად გაისამუდმე,
მთაწმინდამ ისევ იქოთა?!
ეგ არც რა! ლხინად ჩათვალე

სახე ნუ შემოგიღონდა,
ქცეულხარ იმის საგანედ
ვინც გულს მზესავით გიპოხდა
თუმცა რა! კაცი კი არა,
შენ თავსა ვფიცავ, იყო მთა!
გულიც შენ დაგაზიარა,
ბედნიერი ხარ, იკორთავ,
ეგრე რამ შეგაზრიალა,
იკორთავ, ჰაი იკორთავ!

გილოცავთ, მეგობრებო!

გაიოჯ იაკაშვილი

ძმებო და დებო, გილოცავთ
ნამუსის ქუდს და მანდილს.
ფეხბედნიერებს გეფინოთ
გზაზე ია და ვარდი!

ვერიკო ანჯაფარიძეს

არტისტულ კარიერაზე,
მგონი, დავას ვერ დამიწყებთ.
რეჟისორებს რომ ჩამოთვლით,
ვერიკო არ დაგავიწყდეთ.

ნოდარ გურაბანიძეს

ვისაც გინახავთ „ხელთნაწერები“,
ეს ხელთუქმნელი მონაპოვარი,
გთხოვთ აღიაროთ, რომ „ხელოვნება“
საერთოდ არის სწორუპოვარი.

ალექსანდრე ეგუტინას

თუმც ჩემს თეატრს უბატონოდ
დღეს კრიტიკა ხელს ვერ ახლებს,
ვერ იქნა, ჩემს სიმაღლემდე
აქამდე ვერ ავამალღე.

სესილია თაყაიშვილს

იმ აურაცხელ სახეთა შორის,
წლების მანძილზე შევქმენი რაცკი,
მე ზურიკელას ბებიას როლში,
სიპართლეს გეტყვით, ვერც ერთს ვერ გავცვლი.

ეროსი მანჯგალაძეს

თვითეული როლის ძერწვას
ზვარაკივით ვეწირები,
თმა დრო-ჟამმა წამართვა და
თავს ვიფერავ პარიკებით.
შინა ვარ თუ მიკროფონთან,
სცენაზე თუ თამადადა,
ცა ქუდად არ მიმაჩნია
დედამიწა ქალამნადა.

მიხეილ მგვალაძეს

დამერწმუნეთ თმის საქმეში
დუნიაზე არ მყავს სწორი,
წვერ-ულვაშის მცოდნე ვარ და
ნაწნავების პროფესორი.
მაგრამ უთმოდ ვინ ქსოვს პარიკს,
ეს იცით და მაინც მძრახავთ,
არ გაიზრდით თმას თუ არვინ,
რაც გინახავს, ველარ ნახავთ!

ო. ქოჩიაკიძეს, ალ. სლოვინსკის, ი. ჩიკვაძეს

წარმოდგენას რომ ვაფორმებთ,
ფუნჯებს ვატანთ გრძნობას თანა,
სამაია-სამთაგანა
არ იქნება ორთაგანა.

არჩილ ჩხარტიშვილს

ქართულ თეატრში სამსახურისთვის
წოდება მომცეს უდიადესი,
ვით მონადირეს, არ დავიკვებებ,
კი მეკუთვნოდა ჭილდო ასეთი.

თემურ ჩხეიძეს

დიდ სცენაზე დავასახლე
დადიანის „გუშინდელნი“,
ბევრს ვუბოძებ კიდევ კერას,
თუ არ შემეშალა ხელი.

ბახტანგ ჯახუთაშვილს

დამერწმუნებით, ხელოვნებაში
დადგება ხოლმე მძაფრი მომენტი;
გინდა, არ გინდა, გსურს თუ არა გსურს,
უნდა დაიწყო საქმე რემონტით.

ს ე ქ ს ზ ე ზ ი

- I ვიოლინო — თეატრი ეს არის: დრამატურგი, მსახიობი და რეჟისორი.
- II ვიოლინო — თეატრი ეს არის: რეჟისორი, დრამატურგი და მსახიობი.
- ალტი — თეატრი ეს არის: მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი.
- ჩელო — თეატრი ეს არის: რეჟისორი და მსახიობი.
- კონტრაბასი — თეატრი ეს არის: რეჟისორი.
- ტრუბა — მ-ა-ყ-უ-რ-ე-ბ-ე-ლ-ი ?

თეატრალური ლექსიკონი

- „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — ის დრო წავიდა.
- „საქმიანი კატე“ — სარფიანი ადგილის მეპატრონეზე იტყოდნენ.
- „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ — მოხსნილ კომბინატორს მიესამძიმრება.
- „მზინი ღამე!“ — სიზმარში მონატრებული, ესლახან დამკვიდრებული.
- „ნუ გეშინია, ღეღა!“ — შვილს თუ ნამუსიანად გაზრდი.
- „შამოსავლიანი ადგილი“ — წინათ ძვირად ფასობდა.
- „ვინააქა“ — კაცი, რომელიც ნემსის ყუნწში ძვრებოდა და მერე სამსართულიან სახლში ვეღარ დაეტიდა.
- „ჩათხილი ხილი“ — საწყობსა და გადაწყიდველს შორის აღდგენას არ ექვემდებარება.
- „ცხვრის ფყარო“ — მგლებს ჰქონდათ დასაკუთრებული.
- „მოსამართლე“ — დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

შეკრიბა ს. ვ.-იან

ლიხსენსანიშნავი თარიღები

- 2 იანვარი** — 1923 წელს კოტე მარჯანიშვილ-მარუსთაველის თეატრში დადგა ზ. ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“. 50 წელი დადგმიდან.
- 6 იანვარი** — 1893 წელს დაიბადა სსრ კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ გიორგის ძე გელოვანი. 80 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1956 წლის 21 დეკემბერს).
- 7 იანვარი** — 1903 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე სანიშვილი. 70 წელი დაბადებიდან.
- 7 იანვარი** — 1903 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი შალვა ილიას ძე აზმაიფარაშვილი. 70 წელი დაბადებიდან (გარდაიცვალა 1957 წლის 17 მაისს).
- 14 იანვარი** — ქართული თეატრის დღე.
- 17 იანვარი** — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი იური სიმონის ძე კაკულია. 50 წელი დაბადებიდან.
- 18 იანვარი** — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი შოთა ილიას ძე ქარუხნიშვილი. 50 წელი დაბადებიდან.
- 6 თებერვალი** — 1903 წელს დაიბადა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი სვიმონ (სიკო) ბესარიონის ძე დოლიძე. 70 წელი დაბადებიდან.
- 19 თებერვალი** — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ფარსმან ილარიონის ძე სონღულაშვილი. 50 წელი დაბადებიდან.
- 19 თებერვალი** — 1903 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თამარ გრიგოლის ასული წულუკიძე. 70 წელი დაბადებიდან.
- 20 თებერვალი** — 1898 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ლავრენტი იოსების ძე ცაცავა. 75 წელი დაბადებიდან.
- 23 თებერვალი** — 1873 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილი. 100 წელი დაბადებიდან.
- 23 თებერვალი** — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიორგი ვლადიმერის ძე გეგეკიორი. 50 წელი დაბადებიდან.
- 25 თებერვალი** — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თამარ ნიკოლოზის ასული სულხანიშვილი. 50 წელი დაბადებიდან.
- 2 მარტი** — 1903 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბელა გიორგის ასული ბელეცკაია. 70 წელი დაბადებიდან.
- 12 მარტი** — 1898 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნუნუ ილიას ასული მაჭავარიანი. 75 წელი დაბადებიდან.
- 18 მარტი** — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვენერა ვლადიმერის ასული ნუფარიძე. 50 წელი დაბადებიდან.
- 19 მარტი** — 1903 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინორეჟისორი შოთა ილიას ძე მანგაძე. 70 წელი დაბადებიდან.
- 25 მარტი** — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ელენე (ლილი) კონსტანტინეს ასული იოსელიანი. 50 წელი დაბადებიდან.
- 27 მარტი** — თეატრის საერთაშორისო დღე.
- 12 აპრილი** — 1823 წელს დაიბადა დრამატურგი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკი. 150 წელი დაბადებიდან. (გარდაიცვალა 1886 წელს).
- 15 აპრილი** — 1913 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი როზენბეი მიხეილის ძე აგრბა. 60 წელი დაბადებიდან.
- 20 აპრილი** — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ტარიელ იოველის ძე საყვარელიძე 50 წელი დაბადებიდან.
- 1 მაისი** — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ოთარ ლავრენტის ძე თევდორაძე. 50 წელი დაბადებიდან.
- 18 მაისი** — 1913 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ნიკოლოზ ივანეს ძე გუღიაშვილი. 60 წელი დაბადებიდან.
- 23 მაისი** — 1913 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ალექსანდრე გრიგოლის ძე როვაია. 60 წელი დაბადებიდან.
- 25 მაისი** — 1903 წელს დაიბადა საქართვე-

ლოს სსრ დამსახურებული არტისტი ვლადიმერ ნესტორის ძე ხომაშვირიძე. 70 წელი დაბადებულიდან.

30 მაისი — 1913 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი რევაზ კონდრატეს ძე გაბიჩვაძე. 60 წელი დაბადებულიდან.

3 ივნისი — 1893 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბარბარე ალექსანდრეს ასული გამრეკელი. 80 წელი დაბადებულიდან. (გარდაიცვალა 1970 წლის 15 სექტემბერს).

4 ივნისი — 1893 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნიკოლოზ ბათლომეს ძე კრავეიშვილი. 80 წელი დაბადებულიდან.

27 ივნისი — 1903 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დირიჟორი ევგენი სიმონის ძე მიქელაძე. 70 წელი დაბადებულიდან.

28 ივნისი — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ფელიქს ოსკარის ძე სტეპანი. 50 წელი დაბადებულიდან.

1 ივლისი — 1913 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბუხუტი ალექსანდრეს ძე ზაქარაძე. 60 წელი დაბადებულიდან.

8 ივლისი — 1913 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გრაგოლ ალექსანდრეს ძე ნაცვლიშვილი. 60 წელი დაბადებულიდან.

10 ივლისი — 1913 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ტარასი ტარასის ძე ხორავა. 60 წელი დაბადებულიდან.

14 ივლისი — 1903 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კრიტიკოსი ბესარიონ დავითის ძე ქლენტი. 70 წელი დაბადებულიდან.

8 აგვისტო — 1898 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი თამარ გიორგის ასული თვაძე. 75 წელი დაბადებულიდან.

17 აგვისტო — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნათელა კალისტრატეს ასული წერეთელი. 50 წელი დაბადებულიდან.

18 აგვისტო — 1903 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინორეჟისორი ნიკოლოზ მიხეილის ძე შენგელაია. 70 წელი დაბადებულიდან. (გარდაიცვალა 1943 წელს).

6 სექტემბერი — 1913 წელს დაიბადა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნიკოლოზ ამბაკოს ძე მოსეშვილი. 60 წელი დაბადებულიდან.

22 სექტემბერი — 1913 წელს დაიბადა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი

ალექსი დავითის ძე მაჭავარიანი. 60 წელი დაბადებულიდან.

5 ოქტომბერი — 1893 წელს თბილისში, ავქალის აუდიტორიაში გაიხსნა სახალხო თეატრი. 80 წელი დაარსებულიდან.

8 ოქტომბერი — 1923 წელს მოსკოვში გაიხსნა ქართული დრამატული სტუდია ვანტანგ მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით. 50 წელი დაარსებულიდან.

12 ოქტომბერი — 1923 წელს დაიბადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნათელა ამბერკის ასული ურუშაძე. 50 წელი დაბადებულიდან.

16 ოქტომბერი — 1893 წელს დაიბადა თეატრმცოდნე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბუჩთიკაშვილი. 80 წელი დაბადებულიდან. (გარდაიცვალა 1965 წელს).

19 ოქტომბერი — 1893 წელს დაიბადა ბელეტრისტი და დრამატურგი სერგო დავითის ძე კლდიაშვილი. (80 წელი დაბადებულიდან).

2 ნოემბერი — 1913 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბალეტის მსახიობი ელენე (ლილი) ლევანის ასული გვარამაძე. (60 წელი დაბადებულიდან).

27 ნოემბერი — 1898 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი უშანგ ვინტორის ძე ჩხეიძე. 75 წელი დაბადებულიდან. (გარდაიცვალა 1953 წელს).

2 დეკემბერი — 1883 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი იოსებ (იჭუა) ფრანცის ძე ზარდალიშვილი. 90 წელი დაბადებულიდან. (გარდაიცვალა 1943 წლის 13 მაისს).

2 დეკემბერი — 1923 წელს თბილისის საოპერო თეატრში პირველად დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. 50 წელი პირველი დადგმოდან.

8 დეკემბერი — 1973 წელს დაიბადა დრამატურგი იოსებ კონსტანტინეს ძე გედეჭანიშვილი. 100 წელი დაბადებულიდან.

28 დეკემბერი — 1903 წელს დაიბადა სსრ კავშირის და საქართველოს სახალხო არტისტი მიხეილ ალექსანდრეს ძე კალატოზიშვილი. 70 წელი დაბადებულიდან.

28 დეკემბერი — 1883 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნიკოლოზ სოლომონის ძე გვარამაძე. 90 წელი დაბადებულიდან. (გარდაიცვალა 1960 წლის 7 ივლისს).

31 დეკემბერი — 1903 წელს დაიბადა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დიმიტრი სიმონის ძე მჭედლიძე. 70 წელი დაბადებულიდან.

შეადგინა საოპერო მუზეუმის მეცნიერთანამშრომელმა მ. მელაძემ

СО Д Е Р Ж А Н И Е

Посвящается 50-летию СССР	3
Гурам Батиашвили — Юбилейные спектакли дружбы	4

У ТЕАТРАЛЬНОЙ АФИШИ РЕСПУБЛИКИ

Нонна Гуниа — «Тропоею грома»	8
Нино Швангирадзе — Спектакль о правде судьи	10
Рафизл Шамелашвили — Актуальная проблема современности на сцене	12
Нази Элиашвили — Два спектакля	15
Нино Мачавариани — «Дневник Анны Франк»	18
Кетеван Хуцишвили — Одзисоба	20
В дни Юбилея Котэ Марджанишвили	21
Кутаисский театр кукол в Тбилиси	25
Имени Акакия Хорави	26

В НАРОДНЫХ ТЕАТРАХ

Елена Квирквелиа — «Братья» Баграта Шинкуба в народном театре	27
Георгий Эбралидзе — Из истории театрального Ланчхути	29

НАШИ ЮБИЛЯРЫ

Вахтанг Касрадзе — Ревнитель осетинского искусства	32
Анна Гвиниашвили — Тамар Твалишвили	34
Мзиа Шенгелиа — Нестареющее сердце	36

ПРОЩАНИЕ

Давид Чхеидзе — Шалва Хонели	38
Михаил Ярели — Серго Башинджагов	39
Джемал Мониава — Мой дядя Александр (повелла)	40
Иракий Гоголаури — Икорга (стихотворение)	42

Ю М О Р

Гайоз Якашвили — Поздравляем вас, друзья	43
С. В.-ия — Секстеты; театральный словарь	44

ТЕАТРАЛЬНЫЙ КАЛЕНДАРЬ, 1973 г.

Знаменательные даты	45
-------------------------------	----

ВЕСТНИК
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)
Тбилиси — 1972
№ 6 (70)

ფასი 25 კაპ.
Цена 25 коп.

გადაეცა წარმოებას 11/XII-72 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/I-73 წ.

შეკვეთა 3446

შე 05237

ტარ. 1.000

საქართველოს თეატრალური საზ-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3
Типография Театрального Общества Грузии, ул. Горького № 3